საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ა. ტუალაშვილი

საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში

„მეცნიერება"
თბილისი
1990

63—3 (2Г)
ტ 962

ნაშრომში პირველად მონოგრაფიულად არის გაშუქებული საქართველოს ურთიერთობა დაღესტანთან საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების რუსეთთან შეერთების შემდგომ პერიოდში. ნაჩვენებია ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა აღნიშნული მოვლენის შედეგად ბარის მიმართულებით დაღესტნელ მთიელთა ექსპანსიაში. საგანგებოდ არის წარმოჩენილი საქართველო-დაღესტნის ეკონომიკური კავშირურთიერთობანი.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გ. გასვიანი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. დოქტორი მ. გონიკიშვილი
ისტორიის მეცნ. კანდიდატი გ. მაჭარაძე

ტ $\frac{0503020906}{М\ 607(06)—90}$ 146—90
© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990
ISBN 5—520—00715—2

შინაარსი

შესავალი

I თავი — საქართველო-დაღესტნის ეკონომიკური ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში 10

§ 1 — ურთიერთდამაკავშირებელი გზები . . 10

§2 — ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა საქართველოსა და დაღესტანს შორის XIX საუკუნის პირველ მესამედში . 17

§ 3 — ერთმანეთის საძოვრებით სარგებლობა და საშოვარზე სიარული 47

II თავი — საქართველოსა და დაღესტნის პოლიტიკური ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში . . . 56

III თავი — საქართველოსა და დაღესტნის კულტურული ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში 94

დასკვნ- . 104

Гр трети XIX в. (Ре- 109

შ ე ს ა ვ ა ლ ი

XIX საუკუნის პირველ მესამედში საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა თვისებრივად ახალ ეტაპში შედის, რაც უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოში 1801 წლიდან რუსეთის კავკასიური ადმინისტრაციის დამკვიდრებას.

XIX საუკუნიდან ეყრება საფუძველი იმ მიზეზების აღმოფხვრას, რაც იწვევდა საუკუნეების განმავლობაში ამ ორი აღნიშნული სახელმწიფოს პოლიტიკური ურთიერთობის უკიდურესობამდე გართულებას და ხელს უშლიდა ქართველებსა და დაღესტნელებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. ამიტომ საქართველოსა და დაღესტანს შორის ჩვენს მიერ გამოსაკვლევად აღებული პერიოდის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

აღნიშნული საკითხის შესწავლის საჭიროებას ზრდის ის გარემოებაც, რომ დღემდე XIX საუკუნის შემდგომი პერიოდის საქართველო-დაღესტნის ურთიერთობაზე მონოგრაფიული გამოკვლევა არ მოიპოვება, გარდა მ. რ. გასანოვის ნაშრომისა[1].

XIX საუკუნის პირველ მესამედში იგრძნობა წერილობითი წყაროების მოზღვავება საქართველო-დაღესტნის ურთიერთობაზე. განსაკუთრებით მრავლად მოიპოვება დოკუმენტური მასალა, რაც გამოწვეულია იმ ქაღალდომანიით, რომელიც გამეფებული იყო რუსეთის ბიუროკრატიულ აპარატში. ამიტომ წინამდებარე ნაშრომი ძირითადად კავკასიის არქეოლოგიური კომისიის მიერ გამოქვეყნებულ აქტებსა, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო და ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული არქივების ფონდებში მოძიებულ მასალაზეა დაფუძნებული.

საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ამსახველი მრავალი საბუთია ნ. ბერძენიშვილის[2], მ. იაშვილის[3], რ. მაგომედოვის[4], ა. ცაგა-

---

[1] Гасанов М. Р., У истоков братства, Махач-Кала, 1986.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის (გვიანფეოდალური ხანა), წიგნი III (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), თბ., 1955; მისივე: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. II, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XIX სს.), 1953.

[3] მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), მ. იაშვილის რედაქციით, თბ., 1974.

[4] Материалы по историй Дагестана и Чечни (первая половина XIX в) под редакцией Р. Магомедова, Махач-Кала, 1940.

რელის[5], თ. ჟორდანიას[6], ივ. ჯავახიშვილის[7] და სხვა მკვლევართა[8] ბიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში. დოკუმენტური მასალის ცნობებს ამდიდრებენ ქართველი, რუსი თუ უცხოელი მოგზაურებისა და მეცნიერების მიერ უშუალოდ ამ პერიოდში შექმნილი ისტორიული თხზულებები.

ქართული წერილობითი ისტორიული წყაროებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თ. ბაგრატიონის „ახალი ისტორია"[9], რომელიც შეიცავს XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და დაღესტნელების ურთიერთობაზე მეტად საინტერესო ცნობებს. ავტორი ბაგრატიონების სამეფო დინასტიის წარმომადგენელია და მის მიერ ზოგიერთი საკითხის გაშუქებაც შეიძლება არ იყოს დაზღვეული ტენდენციურობისაგან, თუმცა ის გარემოება, რომ იგი აქ მოყვანილი ამბების თანამედროვეა. და არსებობს მის თხზულებაში მოყვანილი მთელი რიგი ფაქტების იდენტური დოკუმენტები, მეტად მრავლისმეტყველია.

თ. ბაგრატიონი შესანიშნავად აღწერს 1744-დან 1819 წლამდე საქართველოს ისტორიის სამხედრო-პოლიტიკურ, საყოფაცხოვრებო და კულტურულ დარგში მომხდარ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას და ამის ფონზე თვალწინ გადაგვიშლის დაღესტნელთა მიერ ქართლ-კახეთზე მოწყობილი თავდასხმების მთელ ტრაგიკულობას ქართველი ხალხისათვის.

თ. ბაგრატიონის „ახალი ისტორია" ქართული წყაროებიდან. მართალია, ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ ერთადერთი არ არის. მასთან

---

5 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III (1700 წლიდან XIX ს. 60-იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967.

6 Ц а г а р е л и А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся Грузий, т. II, ч. II (с 1769 по 1801 год), С. Петербург, 1902; —"— Сведения о памятниках Грузинской письменности, СПБ, 1889; его же: „Грузинские крестьянские грамоты", Тифлис, 1882.

7 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. ტ. III, წ. I (ტანისამოსი), თბ., 1983; მისივე: მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II (საფენ-საგებელი, ალეჯი და ჭურჭელი). თბ., 1965; მისივე: მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. I, ნაკვ. IV (მეღვინეობა და მებღვინეობა საქართველოში). თბ., 1964.

8 დ. უ ჩ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ., 1967; მ. დ უ მ ბ ა ძ ე, საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ, „საისტორიო მოამბე", ტ. 4, 1950; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს სიძველენი. ტ. III, თბ., 1900; Г а м р е к е л и В. Н., Документы по взаимоотношениям Грузий с Северным кавказом в XVIII в; Материалы для новой историй Кавказа с 1722 по 1803 года, ч. I, СПБ., 1869; То же: ч 2. СПБ., 1869; то же: ч. III, СПБ., 1869, и т. д.

9 თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ახალი ისტორია, ლ. მიქიაშვილის კომენტარებით, თბ., 1983.

ერთად საკითხის გაშუქებაში დიდი დახმარება გაგვიწია პლ. იოსელიანის[10], დავით რექტორის[11], დავით და ბაგრატ ბატონიშვილების[12] საისტორიო თხზულებებმა.

მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავენ რუსი და უცხოელი მოგზაურებისა და მეცნიერების ჩანაწერები. მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ა. ი. ახვერდოვის[13], ს. დ. ბურნაშოვის[14], ფ. ი. გენეს[15], გიულდენშტედტის[16], პ. ზუბოვის[17], კ. კოხის, ო. სპენსერის[18], ა. ა. კრემსკის[19], ი. ი. ნორდენსტამის[20], ბარონ რ. ფ. როზენის[21], ფ. პ. სკალონის[22] და სხვათა ნაშრომები[23].

---

10 პლ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978.

11 ლეონ მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა, ტფილისი, 1936.

12 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941.

13 Ахвердов А.И., Описание Дагестана 1804 г., История, география и этнография дагестана XVIII-XIX в. в., архивные материалы, под ред. Р. Магомедова, Москва, 1958, с. 200--229.

14 Бурнашов С. Д. Картина Грузий, или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, сделанное пребывающе при его высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклий Теймуразовичем в 1786 г., Курск, 1793; Он же. Описание областей Азербаиджанских в Персий и их политического состояния, сделанное пребывающим при его высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклий Теймуразовичем, полковником Бурнашовым. Курск, 1793; его же: Описание горских народов, сделанное... Курск, 1794: его, же: Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузий с 1783 г. под 1787 г. под редак. А. Цагарели, СПБ., 1901.

15 Гене Ф. И. Сведения о горном Дагестане, 1835/1836 г., ист... геогр... этногр... Дагест., с. 337—352.

16 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, II, ტექსტი თარგმნა და გამოკვლევები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1982, 1964.

17 Зубов П. Картина Кавказского края принадлежащего Россий и сопределенных оному земель, ч. I, СПБ., 1834; его же. Шесть писем о Грузий и Кавказе.

18 კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. თარგმანი და კომენტარები ლ. მამაცაშვილისა, თბ., 1981.

19 Кремский А. А. Выдержки из описания Дагестана и Ширвана 1806 г., История, география и этнография... с. 334—236.

20 Норденстам И. И. Описание Ант-Рамлия. 1832 г. ист.-геогр. и этногр... с. 319=328.

21 Розен Р. Ф. Описание Чечни и дагестана. 1830 г., Ист.—геогр. и этногр. ... Дагест. с. 281—292.

22 Скалон Ф. П., Сведения об Аварском ханстве. 1829. Ист.-геогр... этногр... с. 276--278.

23 Гербер И. Г., Описание стран и народов вдоль западного берега Каспийского моря. 1728., ист... геогр... этногр... дагест... с. 60—119; Си-

საიმედო წყაროთა რიცხვს მიეკუთვნება კავკასიაში რუსეთის სამფლობელოების სტატისტიკური, ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ფინანსური მხარეების მიმოხილვაც[24].

მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო მასალა აქვთ შემონახული ორი აღნიშნული ქვეყნის შესახებ მომდევნო პერიოდის ისტორიკოსებსაც: ე. ვეიდენბაუმს[25], ა. ი. ფონ-პლოტოს[26], ა. პ. ბერჟეს[27], ვ. პოტოს[28], ს. გაბიევს[29], ნ. ვორონოვს[30], ნ. დუბროვინსა[31] და სხვებს.

ცალკე ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები არ არსებობს იმ ტრადიციებისა და ჩვევების გარეშე, რომელშიც აღნიშნულ ხალხს უხდებოდა ცხოვრება. ამიტომ კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა აგრეთვე ეთნოგრაფიული[32] და ფოლკლორული[33] მასალებიც.

монович Ф. Ф. Описание южного Дагестана. 1796. г., ист... геогр... и этногр... Дагест... с. 138—155; Тихонов Д. И. Описание северного Дагестана. 1796., ист... геогр... и этногр... Дагест... с. 125—135; Шербачев А. П., Описание Мехтулинского ханства, Койсубулинских владений и ханства, Койсубулинских владений и ханства Аварского около 1830 г., ист... геогр... этногр... Дагест..., с. 293—298; Хрисанф, Сведения об Аварском ханстве, 1828. ист... геогр... и этногр... Дагестана. с. 265—275.

24 Обозрение российских владений за Кавказом в статистическом, этнографическом и финансовом отношениях, ч. I, СПБ., 1836; то же. ч. IV, СПБ., 1836.

25 Вейденбаум Е. Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1888; его же. Кавказские этюды, Тифлис, 1901, вып. I.

26 Фонъ-Плотто А. И., Природа и люди Закатальского округа, в книге: Сборник сведений о Кавказских горцах (в последующем — ССКГ), вып. IV, Тифлис, 1870.

27 Берже А. П., Этнографическое обозрение Кавказа, С-Петербург, 1879.

28 Потто В., Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т. III, вып. 3, Тифлис, 1887, т .IV, вып. 2, Тифлис, 1888; Утверждение русского владычества на Кавказе, т. III, ч. I, Тифлис, 1904, История 44-го Драгунского Нижегородского полка, т. II, СПб, 1893.

29 Габиев С., Лаки, Петербург, 1905.

30 Воронов Н., Из путешествия по Дагестану, С.С.К.Г..., вып. III, Тифлис, 1870 .

31 Дубровин Н., Закавказье, от 1803—1806 гг. С.-Петербург, 1866, его же. история войны и владычества русских на Кавказе, том I, очерк Кавказа и народов его населяющих, кн. I, Кавказ, Санкт-Петербург, 1871.

32 Адаты южно-дагестанских обществ. С.С.К.Г., вып. VI, Тифлис, 1871, Берже А. П., назв. труд..., Волконский Н., Лезгинская экспедиция (в Дидойское общество), 1857 г. Кавказский сборник, т. I, Тифлис, 1876.

33 Халимов Х. М., Лакский песенный фольклор, Махачкала, 1959.

საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის შესწავლისადმი ინტერესი ძალზე დიდია. შედარებით კარგადაა შესწავლილი ეს ურთიერთობა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე თ. ბოცვაძის[34], ვ. გამრეკელის[35], დ. მეგრელაძის[36] მიერ. მათ ნაშრომებში დაყენებული და გადაჭრილია ამ ურთიერთობასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს მ. რ. გასანოვს[37], რომელიც ვრცლად მიმოიხილავს ეკონომიკურ, პოლიტიკურსა და კულტურულ კონტაქტებს ამ ორ ხალხს შორის. ნაშრომის ღირებულება, როგორც შესასწავლი საკითხის პირველი მერცხლისა, უდავოა, მაგრამ მას გააჩნია ერთი არსებითი ხასიათის ნაკლი. აღნიშნული ავტორი მეტისმეტად ზერელედ მოიხსენიებს დაღესტნელების მიერ ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მოწყობილ თავდასხმებს და ძირითადად ქართველებისა და დაღესტნელების მეგობრულ ურთიერთობაზე ამახვილებს ყურადღებას. ეს გარემოება შეიძლება ნაწარმოების დასათაურებითაც აიხსნას (У истоков братства). სხვადასხვა ეროვნებებს შორის მეგობრული ურთიერთობის წარმოჩენის სურვილი მეტად კეთილშობილურია, ამ გრძნობის არსებობას ჩვენს მიერ შესასწავლი ხალხების ურთიერთობაში ვერც ჩვენ გამოვრიცხავთ, მაგრამ სასურველი იქნებოდა მეგობრულ ურთიერთობასთან ერთად ობიექტურად, უფრო ვრცლად ასახულიყო დაღესტნიდან საქართველოზე მოწყობილი განუწყვეტელი თავდასხმებიც, რომელმაც დიდი ვნება მიაყენა საქართველოს.

საქართველო-დაღესტნის ურთიერთობას ეხება მ. რ. გასანოვი თავის სტატიებშიც[38].

---

34 ბოცვაძე თ. დ. საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1968.

35 Гамрекели В. Н., Торговые связи Восточной Грузии с северным Кавказом, в XVIII в., ч. I, Тбилиси, 1968; то же: ч. II, Тбилиси, 1977; его же: Вопросы взаимоотношений Восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII в., автореферат дисс... д-ра ист. наук, Тбилиси, 1972.

36 დ. მეგრელაძე. დაღესტან-საქართველოს ურთიერთობისათვის, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1954; მისივე, დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, „მაცნე", 1967, № 6, გვ. 117—140.

37 Гасанов М. Р., დასახ. ნაშრომი.

38 Гасанов М. Е. Давние связи соседей. Журн. «Советский Дагестан», № 2, 1983, с. 69—70; его же: Великая общность, журн. «Советский Дагестан», 1981, № 2, с. 19—24; его же: Дружба навеки, там же, 1967, № 2, с. 53—55; его же: Роль отхода в экономических взаимоотношениях народов Дагестана и Грузии. Изв. АН ГССР, серия истории, археологии, этнографии и истории искусства, 1984, № 1, с. 80—91; его же: Отходничество и его роль во взаимоотношениях народов Дагестана и Грузии (ко-

ჩვენს საკითხზე მეტად საყურადღებო გამოკვლევები აქვს დ. მ. მაგომედოვსაც[39]...

ქართველებსა და დაღესტნელებს შორის არსებული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის გააზრებაში და აქედან ზოგადი დასკვნების გამოტანაში გარკვეული დახმარება გაგვიწია მ. გაბიევის[40], ნ. მ. ხაშაევის[41], ლ. ვ. კუპრიანოვას[42], მ. დუმბაძის[43], თ. პაპუაშვილის[44], ო. პ. მარკოვას[45], კილჩევსკაიასა და ივანოვის[46], გ. ღუდუშაურის[47], ნ. ბერძენიშვილის[48], მ. სამსონაძის[49], ე. ორჯონიკიძის[50], პ. გუგუშვილისა[51] და სხვათა გამოკვლევებმა.

საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთობა ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების ურთიერთობის ორგანული ნაწილია და ის პრობლემები, რომლებიც მას ახასიათებდა, მეტად თუ ნაკლებად საერთო იყო კავკასიელი მთიელებისა და ქართველების ურთიერთობისათვის. ამიტომ მეტად საყურადღებოა ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებისა

нец XIX — начало XX века, изд. Сев. Кавк. науч. центра высш. шк. общественных наук. 1983, № 4, с. 56—60; его же: Некоторые вопросы взаимоотношений народов Дагестана и Грузии пореформенного периода, в кн: Из истории взаимоотношений Дагестана с Россией и с народами Кавказа Махач-кала, 1982 (с. 181—198).

39 Магомедов Д. М., Из истории экономических, политических взаимоотношений народов Западного Дагестана с Грузией, в кн: Из истории взаимоотношений Дагестана с Россией и с народами Кавказа. Махачкала, 1982, с. 25—40.

40 Габиев М. С., Металлообработка у лаков (по этнографическим материалам), кандидатская диссертация, Тбилиси, 1957.

41 Хашаев Х. М., Занятия населения Дагестана в XIX веке, Махачкала, 1959; его же: Общественный строй Дагестана в XIX веке, М., 1961.

42 Куприянова Л. В. Города Северного Кавказа во второй половине XIX века, М., 1981.

43 მ. დუმბაძე. აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბილისი, 1953, მისივე საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ.

44 თ. პაპუაშვილი. „ჭარ-ბელაქანი". თბ., 1972.

45 Маркова О. П. Восстание в Кахетии, 1812 г., М., 1951.

46 Кильчевская Э. В., Иванов Л. С. Художественные промыслы Дагестана, М., 1959.

47 გ. ღუდუშაური, ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების კულტურული ურთიერთობა, თბ., 1985.

48 ნ. ბერძენიშვილი. აღმოსავლეთ კახეთის ისტორიიდან, მიმომხილველი, III, 1953 წ. თბ., გვ. 29—86.

49 მ. სამსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში (ვაჭრობა, მრეწველობა), თბ., 1980.

50 ე. ორჯონიკიძე, ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში, თბ., 1974.

51 Гугушвили П. В., Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX в. т. I. Тбилиси.

და ქართველების ურთიერთობაზე არსებული მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა. კერძოდ კი: თ. ბოცვაძის[52], გ. დ. თოგოშვილის[53], მ. ცინცაძის[54], ა. შავხელიშვილის[55] და ა. შ.

XIX საუკუნის პირველ მესამედში საქართველოსა და დაღესტანს შორის ურთიერთობა ვითარდება რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში თუ მახლობელ აღმოსავლეთში წარმოებული მოვლენების ფონზე. აღნიშნული საკითხები შედარებით კარგადაა გაშუქებული ა. ვ. ფადეევის[56], ვ. გ. გაჯიევის [57] და სხვათა შრომებში, რომლებიც უხვად იქნა გამოყენებული კვლევის პროცესში.

---

52 თ. ბ ო ც ვ ა ძ ე, საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.), თბ., 1989.

53 გ. თ ო გ ო შ ვ ი ლ ი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XV—(XVIII), თბ., 1969; მისივე: ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, 1801—1921 წწ., თბ., 1969.

54 მ. ც ი ნ ც ა ძ ე. საქართველო-ადიღეს ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1982; მისივე: ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურა, XIX—XX ს. დამდეგს, „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები", II, თბ., 1978, გვ. 290—327.

55 შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ა. საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI—XVIII, თბ., 1980; მისივე: თუშეთი. თბ., 1987; მისივე: Из истории горцев Восточной Грузии, Тбилиси, 1983.

56 Ф а д е е в А. В. Россия и Кавказ первой трети XIX века, 1961.

57 Г а д ж и е в В. Г., Роль России в истории Дагестана. М., 1965.

I თავი

საქართველო-დაღესტნის ეკონომიკური ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში

საქართველოსა და დაღესტანს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობის ფესვები საუკუნეების სიღრმეშია საძიებელი. როგორც მ. სამსონაძე აღნიშნავს, ჩვენი მთიელი მეზობლებისათვის ქართლ-კახეთთან სასაქონლო გაცვლა-გამოცვლა სასიცოცხლო მოთხოვნილებად ალბათ მას შემდეგ იქცა, რაც მთის მოსახლეობაში კერძო საკუთრებისა და საქონელგაცვლის ელემენტებმა დაიწყო შეჭრა[1].

საქართველოსა და დაღესტნის მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობას განაპირობებდა მათი ტერიტორიული სიახლოვე და უშუალო მეზობლობა.

§ 1. ურთიერთდამაკავშირებელი გზები

საქართველო და დაღესტანი ურთიერთმოსაზღვრე ქვეყნებია. აღმოსავლეთ საქართველოსგან დაღესტანს მხოლოდ კავკასიონის მთავარი ქედი ჰყოფს[2]. ამ ორი ქვეყნის სიახლოვეზე უფრო ნათელი წარმოდგენისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: საქართველოს სტატისტიკურ აღწერაში ვკითხულობთ, რომ თელავის მაზრიდან დიდოს, აკუშისა და კაპუჭის „ლეკურ საზოგადოებებამდე 30-დან 10 ვერსამდე მანძილია[3], კაპუჭის აული ბეჟიტა ერთი დღის[4], დიდოს აული ასახო 36 საათის[5], ილანხევის საზოგადოებების აულები ეშიტო, კორეკე და ინცობა[6], ანწუხელების მთავარი აული ჩადედა 40 საათის[5] სავალზეა,

---

1 მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 107.

2 Мачабели М. В., Экономический быт государственных крестьян Тианетского уезда, Тифлисской губернии, для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края შემდეგში МИЭБКЗК), т. V, Тифлис, 1887, с. 315; 318.

3 ЦГВИА ფ. ВУА, დ. № 18481, გვ. 90.

4 იქვე, გვ. 99.

5 იქვე, გვ. 58.

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 100.

ხოლო სილდის საზოგადოების აულ სილდამდე მისვლას ორი[8], ბოგოზის საზოგადოების აულ ბოგოზამდე მისვლას კი სამი დღე სჭირდება[9]; კახეთის სოფლების გავაზის, ჭიკაანისა და კუჭატანის მცხოვრებლები ვმეზობლებიან კაპუჭელებს და მის უახლოეს აულ კოლაკამდე მისასვლელად საცხენისის უღელტეხილზე გავლით ნახევარი დღეა საჭირო[10]; თუშეთს აღმოსავლეთით დიდოეთი[11], ხოლო ხევსურეთს დაღესტნური საზოგადოებები დიდო და ბოგოზა ესაზღვრებიან[12], გერმანელი მეცნიერის გიულდენშტედტის ჩანაწერების მიხედვით, კახეთის სოფელ შილდიდან დიდოეთის აული ქიდირო, ისევე როგორც ქიზიყიდან დაღესტნის ერთ-ერთი მხარე ანწუხი, მხოლოდ ერთი დღის სავალზეა[13], კაპუჭამდე მისვლა კი გაცილებით ნაკლებ დროში შეიძლება[14]. 1824 წლის 31 ოქტომბერს თელავის საოლქო მმართველს სტეპანოვს ხოვენისადმი მიწერილ წერილში აღნიშნული აქვს, რომ კაპუჭის აული ბეჟიტა ყვარლიდან I დღის სავალზეა[15]. XVIII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული საქართველოს მეზობელ მხარეთა ერთი ცნობის მიხედვით, რომელიც დავით რექტორს მიეწერება, კახეთის საზღვრიდან დაღესტნის ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტ ხუნძახამდე მისვლას თურმე ოთხი დღე სჭირდება[16].

ტერიტორიული სიახლოვე და უშუალო მეზობლობა ყველა დროში და განსაკუთრებით ფეოდალური ურთიერთობის პირობებში, როდესაც საკომუნიკაციო საშუალებები განუვითარებელია და გამეფებულია ნატურალური, კარჩაკეტილი მეურნეობა, ეკონომიკური ურთიერთობისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება. გამონაკლისს ამ მხრივ არც საქართველო და დაღესტანი წარმოადგენდნენ.

დაღესტნისა და აღმოსავლეთ საქართველოს ერთმანეთთან დამაკავშირებელი მრავალი გზიდან XIX საუკუნეში ყველაზე მეტად გამოიყენებოდა ყადორისა და საცხენისის უღელტეხილებზე გამავალი გზები. ე. ვეიდენბაუმის აზრით, ესენი სხვა გზებთან შედარებით უფრო დაბალი და მოხერხებული ყოფილა და მდებარეობდა მუდმივი თოვლის საფარის ქვემოთ[17].

---

8 ЦГВИА, ф. ВУА, д. № 18481, лл. 99.

9 იქვე.

10 იქვე, лл. 91.

11 იქვე, лл. 95.

12 იქვე, лл. 97.

13 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, лл. 87.

14 იქვე, лл. 93; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, лл. 31.

15 საქ. ცსია, ფ. 16, აღნ. I, დ. № 3135; лл. I.

16 საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა, лл. 27.

17 Вейденбаум Е., Путеводитель по Кавказу, с. 25.

ყადორის უღელტეხილზე გამავალი გზა კახეთს დიდოეთთან აკავშირებდა: ნაფარეული — შაქრიანი — გრემი — ალმატი — მაღალი — ხერხემლისა და ქვათხვისთავის ქედი — მდინარე ინცობას ხეობა — ყადორის უღელტეხილი — ხუპრი—ქიდერო—ბეშთა[18]; ამავე უღელტეხილით დიდოელებს შეეძლოთ თბილისს დაკავშირებოდნენ: თბილისი — მუხრავანი — გომბორი — ახმეტა — ფშაველი — საბუე — ნათლისმცემელი — ყადორის უღელტეხილი — ხუპრო და ა. შ.[19], აღნიშნული გადასასვლელით კახეთს უკავშირდებოდა ხუნძახიც: ხუნძახი — ავარიის ყოისუ — ყარადაღის ხიდზე გავლით გზა მდინარე ავარიის ყოისუს ზემო წელისაკენ მიემართებოდა, ყარადაღიდან 102 ვერსის შემდეგ უხვევდა და მიჰყვებოდა მდინარე ბეჟიტის ხეობას, გადადიოდა მიჩიტლისა და ანდიის ყოისუს ზემო წელზე, გადაივლიდა ყადორის უღელტეხილს და ეშვებოდა კახეთში სოფელ შილდასთან. ეს გზა 187 ვერსის სიგრძის იყო და ყარადაღიდან 76-ე ვერსზე მდინარეების ბეჟიტისა და ოშიტლის შეერთების ადგილზე მას გამოეყოფოდა ბილიკი, რომელიც მიემართებოდა საცხენისის ანუ ვანთლაშეთის უღელტეხილისაკენ და ეშვებოდა კახეთში სოფელ საცხენისთან[20]. ხუნძახიდან თბილისში მიმავალი გზის შესახებ ცნობა შემონახული აქვთ ა. ჰ. შერბაჩევსა[21] და ხარისანფს[22]. ვანთლაშეთის უღელტეხილით კახეთი უკავშირდებოდა ანწუხელებსა და კაპუჭელებსაც[23].

კახეთის სოფელ ჭიკაანიდან კაპუჭის აულ კოლაკამდე მიმავალი გზის დაწვრილებითი აღწერა აქვს მოცემული პორუჩიკ გორდეევს[24].

ქიზიყი დაღესტანს შემდეგი გზით უკავშირდებოდა: ეს გზა მიემართებოდა სიღნაღიდან, გაივლიდა სოფელ ვაქირზე, შემდეგ პეტრიჩს — ნასმარის ველს — ზემო მინდვრის ველს — მუხალის მთის ქედს — ხიმრიკის საზღვარს — ქუთლს — თლიარათას[25].

კახეთს გარდა, აღმოსავლეთ საქართველოდან დაღესტანში გზა გადადიოდა ყაზბეგიდან თუშეთის გავლითაც: ყაზბეგი — მდინარე ჯუთა — გული — ძურძუმთა — მდინარე თუშეთის ალაზანი — ომალო — დიკლო — ხუშეთი — მდინარე ანდიის ყოისუ — ციქალაქი —

---

[18] Гасанов М. Р., У истоков братства, с. 9; Хашаев Х. М., Общественный строй Дагестана в XIX в., с. 86.

[19] Габиев М. С., დასახ. დისერტაცია, გვ. 35; Материалы по истории Дагестана и Чечни (первая половина XIX века), დ. № 86, გვ. 191.

[20] Вейденбаум Е., Путеводитель по Кавказу, с. 355—356.

[21] Шербачев А. П. დასახ. ნაშრომი, გვ. 298.

[22] Хрисанф, დასახ. ნაშრომი, გვ. 269, 270.

[23] Габиев М. С. დას. დისერტაცია, გვ. 35.

[24] ЦГВИА, ფ. 422, დ. № 1244, გვ. 1—15.

[25] Гасанов М. Р., დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

ზემო ხვარშინი — ქვემო ხვარშინი — ცუმადა — აგვალი — ბოთლიხი — ანდი[26].

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა გზა საქართველოს აერთებდა დაღესტნის დასავლეთ რაიონებთან. დაღესტნის ჩრდილოეთ მხარესთან დამაკავშირებელი გზებიდან კი, ნორდენსტამის გადმოცემით, უმოკლესი იყო შემდეგი: ვლადიკავკაზი — ნაზრანი — აკუ — იურტა — ასსი — არგუნი — ახბარზა — დაუტ-მარტანი — პხან-გეჩუ — გეკი — ჩუნგორი — გოიტი. შემდეგ გზა მიემართება დიდი ჩეჩენისკენ — შალი — ავტური — მაიორ-ტუპი — აპე-იურტი — კაჩკალიკის ქედის გავლით ოისუნგურში — ძველი აქსაი — ვნეზაპნა — თემირ-ხან-შურა[27].

ვლადიკავკაზიდან თემირ-ხან-შურაში მიემართებოდა მეორე გზაც: ვლადიკავკაზი — ნაზრანი — გროზნო — ბრაგუნი — ტაშკეჩუ — ჩირ — იურტა — თემირ-ხან-შურა[28].

აღმოსავლეთ საქართველოდან უშუალოდ დაღესტანში გადასასვლელი გზების გარდა ქართველები და დაღესტნელები ერთმანეთს ჭარ-ბელაქანზე გავლითაც უკავშირდებოდნენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ყოფილა ე. წ. „ბელაქნის გზა“, რომელსაც ჯერ კიდევ XIV საუკუნეში მოიხსენიებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი ავტორი[29]. ცოტა მოგვიანებით კი მისი ლოკალიზაციის შესახებ ჟამთაღმწერელიც გვაწვდის საინტერესო ცნობას. იგი წერს, რომ „ალათემურის“ ჯარებმა „განვლეს ჯავახეთი და თრიალეთი, და რუსთავს მტკვარს გავიდეს“, და ...„განვლეს კამბეჩიანი, კახეთი და ჰერეთი“, ... „წარვიდეს გზასა ბელაქნისასა“[30]

ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ ეს გზა თავის ფუნქციას ინარჩუნებდა მოგვიანო საუკუნეებშიც. მისი აზრით, „სავაჭრო-სამიმოსვლო გზა კახეთიდან თერგსა და ასტრახანისაკენ დაღისტან-საშამხლოზე გაივლიდა (ძეგამი — ყაზიყუმუხი — ყაზანჩი — ქიაფირ-ყუმუხი — ტარკი — ტიუმენი — თერგი). კახეთისათვის ამ გზას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს უმოკლესი მაგისტრალი იყო (ქარავანი მის გავლას 6—7 დღეს უნდებოდა) და შირვან-დარუბანდის გვერდის ავლით მარჯვედ შედიოდა იმიერ-კავკასიაში[31]“. ეს გზა ბელაქნიდან გადადიოდა ტინოვ-როსსას გადასასვლელზე[32].

---

26 Гасанов М. Р., დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

27 Материалы по истории Дагестана и Чечни..., № 132 (1834 г.), с. 327.

28 იქვე.

29 უცნობი ავტორი, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1959, გვ. 63.

30 იქვე, გვ. 252.

31 ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XIV—XVII საუკუნეების მიჯნაზე. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. I, გვ. 16.

32 თ. ბაბუაშვილი, ჭარ-ბელაქანი. გვ. 97.

ქართველებსა და დაღესტნელებს ერთმანეთთან დასაკავშირებლად შეეძლოთ გამოეყენებინათ გუდურის უღელტეხილზე გამავალი გზაც (მდებარეობდა 10,118 ფუტის სიმაღლეზე), რომელიც მიემართებოდა ზაქათალიდან, გაივლიდა მესელდიგერს, შემდეგ გუდურის გადასასვლელს, დიოლტი-დაღ-სალა-დაღის ქედების გავლით ადიოდა ლაკაზანის უღელტეხილზე და ყაზიყუმუხამდე მიუყვებოდა მდინარე ყაზი-ყუმუხის ყოისუს[33].

ამიერკავკასიიდან დაღესტანში საქარავნო გზა მიემართებოდა ნუხიდანაც[34].

ზემოთ აღნიშნულ საქარავნო გზების გარდა საქართველოსა და დაღესტანს შორის ურთიერთობაში დიდ როლს ასრულებდა კასპიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ არსებული, დერბენდზე გამავალი საზღვაო[35] და ე. წ. „ბაქოს"[36] გზებიც.

ვინაიდან საქართველოსა და დაღესტანს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობა მხოლოდ ვაჭრობითა და გაცვლა-გამოცვლით არ შემოიფარგლებოდა და ერთმანეთის საძოვრებით სარგებლობასაც მათი ეკონომიკისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ საქარავნო გზების გვერდით არსებობდა „ცხვრის გადასარეკი" ტრასები, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ე. წ. „ჭიათურის" (ალაზნის მარცხენა ნაპირის) გზა. იგი მიემართებოდა შირაქიდან ალაზნის მარჯვენა სანაპირო ველზე სიღნაღის მაზრის სოფლების (ბოდბისხევის, ქვემო მაჩხაანის, ტიბაანის, ჯარიანის, საქობოს) გავლით, დაახლოებით წნორის ფოსტიდან მიჰყვებოდა ლაგოდეხისაკენ მიმავალ შარაგზას, ჭიაურის ხიდით გადადიოდა ალაზნის მარცხენა სანაპიროზე და ლაგოდეხ-თელავის მიმართულებით აღწევდა სოფელ გავაზამდე (ბეჟანიანთ მიწებამდე). შემდეგ ცხვარი მოძრაობდა ყველა შესაძლებელი მიმართულებით ჩრდილოეთისაკენ გავაზის (დღევანდელი ახალსოფელი), ყვარლის, შილდის, საბუის, ნაფარეულისა და სხვა სოფლების გავლით და ადიოდა კავკასიონის ქედზე, კერძოდ კი დაღესტნის მთებში. ამ გზით დადიოდნენ თუშები და კახელებისა და პანკი-

---

[33] Вейденбаум Е. დასახ. ნაშრომი, გვ. 26; თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97; Гасанов М. Р. დას. ნაშრომი, გვ. 9.

[34] Гасанов М. Р., დასახ. ნაშრომი, გვ. 9; Вейденбаум Е. назв. труд, с. 26.

[35] Гасанов М. Р., დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

[36] Дюкруаси Н. А., Краткое описание главных торговых путей сообщения Закавказского края, Записки кавказского отдела императорского русского географического общества, ч. I, Тифлис, 1852, с. 163; Обозрение российских владений за Кавказом, в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношениях, ч. IV, с. 163.

სელების ნაწილი[37]. დაღესტნისაკენ ცხვრის გადასარეკი გზა ადის აგრეთვე მთისძირიდან (ძველი არეში). იგი ღვალოიანის მთაზე უერთდება გავაზურს[38].

ხუნძახში (ავარიის ხეობაში), გზა გადადის მაწიმის ხეობიდან, ლაგოდეხიდან და კატეხიდან[39].

თუშები დაღესტნიდან ცხვრის გადასარეკად ალვანის ხეობიდან. სარგებლობდნენ სხვა გზებითაც. მათი უმეტესი ნაწილი ადიოდა სოფელ ფშაველითა და ლეჩურით დიდგვერდის იალაღზე. დიდგვერდზე, ლეკთვაკესა და ჩახათანზე ისვენებდნენ. აქედან ფარა ადიოდა როგორც ალაზნის თავზე, გომეწრის, ჩალმისა და პირიქითის იალაღებზე, ასევე „დაღესტნის მთებში"[40].

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი საფეხურისა და მთიანი ლანდშაფტის გამო გზები კეთილმოუწყობელი იყო, ამიტომ საქართველოსა და დაღესტანს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. როგორც ვ. პოტო წერს: „ამ ველურ ქვეყანაში (იგულისხმება დაღესტანი, — მ. ტ.) ურთიერთდამაკავშირებელი ყველა გზა წარმოადგენს მთის ბილიკს, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ ქვეითად მოსიარულეთათვის. მათზე გავლა ყოველთვის არ შეუძლია საპალნიან ცხენსაც კი. ძალიან ხშირად ასეთ ბილიკებს ენაცვლება რამდენიმე ათასი ფუტის სიმაღლე უფსკრულის პირას, სალ კლდეებზე გამოკვეთილი საფეხურები და ხიდები, რომლებიც დაუდევრად არის გადაკიდებული უფსკრულის ერთი ნაპირიდან მეორეზე[41]". ამის გამო „აქ აულიდან აულში და საზოგადოებიდან საზოგადოებაში ყოველი გადასვლა თავისებური გმირობა და რისკი თუ არა, დიდი შრომა მაინც არის"[42]. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება[43].

აღნიშნულ ბილიკებზე მოძრაობას განსაკუთრებით ართულებდა წვიმები, რის შემდეგაც გზები ირეცხებოდა და მათ აღდგენამდე დასახლებულ პუნქტებს შორის მისვლა-მოსვლა დროებით ფერხდებოდა[44].

---

37 Мачабели М. В., Назв. труд, с. 419; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 96.

38 დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, (II ტ.), გვ. 96.

39 იქვე, გვ. 94.

40 Мачабели М. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 421.

41 Потто В., Утвержд. русск. влад. на Кавказе..., с. 379.

42 Воронов Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

43 Розен Р. Ф., დასახ. ნაშრომი, გვ. 292. ЦГВИА, ფ. ВУА, დ. № 184742, გვ. 8.

44 ЦГВИА, ფ. 422, დ. № 1244, გვ. 12.

სიძნელეებთან ერთად, რაც გამოიხატებოდა საკომუნიკაციო საშუალებების მოუწყობლობაში, საქართველოსა და დაღესტანს შორის არსებულ ურთიერთობას ახასიათებდა სეზონურობაც: დიდთოვლობის გამო შემოდგომიდან გაზაფხულამდე უღელტეხილები იკეტებოდა, რის გამოც მოძრაობა შეუძლებელი ხდებოდა[45]. ამიტომ საქართველოში მყოფი დაღესტნელები მოსალოდნელი დიდთოვლობის შიშით ზაფხულის ბოლოსვე იჭერდნენ გამგზავრების თადარიგს, „რადგანაც შემოდგომით გზები იფარებოდა თოვლით და ძნელი გასასვლელი ხდებოდა ყინვების გამო“ — როგორც ამას თავის 1812 წლის გენ. რტიშჩევისადმი მიწერილ წერილში სწერდა ყურბან ყარატელი[46].

ფ. ი. გენეს გადმოცემით, „დაღესტნის დასავლეთ ნაწილის მცხოვრებლებს ზამთრობით ღრმა თოვლისა და ძლიერი ქარბუქების გამო არ შეუძლიათ ისარგებლონ ყველა გზით, რომლებსაც იყენებენ ისინი ზაფხულის პერიოდში“[47].

ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ზამთარში ცუდი ამინდების მიუხედავად მაინც რჩებოდა ზოგიერთი გზა-ბილიკი, რომლითაც საქართველოსა და დაღესტანს შორის მგზავრობა შეიძლებოდა. გორდეევი საცხენისის უღელტეხილზე გამავალი გზის შესახებ მიუთითებს, რომ მიუხედავად სირთულეებისა ეს გზა მთელი ზამთრის განმავლობაში მაინც რჩებოდა მთისა და ბარის დამაკავშირებელ მთავარ გზად[48].

დიდთოვლობის გამო შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულის თვეებში ბარს მოწყვეტილი დაღესტნელი მთიელები[49] ზაფხულის განმავლობაში ცდილობდნენ დანაკლისის ანაზღაურებას და იმარაგებდნენ მომდევნო ზამთრისათვის ყოველივეს, რაც მათი არსებობისათვის იყო საჭირო და რის მოთხოვნილებასაც ვერ დაიკმაყოფილებდნენ ადგილზე ბუნებრივი პირობების მეტისმეტი შეზღუდულობის გამო. ამიტომ მთელი ზაფხულის განმავლობაში საქართველოსა და დაღესტანს შორის ეკონომიკური კონტაქტები არ წყდებოდა და იგი მეტად ცხოველ ხასიათს ატარებდა.

---

[45] ЦГВИА, ф. 422, д. № 1244, лл. 9. Акты, собранные Кавказской археографической комиссией (в дальнейшем АКАК), т. V. ч. 2, 1873, № 451, с. 373; Потто В., Утверждение русск. вкладыч.. с. 379

[46] АКАК. т. V, ч. 2, д. № 742, с. 613.

[47] Генеф. И., დასახ. ნაშრომი, ლ. 347.

[48] ЦГВИА, ф. 422, д. № 1244, лл. 12.

[49] იქვე, лл. 9;

§ 2. ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა საქართველოსა და დაღესტანს შორის XIX საუკუნის პირველ მესამედში

საქართველოსა და დაღესტანს შორის მჭიდრო და შეუწყვეტელ ეკონომიკურ ურთიერთობას ტერიტორიულ სიახლოვესთან ერთად მნიშვნელოვნად განაპირობებდა ის ფაქტორიც, რომ ისინი ბარისა და მთის, რელიეფითა და მასთან დაკავშირებული სამეურნეო პირობებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ რაიონებს წარმოადგენენ. ამიტომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მათი ურთიერთობა, სრულიად სამართლიანად, განიხილება მთისა და ბარის ურთიერთობათა ჭრილში. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით ყოველ თემს ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ, არც ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა“[50]. ეს სიტყვები საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემასთან დაკავშირებით არის ნათქვამი, მაგრამ თავისუფლად შეიძლება გავრცელდეს დაღესტანზეც. საქართველოს მეზობელი დაღესტნური მთური თემები ძირითადად ერთნაირი სამეურნეო პირობების მქონენი იყვნენ და ერთურთის ნაკლს ვერ შეავსებდნენ. ერთერთი, ხოლო ზოგიერთი თემისათვის კი ერთადერთი გამოსავალი იყო კახეთის ბართან მუდმივი ეკონომიკური კავშირი — გაცვლა-გამოცვლა.

ივ. ჯავახიშვილის დებულების: „ბარელს მთა სჭირდება და მთიელს კიდევ ბარი, უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეუძლიათ“[51]—შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს დაღესტნელი მთიელებისა და კახელების ურთიერთობა XVIII საუკუნეში, როდესაც უკიდურესობამდე გართულებული პოლიტიკური ვითარების დროსაც კი (XVIII საუკუნე დაღესტნელ მთიელთა აღმოსავლეთ საქართველოს ბარზე ექსპანსიის უკიდურესობამდე გაძლიერების პერიოდია) მათ შორის გაცვლა-გამოცვლის პროცესი არ წყდებოდა. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის გერმანელი მეცნიერი გიულდენშტედტი: დაღესტნის უნძოსა და დიდოს მცხოვრებლები „ქსოვენ უხეშ მაუდს და მისგან ამზადებენ ჩოხებს. ამას, ქეჩას და ცხვარს ისინი კახეთში ცვლიან ბამბის ქსოვილებზე და სხვა საოჯახო ნივთებზე“[52]; ხოლო ანწუხელები „ვაჭრობენ თელავსა და თბილისში“[53]; დიდოელები კი კახეთში მოდიოდნენ „ქართლიდან მოტანილი ბამბის ქსოვილების შესაძენად“[54].

---

50 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტფ., 1930, გვ. 316.

51 იქვე, გვ. 317.

52 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გვ. 95.

53 იქვე, გვ. 89.

54 იქვე, ტ. I, გვ. 107.

დაღესტან-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის შესწავლისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დაღესტანი XIX საუკუნის პირველ მესამედში არ წარმოადგენდა ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. იგი დაქუცმაცებული იყო მრავალ მსხვილ თუ მცირე, ხშირად ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ პოლიტიკურ ერთეულებად, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. ამიტომ მათი დამოკიდებულების ხასიათი მეზობელ ქართლ-კახეთთან ღრმად ინდივიდუალური იყო.

დაღესტანი გეოგრაფიულად შეიძლება ოთხ ზონად დაიყოს: ვაკე, მთისწინეთი, მთიანი და მაღალმთიანი დაღესტანი. დაღესტნის გეოგრაფიული ზონები ერთმანეთისგან განსხვავდებიან არამარტო რელიეფით, კლიმატითა და ცხოველთა სამყაროთი, არამედ ნიადაგითა და მცენარეული საფარითაც[55]. აქედან გამომდინარე, მის სხვადასხვა ზონაში მეურნეობის განსხვავებული დარვები იყო განვითარებული, რაც განაპირობებდა მისი ცალკეული რაიონის საქართველოსთან ურთიერთობის ხასიათის მრავალგვარობასა და აუცილებლობას.

ჩვენს ქვეყანასთან მჭიდრო ეკონომიკურ კონტაქტში იყო დაღესტნის ის მოსახლეობა, რომელიც ტერიტორიულად უშუალოდ ემეზობლებოდა ქართლ-კახეთს (ანწუხელები, დიდოელები, ანდიის, ბოთლიხის, თანდუსის, შიდროტის, კაპუჩისა და სხვა ხალხები). დაღესტნის უფრო შორეული კუთხეების მცხოვრებლებისა და ქართველების ურთიერთობა კი მათთან შედარებით უფრო შესუსტებულად გამოიყურება.

იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დაღესტნის ზემოთ ჩამოთვლილი ხალხებისათვის საქართველოსთან ვაჭრობას, წარმოდგენას გვიქმნის ის მრავალი წერილი, რომლებითაც ისინი რუსეთის ადმინისტრაციას სთხოვდნენ ქართლ-კახეთთან ეკონომიკური ურთიერთობის განახლებას, სამაგიეროდ კი აღუთქვამდნენ მთელ რიგ დათმობებზე წასვლას. მაგალითად, ანწუხის, კაპუჩისა და კარახის საზოგადოებების მოსახლეობა ითხოვდა „ძველებურად საქართველოსთან ვაჭრობის წარმოების უფლებას", სანაცვლოდ კი იძლეოდნენ პირობას, რომ „ადგილობრივ მცხოვრებლებთან იქნებოდნენ მშვიდობიან და მეგობრულ ურთიერთობაში"[56]. XIX საუკუნის პირველ მესამედში ანალოგიური შინაარსის მრავალი დოკუმენტის დასახელება შეიძლება[57].

---

55 Хашаев Х. М., Занятия населения Дагестана в XIX веке, с. 15.

56 АКАК, I, Тифлис, 1866, д. № 935, с. 660.

57 იქვე, II, Тифлис, 1868, с. № 1543, с. 755; там же: д. № 1582, с. 770; там же, IV, Тифлис, 1870, д. № 913, с. 600; там же V, ч. 2, д. № 742, с. 613; там же: д. № 748, с. 614; там же: д. № 736, с. 610.

თავის მხრივ, ქართული მოსახლეობაც არანაკლებ იყო დაინტერესებული დაღესტანთან ვაჭრობით. ამისი შესანიშნავი დადასტურებაა მეფის რუსეთის მოხელეების მიერ 1802 წლის ზაფხულში ქართლ-კახეთში დაღესტნელების სავაჭრო-გაცვლითი მიზნით სიარულის აკრძალვაზე ქართველი ვაჭრებისა და ხელოსნების დიდი უკმაყოფილება, რომლებიც როგორც კოვალენსკი 1802 წლის 13 ივლისს სწერდა კნორინგს, „დაკინებით ითხოვდნენ ნება დაერთოთ „ლეკებისათვის", ძველებურად ეწარმოებინათ ვაჭრობა საქართველოსთან"[58].

დაღესტნელების უმრავლესობას საქართველოდან უმთავრესად პირველი მოთხოვნილების საქონელი მიჰქონდა. პოდპოლკოვნიკი მედოკსი 1831 წლის 8 თებერვალს მოახსენებდა პასკევიჩს, რომ მთის ხალხს (მათ შორის დაღესტნელებსაც), „თითქმის არ შეუძლიათ არსებობა ჩვენი პროვინციების გარეშე. ყველა ისინი ჩვენგან მარაგდებიან მარილით, არა აქვთ საკუთარი სელი, ქაღალდი, აბრეშუმი; ჩვენგან იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებას ტანსაცმლის ნახევარზე, ყიდიან და ცვლიან ჩვენთან თავიანთი კუსტარული მრეწველობის ნაწარმს პურზე, რაც მთის მრავალ ხალხში არასაკმარისი აქვთ"[59].

როგორც ამ მოხსენებიდან ჩანს, დაღესტნის თემების ნაწილი პურის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. ისინი „მიწათმოქმედებას ნაკლებად მისდევენ, რის გამოც საკუთარი მარცვლეული ჰყოფნიდათ არა უმეტეს სამი-ოთხი თვისა"[60], ნ. დუბროვინის ეს დახასიათება არ შეიძლება გავრცელებულ იქნას მთელ დაღესტანზე, რადგან მისი მრავალი საზოგადოებისათვის მეურნეობის მთავარ დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა[61]. მაგალითად, სანაპიროსა და მთის წინა ზოლის მოსახლეობა... თვითონ ყიდდა პურს, ხოლო მთიანი დაღესტნის მრავალი რაიონი მასზე მოთხოვნილებას საკუთარი სახსრებით იკმაყოფილებდა[62].

მარცვლეულით თავი ვერ გაჰქონდა მაღალმთიანი და მთიანი დაღესტნის ზოგიერთ რაიონს, რადგან აქ უნაყოფო და სალი კლდეების გარემოცვაში მიწათმოქმედების განვითარებისათვის არავითარი პირობები არ არსებობდა[63]. ამის გამო დაღესტნის აღნიშნული რაიონების

---

[58] АКАК, I, დ. № 935, გვ. 660.

[59] იქვე, VII, Тифлис, 1878, დ. № 470, გვ. 518.

[60] Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе. Т. I, ч. I, с. 504.

[61] АКАК, V, ч. I, დ. № 223, გვ. 155; იქვე, VII, დ. № 470, გვ. 518.

[62] Зиссерман А. Л., Двадцать пять лет на Кавказе (1842—1867), ч. II, СПб, 1879, с. 59.

[63] Материалы по истории Дагестана и Чечни, სბ.. № 49 გვ. 128; სბ. № 101, გვ. 244, 245, 247; Воронов Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 27, 29; Мой воспоминания 1840—1844 гг., князя А. М. Дондукова-Корсакова, С-Петербург, 1902, გვ. 165.

მოსახლეობა იძულებული იყო პური შეეტანა მეზობელი, მარცვლეულით მდიდარი, რაიონებიდან, კასპიის სანაპირო დაბლობის პურით მდიდარი დაღესტნური სახანოები, ჭარ-ბელაქანი, ჩრდილოეთ კავკასიის რუსული დასახლებული პუნქტები: ყიზლარი, მოზდოკი, სვიატოი კრესტი და ა. შ., ყაზიყუმუხი (ნ. დუბროვინის ეს ცნობა გულისხმობს, ალბათ, ყუმუხში გამართულ ბაზრობას, სადაც პური შეჰქონდათ დაბლობი რაიონებიდან, რადგანაც თვით ყაზიყუმუხი მარცვლეულით ძალზე ღარიბი იყო)[64], ჩეჩნეთი, აღმოსავლეთი საქართველო წარმოადგენდა მათთვის პურის ძირითად მიმწოდებელს.

რა თქმა უნდა, იყო წლები, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს თვითონ არ ჰყოფნიდა საკუთარი მარცვლეული და, ცხადია, მას ბაზარზე გასაყიდად ვერ გამოიტანდა. ამ მხრივ ქვეყანაში განსაკუთრებით დაძაბული ვითარება იყო XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, 1802 წელს კი ქართლ-კახეთის სამეფოს ისე გაუჭირდა რუსის 5 ათასამდე ჯარისათვის სურსათი მიეწოდებინა, რომ საჭირო შეიქმნა პური ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოეტანათ[65].

XIX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს დაღესტანთან მარცვლეულით ვაჭრობაში პრიორიტეტს ინარჩუნებდა კახეთი. პურის მარაგის შესავსებად კახეთთან მუდმივ სასაქონლო ურთიერთობაში იყვნენ ანტ-რატლელები. ნ. დუბროვინი აღნიშნავდა, რომ ანტ-რატლელები „პურს ყიდულობდნენ კახეთში, ჭარის ოლქსა და ყაზი-ყუმუხში, იმისდა მიხედვით, ვისთვის რომელი უფრო ახლოა“[66]. როგორც განსახილველი პერიოდის წყაროების მონაცემები გვიჩვენებენ, ანტ-რატლის საზოგადოებებიდან მარცვლეულს ძირითადად კახეთიდან იმარაგებდნენ კაპუჭელები და ანწუხელები[67]. კახეთში ანწუხელების მიერ პურის შეძენის ფაქტს ვხედებით გენერალ რტიშჩევის 1816 წლის 10 ივნისის მოხსენებაშიც[68].

გორდეევის გადმოცემით, რომელიც ეყრდნობა ანწუხელებისა და კაპუჭელების პრისტავის, თავად ვაჩნაძის მიერ ნდობით აღჭურვილი კოლაკის მამასახლისის, მოლა მამედის ნაამბობს (ეხება ძირითადად ანტ-რატლის მცხოვრებლებს — ,მ. ტ.): „ლეკებს ყოველწლიურად კახეთიდან და ნაწილობრივ ჭარ-ბელაქნის რაიონებიდან ყიდვითა და თა-

---

[64] АКАК, V, ნაწ. I, დ. № 224, გვ. 157; Воронов Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[65] პ. გუგუშვილი, მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ., 1954. გვ. 16.

[66] Дубровин Н., История войны и владыч..., с. 504.

[67] ЦГВИА, ფ. 422, დ. № 1244, с. 4; იქვე, ფ. ВУА, დ. № 18481(2), с. 99, 100; Норденстам И. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 324.

[68] АКАК, ტომი V, ნაწ. 2; დ. № 471, გვ. 388.

ვიანთ ნაკეთობებსა და ცხვრებზე გადაცვლით შეაქვთ ხუთმეტი ათასი ჩარექი სხვადასხვა პური"[69].

დასავლეთ დაღესტნის მცხოვრებლების (კერძოდ კი ანწუხელებისა და კაპუჭელების) მიერ კახეთიდან პურის შეძენაზე საინტერესო ცნობა აქვს შემონახული გორდეევს: ჭიკაანი — საცხენისის უღელტეხილი — კოლაკის გზაზე „ცორლ-ნუტლ-ტუნის ხეობაში... ანწუხისა და კაპუჭის საზოგადოებებს აქვთ ოთხი დიდი ბის მაღაზია, გადახურული ფიცრებითა და ხის ქერქებით. კახეთში ზამთრობითა და ზაფხულობით ნაბდებზე, ქეჩაზე, შალზე, დანებზე, ბანჯლებზე, დენთზე, თაფლზე, ყველსა და ცხვრებზე გადაცვლილი სხვადასხვა ჯიშის პური დაღესტნელებს თავდაპირველად მიაქვთ ამ მაღაზიებში, საიდანაც ხელსაყრელ შემთხვევაში და მშრალ ამინდში მუდმივად გადააქვთ ხურჯინებით თავიანთ საცხოვრებელსა და მტრულად განწყობილ დაღესტნურ საზოგადოებებში. ეს მაღაზიები წელიწადის არცერთ დროს არ არის ცარიელი და გარკვეული გასამრჯელოს ფასად მას ყოველთვის დარაჯობს რამოდენიმე ლეკი"[70].

აღმოსავლეთ საქართველოდან პური შეჰქონდათ დიდოელებსა[71] და კუბაჩელებსაც[72].

დაღესტნელები მარილსაც ქართლ-კახეთში იძენდნენ[73].

საკვები პროდუქტების გარდა დაღესტნელებში დიდი მოწონებით სარგებლობდა საქართველოში დამზადებული ბამბის ქსოვილები[74]. შათ ქართლ-კახეთიდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ სხვადასხვა ფერის ბურმენტი, ნარმა, ალაჯა[75], ბამბის უხეში ტილო[76], რუსული ტილო სარტყლებისათვის, ყუმაში[77], ლაინი[78]. ი. შახგუბატოვის 1819 წლის თბილისისა და გორის ბაზრობების აღწერა ამის კიდევ ერთი დადასტურებაა: „გორისა და თბილისის ბაზარზე დიდი რაოდენობით ჩამოჰქონდათ: ნარმა, სახიანი ჩითი, ბურმენტი და სხვა ქსოვილები. ამ საქონლის შესაძენად თბილისში მოდიოდნენ მთიელები, ფშაველები, ხევსურები, ლეკები, ჩერქეზები, ოსები და სხვები"[79].

---

69 ЦГВИА, ფ. 422, დ. № 1244, გვ. 16.

70 იქვე, გვ. 5.

71 იქვე, ფ. ВУА, დ. № 18481 (2), გვ. 58.

72 საქ. ცსია, ფ. 16, აღნ. I, დ. № 4685, გვ. 1.

73 АКАК, ტ. V, ნაწ. 2, დ. № 471, გვ. 388; იქვე, ტ. VII, გვ. 518.

74 იქვე, ტ. V, ნაწ. 2, დ. № 396, გვ. 334.

75 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 641, გვ. 8.

76 ЦГВИА, ტ. ВУА, დ. № 18481(1), გვ. 18.

77 АКАК, V, ნაწ. 2, დ. №396, გვ. 334.

78 დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, დასახ. სტატია, გვ. 119.

79 ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

ბამბის ქსოვილებთან ერთად ჩვენი მეზობლები დიდი სიამოვნებით ყიდულობდნენ სხვადასხვა აბრეშუმის ქსოვილებს[80], უფრო ხშირად კი ნაირ-ნაირი ფერის დარაიას[81], ფარჩას[82], აგრეთვე სელს[83].

ქართლ-კახეთის ქალაქებში ამ პერიოდისათვის საკმაოდ მრავლად იყვნენ სხვადასხვა დარგის ხელოსნები. მათი პროდუქცია დიდი რაოდენობით გამოდიოდა ადგილობრივ ბაზარზე გასაყიდად. დაღესტნელები, რომლებიც კუსტარული მრეწველობის მთელი რიგი დარგების დიდოსტატებად იყვნენ აღიარებულნი, როგორც ჩანს, ხშირად ყიდულობდნენ ქართული იმ დარგის ხელოსნობის ნაწარმს, რომელიც მათთან, დაღესტანში განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე იდგა. განსაკუთრებით სიამოვნებით ხმარობდნენ ისინი საქართველოში შეკერილ ჩექმებს, ქუდებსა[84] და ტანსაცმელს[85].

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საქონლისა, დაღესტნის მთელი რიგი საზოგადოებები საქართველოდან მარაგდებოდა ადგილობრივი მოჩითული ქსოვილებით შეკერილი საბნებით[86], ქაღალდითა[87] და ლილით[88].

საქართველოდან გაჰქონდათ დაღესტნელებს სპილენძი[89], რკინა[90], ოქრო, ვერცხლი[91].

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მთიანი და განსაკუთრებით კი მაღალმთიანი დაღესტნის მთელი რიგი საზოგადოებებისათვის კუსტარული მრეწველობა წარმოადგენდა შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. როგორც რ. მ. ხაშაევი აღნიშნავს, „კუსტარულ ნაწარმს მო-

---

80 АКАК, V, ნაწ. 2, დ. № 396, გვ. 334.

81 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 641, გვ. 8.

82 ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის (გვიანფეოდალური ხანა) (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება). დ. № 19, გვ. 351; შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1948, დ. № 18.

83 АКАК, VII, დ. № 470, გვ. 518.

84 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 641, გვ. 8.

85 АКАК, VII, დ. № 470, გვ. 518.

86 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 641, გვ. 8.

87 АКАК, VII, დ. № 470, გვ. 518.

88 Пурцеладзе Д., Грузинские крестьянские грамоты, Тифлис, 1882, с. 60.

89 АКАК, IV, დ. № 396, გვ. 334.

90 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 4685, გვ. 1.

91 ЦГВИА, ფ. ВУА, დ. № 18481 I, გვ, 18; Обозрение российск. влад. за Кавказом..., часть I, с. 264.

ჰქონდა მნიშვნელოვანი შემოსავალი, რითაც მთიელები ფარავდნენ გასავალს საკვებ პროდუქტებზე, უმთავრესად კი პურზე"[92].

უცნობი ავტორი 1804 წელს წერდა კუბაჩელების შესახებ: „მისი ყველა მცხოვრები, მათი ცოლები, ვაჟები და ქალიშვილები, მიაღწევენ რა ათი წლის ასაკს, უკვე ხელოსნები არიან. მამაკაცები დაკავებულნი არიან ხანჯლების, ხმლების, თოფების, პისტოლეტების, დანების, ცხენისა და იარაღის აღჭურვილობის, ასევე ქალის ოქროსა და ვერცხლის ქამრების კეთებით. თანაბარზომიერად გამოჰყავთ ვერცხლზე ოქროს, ხოლო რკინაზე ოქროსა და ვერცხლის სევადა, რაშიც მათ ეხმარებიან მცირეწლოვანი ბავშვები და თვითონ ცოლებიც. თუმცა ეს უკანასკნელნი უმთავრესად დაკავებულნი არიან მთაში ყველაზე საუკეთესო ხარისხის შალისა და ტილოს ქსოვით"[93]. ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი შესანიშნავად გადმოგვცემს დაღესტნის ერთ-ერთ აულ კუბაჩში კუსტარული მრეწველობის განვითარების დონესა და მასშტაბებს. აღნიშნული მდგომარეობა დამახასიათებელი იყო თითქმის მთელი მაღალმთიანი დაღესტნისათვის.

რადგანაც კუსტარული მრეწველობის ასეთი ფართო გავრცელებისა და მისი პროდუქციის საკმაოდ მაღალი ხარისხის გამომწვევ ძირითად მიზეზად ბურჟუაზიული და საბჭოთა ისტორიკოსების მიერ ერთხმადაა აღიარებული იმ გარემომცველი ბუნებრივი პირობების სიმწირე, რომელშიც უხდებოდათ არსებობა მთიანი დაღესტნის მცხოვრებლებს, საჭიროდ მიგვაჩნია საილუსტრაციოდ ერთ-ერთი მაგალითის მოყვანა. ა. ს. გაბიევი წერდა ლაკების ქვეყნის შესახებ, რომ იგი „უტყეოა. მკაცრი კლიმატური პირობების გამო მებაღეობა შეუძლებელია, მიწათმოქმედებისათვის ვარგისი მიწები კი მხოლოდ ხეობებშია გაბნეული. მთის ფერდობები დაფარულია ფართო საძოვრებით, სადაც ზაფხულობით შეიძლება გამოიკვებოს ცხვრის დიდი ფარები, მაგრამ ზამთარში საკვების ნაკლებობა არ იძლევა მეცხვარეობის იმ დონემდე განვითარების საშუალებას, რომ მწირ მიწათმოქმედებასთან ერთად საკვებით უზრუნველყოს ეს მხარე"[94]. აღნიშნულ გარემო-პირობებში უხდებოდა ცხოვრება დაღესტნის თითქმის მთელი მაღალმთიანი ზონის მოსახლეობას.

დაღესტანში განსაკუთრებით მაღალ საფეხურზე იდგა ვერცხლისა და ლითონის დამუშავება, იარაღის წარმოება და სამჭედლო საქმე. მთელ კავკასიაში იყო განთქმული აგრეთვე დაღესტნური ნაბდები, მაუდი, ხალიჩები. დაღესტნური საყოფაცხოვრებო დანიშნულების (ჯა-

---

[92] Х. М. Хашаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[93] იქვე, გვ. 69.

[94] Габиев С., დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

მები, ქვაბები და ა. შ.) ხელოსნური ნაწარმი ხასიათდებოდა გამძლეობითა და შესრულების მაღალი ხარისხით, ხოლო ოქრის, ვერცხლისა და ლითონის ბევრი საიუველირო ნივთი, ცივი და ცეცხლმსროლელი იარაღი, კერამიკული, თიხისა თუ ძვლის ნაკეთობანი, დაღესტნური ხალიჩები შესრულების მაღალი დონით, სინატიფით, ორნამენტის ორიგინალობითა და განუმეორებლობით, მასალისა და ხელობის ცოდნის გასაოცარი უნარითა და უბრწყინვალესი გემოვნებით მსოფლიო შედევრებს უტოლდება.

დაღესტნური ხელოსნური ნაწარმის ასეთი მაღალი მხატვრული ღირებულება გამოწვეული იყო იმ მკვეთრი სპეციალიზაციით, რომელსაც ჯერ კიდევ უხსოვარ დროში ჩაეყარა საფუძველი და, შემაგრებული იყო რა ისეთი აუცილებლობით, როგორსაც წარმოადგენს სიცოცხლისათვის საჭირო მინიმალური მატერიალური პირობების შექმნა, საუკუნეების განმავლობაში სულ უფრო გაღრმავდა და დაიხვეწა.

XIX საუკუნეში დაღესტანში განსაკუთრებით შორს იყო წასული სპეციალიზაცია მხარეებს შორის, ხოლო მხარეებში — აულებს შორის[95].

არ შეიძლება არ გავიზიაროთ ე. ვ. კილჩევსკაიასა და ა. ს. ივანოვის შეხედულება იმის შესახებ, რომ სპეციალიზაციასთან ერთად ნედლეულისა და თავისუფალი ჯარბი მუშახელის არსებობა, განსაკუთრებით ხანგრძლივი ზამთრის თვეებში, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ ხელოსნობის მრავალგვარი დარგების განვითარებისათვის[96].

ხ. მ. ხაშაევი დაღესტნის კუსტარულ მრეწველობას სამ მთავარ — 1) მატყლის; 2) ლითონის; 3) ხის, ტყავისა და თიხის დამმუშავებელ,— დარგად ჰყოფს[97].

რადგანაც დაღესტნური ხელოსნობის სამივე დარგის პროდუქცია ძირითადად გასაყიდად მზადდებოდა, ხოლო მათზე დიდი მოთხოვნილება იყო საქართველოში, ამიტომ მათი შემოტანა ქართლ-კახეთის ბაზრებზე დიდი რაოდენობით ხდებოდა.

დაღესტნიდან აღმოსავლეთ საქართველოში სარეალიზაციოდ შემოტანილი პროდუქციიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დაღესტნური ნაბდები[98], რომლებიც თავისი გამძლეობით, მოხერხებულობითა და საუკეთესო ხარისხით განთქმული იყო არამარტო საქარ-

---

95 Кильчевская Э. В., Иванов А. С., დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

96 იქვე გვ. 7.

97 Хашаев Х. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

98 АКАК, т. V, ч. 2, № 396, с. 334; Обозрение российских влад..., ч. I, с. 264; ЦГВИА, ф. ВУА, д. № 18481(1), с. 15, 18; საქ. ცსია, ფ. 2; აღწ. I, დ. № 920, გვ. 19, 29.

თველოში, არამედ მთელ მახლობელ აღმოსავლეთში. როგორც თბილისის საბაჟოს 1813 წლის დავთარშია აღნიშნული: „საქართველოს, ირანის, თურქეთისა და შემოერთებული პროვინციების თითქმის ყველა მცხოვრები წვიმების, ძლიერი ქარებისა და უამინდობისაგან თავის დასაცავად ატარებენ ნაბდებს“[99]. მის ადგილობრივ პირობებთან შესაბამისობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ „საქართველოში განლაგებული კაზაკთა შვიდი პოლკისა და რეგულარული ჯარების ოფიცერთა უმეტესობა შეეგუა რა ადგილობრივი მხარის ადათ-წესებსა და კლიმატს, ატარებდნენ ნაბდებს, განსაკუთრებით კი ლაშქრობის დროს“[100].

XIX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში დაღესტნიდან ნაბდები დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ. მაგალითად, 1801 წლის აგვისტოში კახეთის სოფელ გავაზში ათ დაღესტნელს გასაყიდად ჩამოტანილი ჰქონდა 343 ნაბადი[101], 1819 წელს ქალაქ თელავში სარეალიზაციოდ შემოუტანიათ 505 ნაბადი[102], ხოლო 1833 წლის ნოემბერში ქალაქ თბილისის მოქალაქე შადინოვის ქარავან-სარაიაში აღრიცხული იყო დაღესტნიდან გასაყიდად ჩამოტანილი 1733 ნაბადი...[103].

აღმოსავლეთ საქართველოში ნაბდების დიდი რაოდენობით შემოტანასთან დაკავშირებით დედაქალაქის საბაჟოში მისით ვაჭრობისა და ბაჟის რეგულირების საკითხი წამოჭრილა. საჭიროდ მიუჩნევიათ განესაზღვრათ შემოტანილი ნაბდების რიცხვი და იმ თანხის ოდენობა, რაც მისი გაყიდვის შემდეგ რჩებოდათ „ლეკებს“, რათა ამის მიხედვით შეემუშავებინათ სახელმწიფოსათვის სასარგებლო საბაჟო გადასახადების ახალი სისტემა[104].

ნაბდების იმპორტი წლითიწლობით იზრდებოდა[105]. საქართველოს სტატისტიკური აღწერის (1825 წლის შემდეგდროინდელი) მიხედვით, ყოველწლიურად საქართველოში შემოდიოდა 1500 ხურჯინი ნაბადი; თითოეულ ხურჯინში 30 ნაბადი იდებოდა[106].

ნაბდები სხვადასხვა ხარისხის იყო[107], ამიტომ მათი ფასიც განსხვავდებოდა: 1813 წელს თბილისში ყველაზე საუკეთესო ხარისხის ნაბადი იყიდებოდა 8-დან 20 მანეთამდე, საშუალოს ღირებულება მერყეობდა 4-დან 7 მანეთამდე, ხოლო უკანასკნელი ხარისხის — 2-დან

---

99 АКАК, т. V, ч. 2, д. № 396, с. 334.

100 იქვე, გვ. 335.

101 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 170, გვ. 6,24.

102 იქვე, დ. № 2622, გვ. 27—28; 117—119.

103 იქვე, დ. № 4685, გვ. 4; 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24...

104 АКАК, V, ნაწ. 2, № 396, გვ. 335.

105 იქვე.

106 ЦГВИА, ტ. ВУА, დ. № 18481(1), с. 18.

107 საქ. ცსია, ფ. 2, აღნ. I, დ. № 1299, გვ. 37—38.

3 მანეთამდე[108]. ნაბდების ფასები მერყეობდა სეზონის მიხედვითაც — ზაფხულობით იგი იაფდებოდა[109]. განსაკუთრებით ძვირად ფასობდა თეთრი ფერის ნაბდები, რომლებიც ფუფუნების საგნად ითვლებოდა[110].

ნაბდების კეთებაში განთქმულნი იყვნენ ანდიელები. მათი ნაბდები ხარისხით მხოლოდ აფხაზურსა და ყაბარდოულს ჩამოუვარდებოდა. საქართველოში ნაბდები ძირითადად დაღესტნის ამ მხარიდან შემოჰქონდათ. მაგალითად, 1819 წელს ქ. თელავში ნაბდები შემოუტანია 12 ანდიელს[111]; 1809 წლის ოქტომბრის გენერალ ტორმასოვის გენერალ-მაიორ გრაფ იველიჩისადმი მინაწერიდან კი ვგებულობთ, რომ ქ. თბილისში ნაბდებით სავაჭროდ მოემგზავრებოდა ანდიელი ნურ-მამედი 97 კაცთან ერთად[112]. ანდიელებს გარდა ქართლ-კახეთში ნაბდები საერალიზაციოდ შემოჰქონდათ დაღესტნის სხვა საზოგადოებების მცხოვრებლებსაც, კერძოდ კი დიდოელებს[113], ყაზიყუმუხელებს[114], აბუხლინელებს, ჩუხელებს[115], ავარელებს[116] და სხვებს[117].

საქართველოში ადგილზეც, კერძოდ თუშეთში, უთელიათ ნაბადი, რომელსაც „თექურაი" რქმევია, მაგრამ, მცხოვრებთა აზრით, „კარგი ნაბადი ლეკეთიდან მოდიოდა თურმე"[118].

ქართლ-კახეთში დიდი მოთხოვნილება იყო აგრეთვე დაღესტნურ შალზეც, ან როგორც მას უწოდებდნენ, „ლეკურ მაუდზე"[119]. მისი დიდი რაოდენობით შემოზიდვასთან დაკავშირებით თბილისის საბაჟოს მოხელეთა აზრით, „ნაბდების მსგავსად საჭირო იყო ბაჟის დაწესება"[120].

---

108 АКАК, V, ნ. 2, დ. № 396, გვ. 335.

109 საქ. ცსია, ფ. 2, აღნ. I, დ. № 920, გვ. 29.

110 Материалы по истории Дагестана и Чечни, с. 22.

111 საქ. ცსია, ფ. 16, აღნ. I, დ. № 2662, გვ. 27—28, 117—119.

112 АКАК, IV, დ. № 917, გვ. 601.

113 საქ. ცსია, ფ. 16, აღნ. I, დ. № 2783, გვ. 5.

114 იქვე, დ. № 4685, გვ. 4, 12, 13, 14, 15; იქვე, ფ. 2, აღწ. I, დ. № 1299, გვ. 30.

115 იქვე, ფ. 2, აღწ. I, დ. № 1299, გვ. 3.

116 საქ. ცსია, ფ. 1086, აღწ. 6, დ. № 345, გვ. I; იქვე, ფ. 2, აღწ. I, დ. № 1299, გვ. 30.

117 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. III, ნაწ. I (ტანისამოსი), გვ. 77.

118 იქვე.

119 ЦГВИА, ფ. ВУА, დ. № 18481(I), გვ. 18; საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, დ. № 1229, გვ. 3.

120 АКАК, V, ნაწ. 2, № 396, გვ. 335.

დაღესტნური შალების წარმოებაში განსაკუთრებით განთქმულნი იყვნენ კელის საზოგადოების მცხოვრებლები. ისინი თავიანთი პროდუქციის დასამზადებლად უპირატესობას აძლევდნენ მატყლს ისეთი ცხვრისას, რომელიც დაბლობში საბალაბოდ არ ჩამოჰყავდათ[121] და მთელ თავიანთ ნაწარმს ყიდდნენ კახეთსა და თბილისში[122].

საქართველოში იცნობდნენ დაღესტნური შალის რამდენიმე სახეობას: „აყოშას"[123], „ეუბაჩის"[124], „ხუნძახის", „მუხახის", „ბოგოზი შალს", „კარატი შალს", „აქლემის ყელის შალს"[125]. ეს შალები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა როგორც მასალის შემადგენლობით, ასევე ხარისხითაც.

როგორც მთხრობელები იგონებდნენ: „მუხახი შალი... ლეკური შალია, იგი უფრო მომხო შალი იყო (ხუნძახი შალზე — მ. ტ.) და აბრეშუმი ერია გულში", „ხუნძახი კი უფრო წმინდა შალი იყო და მატყლი ერია შიგა. ბოგოზი შალი... წმინდა შალი იყო", მაგრამ თუ „ხუნძახსა" და „მუხახს" „ზოლივით მისდევდა", მას ეს ზოლი არა ჰქონდა და წმინდა იყო. „კარატი შალი..." დაბალი ხარისხის იყო, „იმასაც აგრეთვე ქსოვნა ჰქონდა როგორც ხუნძახს და მუხახს". „აქლემის ყელის შალი" ყველაზე უფრო კარგი ხარისხისა იყო ლეკურ შალებში. „გაშოირჩეოდა თავისი სიწმინდით, სირბილით და სისუფთავით"[126], ის ყვითელი ფერისა იყო. ეს შალები „დაღესტნიდან თეთრად ნაქსოვი მოდიოდა" და აქ ღებავდნენ ზოგს ლურჯად, ზოგს შავად. არ იღებებოდა მხოლოდ „აქლემის ყელის შალი"[127].

საქართველოში დაღესტნიდან შემოსული შალი ზოგჯერ ნახევარფაბრიკატს წარმოადგენდა და ადგილზე სჭირდებოდა დამუშავება. როგორც მთხრობელი ილიკო ბიძინაშვილი აღნიშნავს, „ზოგჯერ მოსათელი შალი მოგვდიოდა და ჩვენ თითონ მოვთელამდით ხოლმე ფეხით, თბილი წყლითა და საპნით"[128]. საბოლოო დამუშავების გარდა, „ლეკური შალი უმთავრესად ქართლ-კახეთში არსებულ სამღებროებში იღებებოდა, უმეტესად ლურჯ ფრად[129].

---

121 Дубровин Н., История войны и владычества..., с. 503.

122 იქვე, გვ. 500.

123 მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. III, ნაწ. I, გვ. 32.

124 იქვე, გვ. 190.

125 იქვე, გვ. 169.

126 იქვე.

127 იქვე.

128 იქვე, გვ. 33.

129 Обозрение Российских владений..., ч. I, с. 386; ЦГВИА, ф. ВУА, д. № 18481(1), გვ. 15, 64, 91.

დაღესტნური შალებისაგან ქართლ-კახეთში კერავდნენ შარვლებს („ბოგოზი შალის შარვალი განთქმული იყო"[130], „საგარეო და კარგ შარვლად კი „მუხახის შალის შარვალი ყოფილა მიჩნეული[131]), ჩოხებს, ყაბალახებსა[132] და ქალის კაბებს (ეს ორი უკანასკნელი „აქლემის ყელის შალისგან" იკერებოდა)[133]. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართული ჩოხების შესაკერად მხოლოდ „ლეკურ შალს" ხმარობდნენ[134]. საერთოდ, ქართველები უმეტესად შალის ტანსაცმელს ატარებდნენ. ამიერკავკასიის რუსული სამფლობელოების სტატისტიკური, ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ფინანსური მიმოხილვის ერთ-ერთ ცნობაში თბილისელების ჩაცმულობის შესახებ ვკითხულობთ: „ატარებენ შალის სარტყლებს, ახალუხსაც იკერავენ, აგრეთვე, შალისა და შერმალალისაგან, ღარიბები ხმარობენ უხეში ტილოს ტანსაცმელს"[135]. ქართლ-კახეთში ლეკურ შალზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, მის შესაბამისად მატულობდა მისი შემოზიდვაც. როგორც ჩანს, მას განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ მკერავები. მაგალითად, 1819 წლის 20 იანვარს ღამით ქ. თბილისში სიონის მახლობლად გაჩენილი ხანძრის შედეგად სამ მკერავს დაეწვა დიდი რაოდენობით „ლეკური შალი". აქედან ერთის ზარალი (ე. ი. ლეკური შალის ღირებულება) 200 მანეთს შეადგენდა ვერცხლით, მეორის — 120 მანეთს, ხოლო მესამისა კი — 500 მანეთს[136].

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, ქართველ ხელოსნებსა და დაღესტნელ კუსტარებს შორის XIX საუკუნის დასაწყისში საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები არსებულა. საფიქრებელია, რომ მსგავს შემთხვევებს ექნებოდა ადგილი დაღესტნისა და საქართველოს სხვა დარგების ხელოსნებს შორისაც (მაგალითად, დაღესტნიდან ტყავისა და ბეწვის შემომზიდველებსა და ქართველ მეჩექმეებსა და საერთოდ ფეხსაცმლის ოსტატებს შორის და ა. შ., თუმცა შედარებით მცირე მასშტაბებით). ალბათ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ როდესაც რუსეთის ადმინისტრაციამ ურჩობის გამო დაღესტნელებს აუკრძალა თავის სამფლობელოებთან სავაჭრო-გაცვლითი მიზნით სიარული, ადგილობრივი ხელოსნები დაჟინებით ითხოვდნენ, რომ „ლეკებისათვის საქართველოსთან ვაჭრობის ნება დაერთოთ"[137]. გაცვლა-გამოცვლითი კონტაქ-

---

130 მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და..., გვ. 190.

131 იქვე, გვ. 11.

132 იქვე, გვ. 33, 169.

133 იქვე, გვ. 33.

134 იქვე, გვ. 32.

135 Обозрение Российских владений..., ч. I, с. 239.

136 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, დ. № 456, გვ. 57, 77—78.

137 АКАК, I, д. № 935, гв. 660.

ტების აუცილებლობისა და ამ უკანასკნელიდან გამომდინარე სიმყარის მიზეზები კი უთუოდ ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობის ხანდაზმულობაშია საძიებელი.

შალის ქსოვილებთან ერთად, რომლისგანაც შემდგომში უკვე ადგილზე იკერებოდა ტანსაცმელი, დაღესტნელებს საქართველოში შემოჰქონდათ მზა პროდუქციაც: შალის ხიფთანები და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით კი შარვლები. მაგალითად, 1801 წლის ზაფხულში კახეთის სოფელ გავაზში დაღესტნელებს სარეალიზაციოდ ჩამოუტანიათ 364 შალის შარვალი[138]...

მატყლის დამუშავებით მთელ კავკასიაში განთქმული დაღესტნელები დახელოვნებულები იყვნენ ცხენის ჩულებისა და ხურჯინის გადასაფარებლების წარმოებაში, რომლებსაც საქართველოში ჰყიდდნენ[139]. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, მატყლის ნაწარმიდან დაღესტნელებს აღმოსავლეთ საქართველოში შემოჰქონდათ: ქეჩა[140], ცხენის საოფლეები[141], აღვირები[142], ტომრები[143], ხალიჩები[144], ფარდაგები, ჯეჯიმები[145], ორხუები[146], ქეჩის ფეხსაცმელი[147], ხოლო კახეთში, კერძოდ კი თელავში — ქოშებიც[148]. ცნობა ფეხსაცმლისა და ჩასაცმელის მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოსავლეთ საქართველოში შემოტანასთან დაკავშირებით შემონახული აქვს ა. მ. არღუთინსკისაც[149].

საქართველოში ზამთრობით მცხოვრებთა უმეტესობა ხმარობდა ქათიბს, რომელსაც შიგნითა მხარეს დასათბუნებლად ბეწვს აკრავდნენ.

---

138 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 170, გვ. 6—8,24.

139 АКАК, V, ნაწ. 2, დ. № 396, გვ. 334; საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 2622, გვ. 27—28,117.

140 ЦГВИА, ფ. ВУА, დ. № 18481(1), გვ. 103; Дубровин Н., История войны и владыч..., с. 503.

141 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 170, გვ. 6—8,24.

142 იქვე, დ. № 641, გვ. 8.

143 იქვე, დ. № 2622, გვ. 27—28.

144 ЦГВИА, ფ. ВУА, დ. № 18481(1), გვ. 103.

145 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 170, გვ. 6—8,24; იქვე, დ. № 2622, გვ. 27—28.

146 მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები). ტექსტები გამოსცა მ. იაშვილმა. გვ. 141.

147 Дубровин Н., История войны и вкладычества... с. 500.

148 მასალები საქართველოს შინამრეწველობის..., ტ. III, ნაწ. I, გვ. 52.

149 Аргутинский А. М., Экономический быт государственных крестьян Телавского уезда, Тифлисской губернии, МИЭБ ГКЗК., т. 5, Тифлис, 1887, с. 3.

ამიტომ XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთის მოსახლეობა წარმოადგენდა დაღესტნელების მიერ დამუშავებული კვერნის, მელიისა და სხვა ცხოველთა ბეწვების ერთ-ერთ ძირითად გამსაღებელსაც[150]. ლეკებს შემოჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში ცხვრის ტყავები[151] და მზა ქურქებიც[152].

იარაღის კეთებით მთელ კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთაც; განთქმულნი იყვნენ დაღესტნელი ოსტატები. მათი ნახელავი დიდი მოწონებით სარგებლობდა საქართველოშიც. დაღესტნიდან ქართლ-კახეთში შემოდიოდა ყველა სახის იარაღი, როგორც მოვერცხლილი და მოოქროვილი, ასევე უამისოდ[153]. კერძოდ კი; თოფები, დამბაჩები[154], პისტოლეტები, სავაზნეები[155]. ხანჯლები[156], დანები[157]. მათგან ვანსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დაღესტნური ხანჯალი, ეგრეთწოდებული „ლეკური“, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. XIX საუკუნის დასაწყისში ქართველი მამაკაცის ჩაცმულობის ერთ-ერთი ტრადიციული წესი, ქამარზე ჩამოკიდებული ხანჯალი, კვლავ აგრძელებდა არსებობას. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ მოიხსენიებს იარაღის მკეთებლებს: მეჩახმახეებს, მეთოფეებს და ხმლის მკეთებლებს, რომლებიდანაც „ყოველ კაცს“ ერტყა „ლეკური“[158]. ლეკური ხანჯლის ასეთი ფართო გავრცელება იქ, სადაც ისედაც საკმაოდ არიან ხელოსნობის ამ დარგის სპეციალისტები, მიგვანიშნებს მის საუკეთესო ხარისხზე. იარაღის ამ სახეობის დამზადების ადგილის სახელით მოხსენიებაც მეტად მრავლისმეტყველი ფაქტია.

XIX საუკუნის I ნახევარში დაღესტნელი ოსტატების მიერ ნაკეთები ხმლების, ხანჯლებისა და თოფების ღირებულება 50-დან 100 მანეთამდე მერყეობდა. მისი ფასი თანდათანობით იზრდებოდა და მოგვიანებით მისი ღირებულების ექვივალენტი გახდა 200 ცხვარი ან

---

150 ЦГВИА, ф. ВУА, д. № 18481(1), გვ. 103; АКАК, ტ. V, ნაწ. 2, დ. № 396, გვ. 335.

151 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 2622, გვ. 27—28, 117. ЦГВИА, ф. ВУА, д. № 18481(1), გვ. 103.

152 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, დ. № 903, გვ. 18.

153 АКАК, ტ. V, ნაწ. 2, დ. № 396, გვ. 335.

154 АКАК, ტ. III, 1869, დ, № 87., გვ. 49. საქ. ც. ს. ი. ა., ფ. 16, აღწ. I, დ. № 170, 6—8, 24.

155 იქვე; საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 641, გვ. 8; იქვე, დ. № 2622, გვ. 27—28, 117;

156 იქვე, ЦГВИА, ф. 422, д. № 1244, გვ. 5.

157 იქვე; საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, დ. № 903, გვ. 15—16, 18..

158 იოანე ბატონიშვილი კალმასობა. ქართული პროზა, წიგნი VI, თბ., 1984. გვ. 219.

ერთი ტყვე ქალი და კაცი, ხოლო ვერცხლითა და ოქროთი მოქედილი, სპილოს ძვლით შემკული იარაღი ზღაპრულ ფასებში იყიდებოდა[159].

იარაღს გარდა დაღესტნიდან ქართლ-კახეთში შემოდიოდა საიუველირო ნივთებიც: ვერცხლის ან მოვერცხლილი ქამრები, ღილები, განსაკუთრებით მრავლად კი სამკაულები.

აღმოსავლეთ საქართველოში დიდი მოთხოვნილება იყო სპილენძის ქვაბებზეც[160]. ლითონის ნაკეთობებიდან ჩვენში შემოდიოდა აგრეთვე, ჩაქუჩები, ნალები, ცხენის აღკაზმულობის ლითონის ნაწილები[161].

დაღესტნის კუსტარულ მრეწველობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხის დამუშავებასაც. მისგან „ლეკები" ამზადებდნენ ჭურჭელს[162]: გობებს, ვარცლებს, გეჯებს; ხოლო რტოებისაგან წნავდნენ კალათებს[163]. და ყოველივე ამას ჰყიდდნენ კახეთის დასახელებულ პუნქტებში[164]. იყო შემთხვევები, როცა ხის დამუშავების დაღესტნელი ოსტატები დროებით სახლდებოდნენ თუშეთში, ადგილზე ამზადებდნენ ხის ნივთებს და თავიანთ ნაოსტატარს აქვე ჰყიდდნენ[165].

დაღესტნელებს შემოჰქონდათ ქართლ-კახეთის ბაზრებზე უნაგირები, ხის სავაზნეები, რქები[166].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჩვენში დაღესტნიდან ცვილისა[167] და გოგირდის[168] ექსპორტსაც.

მაღალმთიანი დაღესტნიდან ბარში გასაყიდად ჩამოჰყავდათ ცხენები[169], ცხვრები[170]; შემოჰქონდათ მეცხოველეობის პროდუქტები:

---

159 Габиев М. С., დასახ. დისერტაცია, გვ. 60, 62.

160 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 641, გვ. 8.

161 იქვე, დ. № 2622, გვ. 27—28, 117.

162 Дубровин Н., История войны .., с. 500.

163 Хашаев Х. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

164 Дубровин Н., История..., с. 500; АКАК, II, д. № 280, с. 155.

165 Дубровин Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 504.

166 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 641, გვ. 8; იქვე, დ. № 2622, გვ. 27—28, 117.

167 АКАК, ტ. V, ნაწ. 2, დ. № 396, გვ. 335; საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 170, გვ. 6—8, 24.

168 ЦГВИА, ფ. 422, დ. № 1244, გვ. 5; საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 170, გვ. 6—8, 24; АКАК, III, д. № 87, зз. 49.

169 Август Фон-Гаксгаузен, Закавказский край, СПб., ч. I, 1857, с. 41.

170 ЦГВИА, ф. 422, д. № 1244, зз. 16.

ყველი, კარაქი, მატყლი[171], აგრეთვე თაფლი[172], წაბლი[173], ჩირი, თხილი[174].

* * *

განსახილველ პერიოდში საქართველოსა და დაღესტანს შორის სავაჭრო ოპერაციები ძირითადად ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე წარმოებდა. დაღესტნელებისათვის განსაკუთრებით მოსახერხებელი იყო კახეთის დასახლებულ პუნქტებთან — თელავთან, სიღნაღთან, გავაზთან — ვაჭრობა. როგორც მოძიებული მასალიდან ჩანს, მათ აქ გასაყიდად ჩამოჰქონდათ თავიანთი კუსტარული მრეწველობის ნაკეთობანი და აქვე იძენდნენ არსებობისათვის საჭირო ყველა აუცილებელ პროდუქტს.

ქ. სიღნაღი „ლეკებთან" ვაჭრობის ტრადიციულ ცენტრს წარმოადგენდა. იგი XIX საუკუნეშიც ინარჩუნებდა დაღესტნის აღმოსავლეთ საქართველოსთან ეკონომიკური დამაკავშირებლის როლს. 1802 წლის სექტემბრის აღწერაში ქალაქში 228 დუქანი და 396 სახელოსნოა[175] მოხსენიებული. შესაბამისად მრავლად არიან ხელოსნებიც, განსაკუთრებით კი მკერავები, მეჩექმეები, მექუდეები, მეტყავეები (დაბაღები), მჭედლები, ზეინკლები, მენახშირეები... ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ქ. სიღნაღის, როგორც კახეთის ერთ-ერთი სავაჭრო პუნქტის, მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ქალაქი ჩაება საერთაშორისო საქონელბრუნვაში. მისი დუქნები ვაჭრობდნენ ადგილობრივი თუ შემოტანილი საქონლით: ფართლეულით, ოქროსა და ვერცხლის ნივთებით, საღებავებით, ტყავეულით, სპილენძის ჭურჭლით, ფეხსაცმლით, ტანსაცმლით, რუსული წარმოების წვრილმანი საქონლით, სპარსული ბურმენტითა და ნაირნაირი ფერის აბრეშუმის ქსოვილებით[176]. XIX საუკუნეში ქალაქში აღებ-მიცემობის გაცხოველების გამო დაღესტნელები სიღნაღს უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ. მათ აქ გასაყიდად ჩამოჰქონდათ ნაბდები, ლეკური შალი[177], ხის ჭურჭელი[178], ხოლო გაჰქონდათ პირველი მოთხოვნილების საქონელი: მარცვლეული, სიმინდი, მარილი და ა. შ.

---

171 ЦГВИА, ფ. 422, დ. № 1244, გვ. 16.

172 იქვე.

173 იქვე, ფ. ВУА, დ. № 18481(I), გვ. 18; Обозрение российских... ч. I, с. 264; Волкова Н. Г., Джавахишвили Г. Н., Бытовая культура Грузий XIX веков: традиций и инноваций, М., 1982, გვ. 84.

174 Хашаев Х. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

175 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 51, გვ. 4—5.

176 Обозрение российских владений..., ч. I, с. 351—352.

177 იქვე, გვ. 352.

178 Дубровин Н., История войн..., ч. I, с. 504.

დაღესტნელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქ. თელავთან ვაჭრობასაც. ქ. სიღნაღის მსგავსად თელავშიც XIX საუკუნის დასაწყისში ხელოსნობისა და ვაჭრობის აღმავლობა შეინიშნება. 1836 წელს ქალაქში აღრიცხული 1636 მამრობითი სქესის მცხოვრებიდან უმეტესობა ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდა[179]. XIX საუკუნის დასაწყისში თელავის ბაზარი ითვლიდა 105 ახალსა და 100 ძველ დუქანს. აქედან 21 ფართლეულით ვაჭრობდა, II — სხვადასხვა წვრილმანი საქონლით, 28 — სურსათ-სანოვაგით, დანარჩენი 145 კი სახელოსნოებს ეჭირა. მანუფაქტურის ტიპის იყო თელავის მაზრაში არსებული 200 დუქანი, სადაც მზადდებოდა ნარმა და მოჩითული ქსოვილები, და 17 სამღებრო[180]. დაღესტნელებს თელავში ჩამოჰქონდათ გასაყიდად ნაბდები[181] და შალი[182]. შალი უფრო ხშირად თეთრი ფერის იყო და აქ, თელავში არსებულ სამღებროებში ღებავდნენ მას ლურჯფრად[183]. თელავის მაზრის მცხოვრებლები თავიანთ მოთხოვნილებას ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე ნაწილობრივ დაღესტნელი ხელოსნების ნაწარმით იკმაყოფილებდნენ[184].

ქ. თელავში დაღესტნიდან შემოდიოდა, აგრეთვე, იარაღი, კერძოდ კი პისტოლეტები, ხმლები, ხანჯლები, დანები, სავაზნეები, რქები, ხალიჩები, ჩულები, ტომრები, მაღალყელიანი წინდები, უნაგირები, ჩაქუჩები, ცხენის დასაჭედი ნალები[185] და ა. შ. როგორც ვხედავთ, შემოტანილი საქონელი ასორტიმენტის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

კახეთის ქალაქების (სიღნაღისა და თელავის) გარდა, როგორც საბუთებიდან ჩანს, დაღესტნელები სავაჭროდ ხშირად მოემგზავრებოდნენ მის სოფლებშიც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამ მხრივ მათი ვაჭრობა სოფელ გავაზთან. 1801 წელს აქ ყოფილა ათი „ლეკისაგან“ შემდგარი ქარავანი, რომელთაც თან ჰქონიათ გასაყიდად საკმაოდ დიდი რაოდენობის საქონელი, კერძოდ კი 343 ნაბადი, 364 შარვალი. 45 ლეკური შალი, 24 ხანჯალი, 5 ლიტრა დენთი, 2 ლიტრი ცვილი, 13 ფარდაგი, 5 დამბაჩა და ა. შ.[186]. ასეთი დიდ რაოდენობის საქონლის შემოზიდვა უცილობელი დასტურია იმისა, რომ სოფელ გავაზში დაღე-

---

179 Обозрение российских владений..., ч. I, с. 383.

180 იქვე, с. 382.

181 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 2622, გვ. 27—28, 117; იქვე, დ. № 2620, გვ. 2, 4; იქვე, დ. № 170, გვ. 6—8, 24; იქვე, ფ. 2, აღწ. I, დ. № 920, გვ. 29, 104.

182 იქვე, დ. № 170, გვ. 6—8, 24.

183 Обозрение российских..., ч. I, с. 373.

184 Аргутинский А. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

185 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 2622, გვ. 27—28, 117.

186 საქ. ცსია, ფ. 16, I, დ. № 170, გვ. 6—8, 24.

სტნელების სავაჭროდ ჩამოსვლა იშვიათობას არ წარმოადგენდა და მისი, როგორც სავაჭრო პუნქტის როლი აბლომაბლო მდებარე რაიონებისათვის საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო.

1828 წლიდან კახეთში, ალავერდის მონასტერთან რუსეთის მეფის მოხელეებს ლეკებთან და სხვა მთის ხალხთან ვაჭრობის გასაადვილებლად დაუწესებიათ სპეციალური ბაზრობები[187]. ამან ხელი შეუწყო საქართველოსა და დაღესტანს შორის სავაჭრო-გაცვლითი ურთიერთობის გაცხოველებას.

დაღესტნელებს თავიანთი ხელოსნობის ნაწარმი გასაყიდად მიჰქონდათ თუშეთშიც. აქ განსაკუთრებით ხშირი იყო ლეკების მიერ ნაბდების შემოტანა. თუშები თვითონაც „სთელავდნენ ნაბადს", მაგრამ რადგანაც „ლეკების შემოტანილი" უკეთესი ხარისხის იყო, მას თუშეთში დიდი გასავალი ჰქონია[188].

კახეთის გარეთ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაღესტნელებთან ვაჭრობის ერთადერთ სტაბილურ და თანაც მეტად მნიშვნელოვან ადგილად XIX საუკუნის დასაწყისში, ჩვენთვის ცნობილი საბუთების თანახმად, მხოლოდ და მხოლოდ თბილისი მოჩანს, რომლის, როგორც ამიერკავკასიის ეკონომიკური ცენტრის, როლი სულ უფრო იზრდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. 1821—1831 წლებში შელავათიანი ტარიფის დამკვიდრების მეოხებით, რომლითაც უცხოურ საქონელზე 5%-იანი ბაჟი დაწესდა, იგი ჩაება მსოფლიო ვაჭრობის ორბიტაში და გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, სადაც თავს იყრიდნენ და ერთმანეთში გარიგებებს ახდენდნენ დასავლეთ ევროპისა თუ მახლობელი აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა თუ სამხრეთის ხალხები. კ. ზუბოვი ასე აღწერს თბილისში გაცხოველებული ვაჭრობის სურათს:

„რუსეთთან ამიერკავკასიის ვაჭრობის ცენტრი თბილისი თავისკენ იზიდავს აზიისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ვაჭრებს, რომელთა ჩასაცმელი და იერი საოცარ მრავალფეროვნებას ქმნის. თურქები, სპარსელები, ინდოელები, თათრები, გერმანელები, ინგლისელები, მთიელები, სომხები, ქართველები, რუსები და სხვები ეროვნულ კოსტიუმებში, მუნდირებსა და ფრაკებში; ევროპული ეკიპაჟები, გერმანული ფორშტანები, ქართული ურმები, საპალნიანი კამეჩები, ხარები, აქლემები, ვირები — ყველაფერი ეს შეუწყვეტელ პანორამად წარმოუდგება თვალს და ქმნის მეტად ორიგინალურ სურათს"[189]. თბილისის დიდ პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მნიშვნელობას ერთ-

---

187 АКАК, VII, დ. № 123, გვ. 166.

188 ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983, გვ. 89.

189 Зубов П., Шесть писем о Грузии и Кавказе, с. 65.

ხმად აღნიშნავენ XIX საუკუნეში საქართველოში მყოფი რუსი თუ ევროპელი მოგზაურები[190].

XIX საუკუნის დასაწყისში, ნეგრის აღწერით (საქართველოში იყო 1816 წელს), თბილისის ბაზარი შედგებოდა ათასზე მეტი ხის დუქნისაგან. ესენი იყო სპარსული, ოსმალური, რუსული საქონლისა და ადგილობრივი ნაწამრის საწყობები[191].

გაცხოველებულ სავაჭრო ოპერაციების არსებობას თბილისში ხაზს უსვამს ა. ს. პუშკინიც: „ბაზარი (თბილისის. — მ. ტ.) რამდენსამე წყებად იყოფა, დუქნები სავსეა ოსმალური და სპარსული საქონლით, რომელიც საკმაოდ იაფია, თუ მივიღებთ მხედველობაში საყოველთაო სიღვარეს. ტფილისის იარაღი ძვირად ფასობს მთელ აღმოსავლეთში“[192]. დუნკელ-ველინგის ცნობით კი, სომხის ბაზარში „არის ყოველივე საუკეთესო, რასაც ამზადებს აღმოსავლეთი; აქ შეხვდებით მთიელთა იარაღსაც, მათ მიერ დამზადებულ შალებსაც, ღვედებსაც და ნაბდებსაც — ამ ბუნების შვილთა ღარიბი მრეწველობის ნაწარმოებს“[193].

ქ. თბილისში 1820 წელს ააგეს მესამე ქარვასლა, რომელიც ბევრად ფართო იყო ორ დანარჩენ ქარვასლაზე[194]. სამივე ქარვასლა მდებარეობდა „ბაზრის შუა ადგილას, რომელიც შესდგებოდა სხვადასხვა მოედნისა და ქუჩისაგან, სადაც ყოველთვის აუარებელი ხალხი ირეოდა“. როგორც გამბა წერს: „ყოველ ხელობას ბაზარში მიჩენილი აქვს ცალკე ადგილი... ცხენები და აქლემები, რომლებიც განუწყვეტლივ ხან მოდიან ქალაქში, ხან კიდევ გადიან აქედან, სპარსელი ვაჭრების სიმკვირცხლე და ამის სრული კონტრასტული სიდინჯე ოსმალებისა და სომხების, შორეული ქვეყნებიდან მოსული ნაირნაირი საქონლის ტრანსპორტი, — ყოველივე ეს განსაკუთრებულ დაღს ასვამს და ძალზე აცხოველებს ამ თავისებურ სასტუმროებს, სადაც ესოდენ განსხვავებული ენებისა და ქვეყნების ვაჭრები თითქოს ერთ ოჯახად ცხოვრობენო. სადგომში და საქონლის საწყობში აქ არავითარ ფასს არ იხდიან. ქარვასლის პატრონს ეძლევა მხოლოდ საკომისიო — ყოველი ავაჭრო გარიგებიდან — ერთი პროცენტი“[195]. ქარავან-სარაის ხშირი სტუმრები იყვნენ დაღესტნელებიც[196].

190 Мои воспоминания 1840—44 г. князя А. М. Дондукова-Корсакова, გვ. 57; მ. პოლიევქტოვი, გ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79—80.

191 იქვე, გვ. 69.

192 იქვე, გვ. 85;

193 იქვე, გვ. 96;

194 Евлахов И., Тифлисский Караван-Сарай. Записки Кавказского отдела импер. русск. географич. общества, ч. I, Тифлис, 1852, с. 170.

195 მ. პოლიევქტოვი, გ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78—79.

196 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 4685, გვ. 4, 12, 13...; Евлахов, И. დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქ. თბილისი სავაჭრო გარიგებებს ძირითადად ახდენდა რუსეთთან, თურქეთთან, სპარსეთთან, ამიერკავკასიის მაჰმადიანურ სახანოებთან, სომხეთთან, ჭარ-ბელაქანთან, დაღესტანთან[197].

დაღესტნიდან ქ. თბილისში გასაყიდად შემოდიოდა ნაბდები, ლეკური შალი, ყველა სახის იარაღი, ცხენის საოფლეები და საპალნის გადასაფარებლები, მელიისა და კვერნის ტყავები, ცვილი და ვაძი აბრეშუმი[198], ცხენები[199], ხოლო გადიოდა ბურმენტი, ყუმაჩი, ალაჯა, ტილო, ჩითები, აბრეშუმის ქსოვილები, სპილენძი[200]. სიშორის მიუხედავად ქ. თბილისში დაღესტნელების ჭარბად ჩამოსვლა, ალბათ, პირველ რიგში უნდა აიხსნას აქ არსებული საყოველთაო სიძვირით[201] და აქედან გამომდინარე, იმ დიდი მოგებით, რაც სარეალიზაციოდ ჩამოტანილი საქონლის გაყიდვის შემდეგ რჩებოდათ მათ. საილუსტრაციოდ შევადარებთ ერთმანეთს თბილისსა და თელავში ნაბდებზე არსებულ ფასებს: თბილისში, საბაჟოს მონაცემებით, დაღესტნური ნაბდის ღირებულება 2-დან 20 მანეთამდე მერყეობდა[202], ხოლო ქ. თელავში ზოგჯერ I მანეთადაც იყიდებოდა, უმაღლესი ფასი კი 3 მანეთს შეადგენდა[203].

საქართველოს სავაჭრო პუნქტებს გარდა ქართველებისა და დაღესტნელების ეკონომიკური ურთიერთობისათვის ამიერკავკასიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქ. ნუხასაც. ქალაქში 296 სახელოსნო იყო. განსაკუთრებით მრავლად იყვნენ მეწაღეები, მეჩექმეები, მექუდეები, მკერავები, მეუნაგირეები, მჭედავ-მკალავები და ა. შ. XIX საუკუნის I-ნახ-ში ქ. ნუხაში დიდი რაოდენობით საქონელი შემოჰქონდათ სპარსეთიდან და ამიერკავკასიის პროვინციებიდან. აქ თბილისიდან შემოდიოდა შაქარი, ჩაი, ქაღალდი, მაუდი, რუსული წარმოების წვრილმანი საქონელი; კახეთიდან — დიდი რაოდენობით ღვინო, დაღესტნიდან კი ნაბდები, მატყლი, შალი და სხვადასხვა იარაღი[204]. ადგილობრივი მცხოვრებლებიდანაც ბევრი მისდევდა ვაჭრობას. 1846 წლის მონაცე-

---

197 Обозрение российских владений..., ч. I, с. 264.

198 АКАК, ტ. V. ნაწ. 2, დ. № 396, გვ. 334.

199 Август Фон-Гаксхаузен, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

200 Дубровин Н., История войны и.., გვ. 500, საქ. ცსია, ტ. 2, აღწ. 1, დ. № 920, გვ. 9, 10, 11, 12, 17, 18, 19; იქვე, დ. № 1299, გვ. 3, 34; იქვე, დ. № 769, გვ. 5—6, 18; АКАК, V, ნაწ. 2, დ. № 396, გვ. 334.

201 მ. პოლიევექტოვი, გ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, (კლაპროტი), გვ. 69; Обозрение российских..., ნაწ. 1, გვ. 236.

202 АКАК, ტ. V, ნაწ, 2, საბ. № 396, გვ. 335.

203 საქ. ც. ს. ი. ა, ფ. 16, აღწ. I, საბ. № 2622, ფურც. 119—121.

204 გაზ. „Кавказ", № 23, 1840, გვ. 96.

მების მიხედვით, ქალაქში 31000 ვაჭარი ირიცხებოდა, რომელთა შორ ‹საც 800 ლეკი იყო. ნუხის ოლქში 5 ლეკური სოფელი იყო: ფილიფლი, კუსნიუტი, ლაზა, დურუჯა და შინი[205]. ზამთარში კი სეზონურ სამუშაოებზე ჩამოსული დაღესტნელები. ავსებდნენ ქალაქს, მათი რიცხვი ყოველწლიურად 1500-სა და მეტსაც აღწევდა[206] მართალია, ქ. ნუხაში ქართველი ვაჭრებისა და ლეკების ეკონომიკური ურთიერთობის ამსახველი უშუალო საბუთები ჯერჯერობით მოძიებული არ არის, მაგრამ მათი სიმრავლე ქალაქში აუცილებლად გულისხმობს მათ შორის ინტენსიური გაცვლა-გამოცვლის არსებობას.

ამიერკავკასიაში ქართველებისა და დაღესტნელების შეხვედრების მეორე მნიშვნელოვან პუნქტად XIX საუკუნის დასაწყისში გვევლინება ქ. ბაქო. იგი აღნიშნულ პერიოდში სამართლიანად ითვლება თბილისის შემდეგ მეორე ქალაქად ამიერკავკასიაში, როგორც სიდიდით, ასევე ბაზრის სიფართოვითაც. ამიერკავკასიის სტატისტიკური, ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ფინანსიური მიმოხილვის ცნობით „ბაქოს ბაზრებში ყოველთვის თავბრუდამხვევი მოძრაობა შეიგრძნობა. ქალაქში ყოველდღიურად შემოდიან საკმაო რაოდენობით არა მარტო ადგილობრივი მცხოვრებლები, არამედ დაღესტნელები, მთიელები, სალიანელები. აქ ახდენენ სხვადასხვა სახის გარიგებებს. ბაქოში ყოველთვის შეიძლება შეხვდეთ თათრებს, სპარსელებს, სომხებსა და რუსებს“[207]. ბაქო ვაჭრობდა ძირითადად სპარსეთთან, რუსეთთან, დერბენდთან, შირვანთან, თალიშთან, ასტრახანთან, თბილისთან და ა. შ. თბილისიდან და დერბენდიდან დიდი რაოდენობით საქონლის შემოტანა, ხოლო აქ ბაქოს ბაზრობის ზემოთ მოყვანილი სურათით დადასტურებული, დაღესტნელების საკმაო რაოდენობით არსებობა, ამ ორ ხალხს შორის სავაჭრო გარიგებების არსებობის საწინდრად უნდა მივიჩნიოთ.

ქართველებისა და დაღესტნელების ეკონომიკურ ურთიერთობაში ცალკე აღნიშვნის ღირსია მათი ურთიერთობა ჭარ-ბელაქანთან. XVII საუკუნიდან მოყოლებული, აქ ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ წახურები, ავარები და ქართველები, რომლებმაც გამაჰმადიანების შემდეგ ინგილოების სახელწოდება მიიღეს. ისინი განუწყვეტელ ეკონომიკურ ურთიერთობაში იყვნენ როგორც ერთმანეთთან, ასევე აღმ. საქართველოს მცხოვრებლებთანაც.

---

[205] Астраханнианц А. И., Экономический быт государственных крестьян Нухинского уезда, Елисаветопольской губернии, МИЭБ ГКЗК, с. 18.

[206] გაზ. „Кавказ“, № 23, 1840, გვ. 95.

[207] Обозрение российских владений..., ნაწ. IV, გვ. 64.

საქართველოსა და დაღესტანს შორის ეკონომიკური ურთიერთობისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქ. დერბენდს. იგი რუსეთის ამიერკავკასიასთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალის: ასტრახანი—დერბენდი—ბაქო. და ა. შ. შუალედურ რგოლს წარმოადგენდა. მის ბაზრებში, რომლებიც სამ ქარავან-სარაისა და 420 დუქანს ითვლიდა, გაცხოველებული სავაჭრო ოპერაციები წარმოებდა. ქალაქში თავიანთი ხელოსნური ნაწარმის გასასაღებლად მრავლად ჩამოდიოდნენ დაღესტნელი მთიელები, რომლებსაც ჩამოჰქონდათ: „ლეკური შალი", ნაბდები, ცხვრის ტყავები, კარაქი, თაფლი, ხალიჩები, ფარდაგები და ა. შ.[208]. ქალაქში მრავლად ირეოდნენ ვაჭრები: რუსეთიდან, სპარსეთიდან, ბაქოდან, კუბიდან, შირვანიდან და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებიდან, რომლებიც აქ ასაღებდნენ თავიანთ საქონელს, იძენდნენ ადგილობრივს და შემდეგ ჰფენდნენ ჩრდილო კავკასიისა თუ ამიერკავკასიის ქალაქებს. დერბენდიდან განსაკუთრებით მრავლად გადიოდა ენდრო, რითაც მდიდარი იყო ეს მხარე, შირვანული აბრეშუმი, კუბური და ტაბასარანული ხალიჩები და ფარდაგები, მარცვლეული, კაკალი, ნუში, ქიშმიში, მელიის, კვერნისა და მგლის ბეწვები, ჩირი[209]. მისი 110 ვაჭრიდანაც 25 ამიერკავკასიის ქალაქებთან და ასტრახანთან აწარმოებდა გაცვლა-გამოცვლას[210], ხოლო დერბენდისა და თბილისის დამაკავშირებელი საკმაოდ მოსახერხებელი გზა მათ საშუალებას აძლევდა სავაჭრო გარიგებები მოებდინათ ამ ორ ქალაქს შორის.

თავისი მასშტაბებისა და სპეციფიკური თავისებურებების გამო ცალკე განხილვას იმსახურებს ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში მცხოვრები ქართველებისა და დაღესტნელების ურთიერთობა, მაგრამ ამჯერად მასზე მოკლედ შევჩერდებით. ამიერკავკასიაში დაღესტნელებისა და ქართველების ეკონომიკური ურთიერთობებისაგან განსხვავებით მათი სავაჭრო კონტაქტები ჩრდილოეთ კავკასიაში შედარებით უფრო სუსტია, რაც ჩვენი აზრით, რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას. ჯერ ერთი, ამიერკავკასიის ქალაქებთან დაღესტნელები ტრადიციულად ვაჭრობდნენ, მაშინ როცა ჩრდ. კავკასიაში ქართველების დასახლებები მხოლოდ XVIII-ს-დან გაჩნდა. მეორე, დაღესტნელებისათვის მათთან ეკონომიკური ურთიერთობა არ წარმოადგენდა ისეთ აუცილებლობას, როგორიც საქართველოსთან მათი დამოკიდებულება, რადგანაც მეორე შემთხვევაში, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აღმ. საქართველოსთან ტერიტორიულად ახლო მდებარეობდნენ დაღესტნის მთიანი რაიონე-

---

208 Обозрение российских владений... ნაწ. IV, გვ. 185.

209 იქვე, გვ. 181.

210 იქვე.

ბი, ადგილი ჰქონდა მთისა და ბარის ურთიერთობის შემთხვევას, რომელიც შედარებით უფრო სიმყარით გამოირჩევა, როცა ჩრდილოეთ კავკასიის ქართველებით დასახლებულ პუნქტებსა და მის მოსაზღვრე დაღესტნურ რაიონების ბუნებრივ პირობებში უმნიშვნელო განსხვავება იყო.

საერთოდ, როგორც საბუთებიდან ირკვევა, ჩრდილოეთ კავკასიელი ქართველებისა და დაღესტნელების ეკონომიკურ ურთიერთობაში აქტიურ მხარედ პირველი მათგანი გვევლინება. დაღესტნელების მათთან სავაჭროდ გასვლა კი შედარებით იშვიათობას წარმოადგენდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველი მოსახლეობა ძირითადად კონცენტრირებული იყო ყიზლარში, მოზდოკში, სარაფანნიკოვოში, ნოვოგლადოვსკაიაში, სასოპლინსკაიასა და სხვა ადგილებში[211]. მათგან დაღესტნელებთან ვაჭრობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ ქ. ყიზლარისა და ქ. მოზდოკის ქართველებს.

პ. გ. ბუტკოვის ცნობით, ამ ორივე ქალაქში მათი რიცხვი 1785 წლისათვის შესაბამისად, 1,6 და 0,8 ათასი ადამიანი იყო[212]. გაბრიელ რატიშვილი, რომელმაც ქალაქი მოზდოკი 1801 წელს მოინახულა ბატონიშვილ იოანესთან ერთად, მის მცხოვრებლებზე წერდა: „მოვიდნენ ხალხნი მრავალნი ჭვრეტად ჩვენთა და უხაროდათ ნახვა ჩვენი, რამეთუ არიან უმრავლესნი საქართველოსა ხალხნი"... „არიან მუნ მოსახლენი ჩერქეზნი და ოვსნი, მრავლად არიან რუსნი, მცირედ, ქართველნი, სომეხნი და ფრანგნიცა მრავლად, სრულიად საქართველოსანი, ტანთასაცმელი მათი არს, ვითა ჩვენი, და ლაპარაკი ქართული, სომხური და თათრული"[213]. XIX საუკუნის დასაწყისში „მოზდოკელი ვაჭრების საქმიანობა, როგორც ჩანს, თავიანთი ფარდულის იქით არ ვრცელდებოდა. ამ ფარდულებშიც ძირითადად სომხები ვაჭრობდნენ და ჰქონდათ წვრილწვრილი საქონელი, რომელზეც მოთხოვნილებას იკმაყოფილებდნენ გარშემო მდებარე სოფლისა და მთის მცხოვრებლები"[214]. 1811 წლისათვის მოზდოკში 154 სავაჭრო დუქანი იყო, ბოლო აქ მოსახლე ქართველების დიდი უმეტესობა ვაჭრობას მისდევდა[215]. XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ქ. მოზდოკი გადაიქცა მთიელებთან ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად. აქ აშენებულ იქნა

---

211 Волкова Н. Г., Этнический состав населения Северного Кавказа в XVII — начале XX века, М., 1974, с. 202.

212 Бутков П. Г., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 года, ნაწ. I, Спб. 1869, с. 155, АКАК, VI, ნაწ. 2, с. 602, 603.

213 გაბრიელ რატიშვილი, მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა, ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, თბ., 1962, გვ. 164.

214 Ровинский И. В., Хозяйственное описание Астраханской и Кавказской губерний, СПб., 1809, с. 469.

215 საქ. ცსია, ფ., 2, აღწ. I, საბ. № 297, გვ. 57, 60, 63.

მთიელებთან სავაჭროდ სპეციალური საწყობები და მაღაზიები. მთიელებს აქ ჩამოჰქონდათ გასაყიდად თავიანთი ნაწარმი, ხოლო მათი რეალიზაციის შემდეგ კი იძენდნენ მათთვის საჭირო საქონელს[216]. საერთოდ როგორც მოძიებული საბუთებიდან ირკვევა, უფრო ხშირი ყოფილა მოზდოკელი ვაჭრების დაღესტნის აულებში საქონლის შესაძენად წასვლა, ვიდრე პირუკუ.

ჩრდილო კავკასიაში დაღესტნელებსა და ქართველებს შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის მქონე მნიშვნელოვანი პუნქტი ქ. ყიზლარი იყო. XIX საუკუნის I ნახევარში ყიზლარში საქონელი შემოდიოდა სპარსეთიდან, დერბენდიდან, აქსაევსკისა და ანდრეევსკის სოფლებიდან[217]. ასტრახანიდან, ნიჟეგოროდიდან, ამიერკავკასიის ქვეყნებიდან და სხვა.[218]. დერბენდიდან ქალაქში ძირითადად შემოდიოდა ენდროს ძირები, კუმაჩი, ალაჯა, სპარსული ჩითები, ბურმენტი, ტილო, ბამბაზია, ხალიჩები[219]. განსაკუთრებით მჭიდრო იყო ყიზლარის მცხოვრებლების სავაჭრო კონტაქტები ყუმიყუბთან. ერთ-ერთი ცნობით „მთიელ ყუმიყუბსა და სხვა ხალხებს შემოაქვთ ბამბის ქსოვილები. ენდრო, კვერნის ბეწვი, თაფლი და სხვადასხვა ხილი, აქედან უმეტესი წილი იგზავნება ასტრახანში, ამასთან ერთად სომხები ვაჭრობენ სპარსეთთან, დერბენდთან, კავკასიელ ხალხებთან ქალაქ ტარკში და ყუმიყეთის სოფლებში — ენდერში, ბრაგუნსში, კოსტეკში“[220].

სომხებს გარდა დაღესტნელებთან სავაჭრო გარიგებებს აბდენდნენ ყიზლარელი ქართველებიც. მაგ., 1811 წელს ასტრახანის I გილდიის ვაჭარ ყიზლარის მოქალაქე, ქართველ აზნაურ მაკარ ლომიძეს ყუმიყების მრავალ სოფელში შეუძენია და შემდეგ ქ. ყიზლარში შემოუტანია გასაყიდად ადგილობრივი წარმოების მრავალი პროდუქცია: ენდროს ძირების საღებავები, ფქვილი, ხორბალი, ხიზილალა, თაფლი, ცვილი, თხილი, ღვინო და სხვადასხვა ჩირი[221]. ყიზლარელი ვაჭრები ხშირად მიემგზავრებოდნენ დაღესტნის მაღალმთიან რაიონებშიც. განსაკუთრებით ხშირი იყო მათ მიერ საქონლის სარეალიზაციოდ შეტანა ანდიაში, რასაც ადგილობრივ მოსახლეობას უცვლიდნენ ნაბდებში და შემდეგ დიდი მოგებით ჰყიდდნენ ჩრდ. კავკასიის დასახლებულ პუნქტებში[222].

---

216 Куприянова Л. В., Города Северного Кавказа во второй половине XIX века, М., 1981, с. 35.

217 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, საბ. № 297, გვ. 57, 60, 63.

218 Заблоцкий П., Путевые записки из Астрахани, через Кизляр в Баку в 1833 и 1835 годах, с. 16—17.

219 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, საბ. № 297, ფურც. 57, 60, 63, 68.

220 Ровинский И. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 446.

221 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, საბ. № 293, ფურც. 123, 250, 329.

222 Материалы по истории Дагестана..., საბ. 126. с. 285—286.

გარდა მოზდოკისა და ყიზლარისა, XIX საუკუნეში ქართველები ცხოვრობდნენ სვიატოი კრესტში[223], ასტრახანში[224] და სხვა. რომლებშიც სავაჭროდ ახლომახლო მოსახლე სხვა ხალხებთან ერთად სავაჭროდ მიემგზავრებოდნენ დაღესტნელებიც.

ჩრდილო კავკასიაში არსებული ქალაქებისა და სავაჭრო ცენტრების დაღესტანთან ვაჭრობა-გაცვლის საკითხებზე საუბარი, საქართველო-დაღესტნის ეკონომიკური ურთიერთობის ასპექტში, განპირობებულია ორი გარემოებით: 1. ამ ქალაქებსა და ცენტრებში, როგორც აღინიშნა ქართული მოსახლეობა მრავლად იყო და იგი აქტიურად იყო ჩართული იმ აღებ-მიცემობაში, რაც აქ გაიშალა. 2. ქართული მოსახლეობა სულ უფრო იზრდებოდა საქართველოდან გასულთა ხარჯზე. ამასთან ისინი თავის ქვეყანასთან, თავისიანებთან კავშირ-ურთიერთობას არ წყვეტდნენ, მათი სავაჭრო-გაცვლითი ოპერაციები ამ შემთხვევაში (არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამ ოპერაციათა მასშტაბს) ვრცელდებოდა საქართველოზეც და მათი მეშვეობით დაღესტნური საქონელი დამატებით ხვდებოდა საქართველოს ბაზარზე.

გარდა ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის სავაჭრო პუნქტებისა დაღესტნელებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო სოფელ-სოფელ სიარული და ასე ვაჭრობა. ეს მოვლენა არსებული საბუთებით განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ქართლ-კახეთში. 1803 წლის 23 თებერვალს გენ. მაიორი გულიაკოვი პ. ციციანოვს სწერდა: „ამჟამად ყველა ადგილობრივ სოფელში ნაბდების, შალისა და სხვადასხვა სახის ხის ჭურჭლის გასაყიდად მრავლად დადიან ანწუხელი და დიდოელი ლეკები“[225].

დაღესტნელების ქართლ-კახეთში სავაჭროდ ჩამოსვლას უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა, ვიდრე პირუკუ. მ. სამსონაძე ეჭვს გამოთქვამს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ იმ აზრზე, თითქოს ქართველ ვაჭართა მთის პროვინციებში სიარულის საჭიროება არ იყო და ამას ადგილი არც ჰქონია, და მიაჩნია, რომ ეს დებულება უნდა გადაისინჯოს[226]. მისი აზრით, „ქართველ ვაჭართა ფენას კავკასიის მთიანეთისაკენ თავისუფალი (კონკურენციისა და კონტროლისაგან თავისუფალი) ვაჭრობა იზიდავდა. იგი მას მაღალი მოგების შესაძლებლობას უქმნიდა“[227].

საარქივო საბუთებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ XVIII საუკუ-

---

223 Бутков М. Г., დასახ. ნაშრომი, ნაწ. I, 1819, გვ. 507.

224 გაბრიელ რატიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 298.

225 АКАК, II, საბ. № 280, გვ. 155.

226 მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

127 იქვე, გვ. 118.

ნის მე-2 ნახევარში ავარიის სახანოში გაუძარცვავთ ქართველ ვაჭართა დიდი კარავანი[228].

დღესტნელები საქართველოში სავაჭროდ დადიოდნენ ქარავნებად[229], რომლებშიც ხშირად ათეულობით ადამიანი შედიოდა[230].

მცირეოდენი გამონაკლისის გარდა[231], უმთავრესად ქარავნებად დადიოდნენ დაღესტანში ქართველებიც.

ქართველებისა და დაღესტნელების ძალზე მცირე ნაწილი მისდევდა ვაჭრობას[232], ამიტომ ამ ორი ქვეყნის მთელი ვაჭრობა ძირითადად თავმოყრილი იყო სომხებისა და ებრაელების ხელში[233]. ნ. დუბროვინის ცნობით, „დაღესტანში ვაჭრობას მისდევდნენ ებრაელები, რომლებიც ცხოვრობდნენ მეხტულინის სახანოსა და საშამხლოში, ზაქათალის ოლქში კი — სომხები“[234]. დაღესტნიდან საქართველოში საქონელი გასაყიდად ჩამოჰქონდათ ჰარელებსაც[235].

აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის მთელ ვაჭრობასაც ადგილობრივი სომხები აწარმოებდნენ. პ. ზუბოვი წერს: „თბილისის ბაზრობა მთლიანად სომხების ხელშია. ეს ხალხი, მრავალმხრივ იმსახურებს პატივისცემას, არაჩვეულებრივი შრომითი საქმიანობით, მოთმინებით, ხარჯთაღრიცხვისა და საქონელ-მიმოქცევის კარგი ცოდნით, ძლევს სპარსეთთან, თურქეთთან და მთიელებისაგან დამოუკიდებელ ქვეყნებთან ვაჭრობაში არსებულ ყველანაირ დაბრკოლებას, მაგრამ საუბედუროდ საქართველოში მცხოვრები სომხების შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულია დიდი კაპიტალის უქონლობის გამო“[236].

1804 წლის 1 აპრილს ციციანოვს აღმასრულებელი ექსპედიციის მესვეურები წერდნენ: ქართველებს „არა აქვთ რა არავითარი საკუთრება. მისდევენ იმდენად უმნიშვნელო წვრილმან ვაჭრობას, რომ უმეტესობას არ მოეპოვება 5 მანეთის საქონელიც კი“[237]. ამ მხრივ უარესი მდგომარეობა იყო დაღესტანში. ნ. დუბროვინის ცნობით, თვით

---

228 საქ. ცსია, ფ. 52, აღწ. I, დ. № 931, გვ. 52; მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

229 АКАК. I, დ. № 935, გვ. 660; იქვე, IV, დ. № 931, გვ. 609; იქვე, დ. № 935, გვ. 611; იქვე, დ. № 651, გვ. 467; იქვე, დ. № 913, გვ. 600; იქვე, V, ნაწ. 2, დ. № 748, გვ. 614; იქვე, დ. № 746, გვ. 614.

230 იქვე, IV, დ. № 651, გვ. 467; იქვე, დ. № 917, გვ. 601; საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, დ. № 920, გვ. 104; იქვე, დ. № 1299, გვ. 3, 9—10.

231 АКАК, V, ნაწ. 2, დ. № 530, გვ. 452.

232 იქვე, დ. № 396, გვ. 332.

233 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, დ. № 1299, გვ. 9—10, 34, 36.

234 Дубровин Н., История войны и вкладыч..., с. 514.

235 АКАК, IV, 813, с. 546.

236 Зубов П., Шесть писем о Грузии и Кавказе, с. 72.

237 Дубровин Н., Закавказье от 1803—1806 года, с. 455.

XIX საუკუნის 70-იან წლებში დაღესტნელების უმრავლესობა ვაჭრობას უყურებდა „როგორც სასირცხვილო საქმეს“ და იგი „უმეტესწილად გაცვლით ხასიათს ატარებდა“[233]. მართალია, დაღესტნის მთელ რიგ საზოგადოებებში განვითარების მაღალ დონეზე იყო ასული კუსტარული მრეწველობა, ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული სპეციალიზაციას ცალკეულ აულებს შორის, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების წინაპირობას და პროდუქციაც ძირითადად გასაყიდად მზადდებოდა, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა მარტივ საქონელწარმოებას, რადგანაც საქონელს აწარმოებდნენ იმიტომ, რომ მისი გაყიდვის შემდეგ ისევ მათთვის საჭირო საქონელი ეყიდათ, ე. ი., პოლიტეკონომიის კუთხით რომ მივუდგეთ, ორივე ქვეყანაში ხორციელდებოდა წრებრუნვა: საქონელი — ფული — საქონელი, რასაც კ. მარქსი მარტივ საქონელწარმოებას უწოდებს. მოვიყვანთ მის სიტყვებს:

„წრებრუნვა: საქონელი — ფული — საქონელი იწყება ერთი კიდური საქონლით და თავდება მეორე კიდური საქონლით. რომელიც შიმოქცევიდან გამოდის და მოხმარებაში გადადის. მაშასადამე, ამ წრებრუნვის საბოლოო მიზანი არის მოხმარება, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მოკლედ — სახმარი ღირებულება. მარტივ საქონელმიმოქცევაში ორივე კიდურს ერთი და იგივე ეკონომიური ფორმა აქვს... ორივე საქონელია. ამასთან ორივე ღირებულების ერთი და იმავე სიდიდის შემცველი საქონელი[239], მაშინ როცა განვითარების მაღალ საფეხურზე ვაჭრობისათვის დამახასიათებელია ფორმულის ფული — საქონელი — ფული მოქმედება, ე. ი. „ყიდვა რათა გაყიდო, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ყიდვა. რათა უფრო ძვირად გაყიდო. ფ—ს—ფ[1] (ფ[1] აქ კ. მარქსი ფულის გამომჩეკ ფულს უწოდებს) გვეჩვენება მხოლოდ ერთი სახეობის კაპიტალის, ვაჭრული კაპიტალის, დამახასიათებელ ფორმად“, მაგრამ სამრეწველო კაპიტალიც ფულია, რომელიც საქონლად იქცევა და საქონლის გაყიდვის მეობებით ხელახლა გადაიქცევა მეტ ფულად“[240].

კ. მარქსის ზემოთ მოყვანილი განმარტება იძლევა საქართველოსა და დაღესტანში ვაჭრობის ჩამორჩენილობის მიზეზის გასაღებს. ვაჭრობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები მხოლოდ კაპიტალისტური წყობილების დროს არსებობს, რადგანაც „საქონელმიმოქცევა კაპიტალის ამოსავალი პუნქტია. საქონელწარმოება და განვითარებული საქონელმიმოქცევა, ვაჭრობა, წარმოადგენენ კაპიტალის წარ-

---

[238] Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, т. I, ч. I, стр. 514.

[239] კ. მარქსი, კაპიტალი. ტ. I, ნ. I, თბ., 1954, გვ. 192.

[240] იქვე, გვ. 199.

მოშობის ისტორიულ პირობებს"[241], ხოლო კაპიტალისტური საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა მოიცავს. ე. ი. როგორც საქართველოში, ასევე დაღესტანშიც ვაჭრობის განუვითარებლობა გამოწვეული იყო იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციით, რომელშიც ქართველებსა და დაღესტნელებს უხდებოდათ ცხოვრება. საქართველოში ფეოდალური ურთიერთობა ირღვეოდა, ხოლო დაღესტნის იმ საზოგადოებების უმრავლესობაში, რომლებიც მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ქართლ-კახეთთან, გამეფებული იყო ადრეფეოდალური ურთიერთობანი გვაროვნული წყობილების მძლავრი გადმონაშთებით[242]. ამის გამო ორივე ქვეყანაში გაბატონებული იყო ნატურალური მეურნეობა. ფეოდალური კანონმდებლობა საკმარისად არ იცავდა ვაჭრისა და მისი საქონლის ხელშეუხებლობას.

საქართველოში ვაჭრობის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებდა თავისუფალი გლეხების შედარებით მცირე რაოდენობაც[243]. მხოლოდ 1821 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით მიენიჭა ყველა ბითუმად მოვაჭრეს რუსეთის პირველი გილდიის ვაჭართა უფლება და განთავისუფლდა ყოველგვარი გადასახადისაგან[244].

რუსული ადმინისტრაციის მცდელობას, თავისი პოლიტიკური მონაპოვრის განსამტკიცებლად კავკასიაში განევითარებინა განათლება, მრეწველობა და ვაჭრობა[245], ცარიზმის მკვეთრად გამოხატული კოლონიალური პოლიტიკის გამო რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროებში არ მოჰყოლია. ვაჭრობის აღმავლობისათვის საჭირო ადგილობრივი მრეწველობის განვითარებით რუსი მობელეები არ იყვნენ დაინტერესებულნი, პირიქით, თავიდანვე კურსი აღებულ იქნა საქართველოს, ცოტა მოგვიანებით კი კავკასიის რუსეთის მრეწველობის სანედლეულო ბაზად და გასაღების ბაზრად[246] გადაქცევისაკენ. ამისი შესანიშნავი დადასტურებაა გენერალ ი. ლ. პასკევიჩის 1830 წლის 5 ოქტომბერს ფინანსთა მინისტრ ფ. კანკრინისათვის მიწერილი წერილი: „მე ვფიქრობ, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია საკითხი, რამდენად სასარგებლოა საქართველოში ფაბრიკა-ქარხნების (განსაკუთრებით ზოგიერთის) წახალისება. არ უნდა ვუყუროთ

---

241 იქვე, გვ. 188.

242 Магомедов Р. М., О типах феодализма в Дагестане (историографические наблюдения, в книге: Вопросы истории исторической науки Северного Кавказа и Дона, вып. III, Грозный, 1985. с. 34.

243 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, დ. № 416., გვ. 31, 36, 37, 45, 46, 49.

244 АКАК. VI, ნ. I, 1875, დ. № 322, გვ. 261—262.

245 Дубровин Н., Закавказье от 1803 до 1806 года, с. 455.

246 АКАК, VII, 1878 დ. № 142, გვ. 188; იქვე, დ. № 123, გვ. 166.

საქართველოს, როგორც კოლონიას, რომელიც მოგვაწოდებდა უხეშ მასალას (აბრეშუმს, ბამბეულს და სხვ.) ჩვენი ფაბრიკებისათვის და წაიღებდა რუსეთიდან მანუფაქტურულ ნაწარმს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთივე მანუფაქტურების საქართველოში დამკვიდრებისას არ შესუსტდება მისი ურთიერთკავშირი რუსეთთან?"[247].

საქართველოში ვაჭრობის განვითარებისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხელშემშლელი გარემოება, შინა ბაჟების სისტემა XIX საუკუნის დასაწყისში ისევ ძალაში რჩებოდა. მართალია, როგორც მ. სამსონაძე მიუთითებს, — „ადგილობრივმა ხელისუფლებმა დაიწყეს მეცადინეობა ამ მიმართულებით, რათა ერთი მხრივ, დაეცვათ რუსული კაპიტალის ინტერესები, ხოლო მეორე მხრივ, არ გაერთულებინათ სხვადასხვა იჯარა-გადასახადების აკრეფა და ამით საბაზინო შემოსავალი არ შეემცირებინათ, რისთვისაც მათ საკმარისად მიიჩნიეს ბაჟების აკრძალვა საქართველოში შემოტანილ რუსულ საქონელზე, ხოლო სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკების ინტერესებიდან გამომდინარე, გააუქმეს შინაბაჟები კვების პროდუქტებზე. ამრიგად, შემოერთებული ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები, რომლისთვისაც შინაბაჟების სისტემა ერთ-ერთი ძირითადი ხელშემშლელი გარემოება იყო, დღის წესრიგშიც კი არ ყოფილა დასმული"[248].

ცარიზმის ამ პოლიტიკამ მისთვის სასურველი შედეგი გამოიღო — გაიზარდა საქართველოში შემოტანილი რუსული საქონლის რაოდენობა. ამის შესახებ მითითებული აქვს ნ. დიუკრუასს: „ქირა ვლადიკავკაზიდან (თბილისში მ. ტ.) ყოველთვის უფრო ძვირი იმიტომ არის, რომ მეტი საქონელი შემოდის, ვიდრე საქართველოდან რუსეთში გადის, და ამისდაკვალად დიდი მოთხოვნილება გადასაზიდ საშუალებებზე ადიდებს მათზე ფასს"[249].

საქართველოში ვაჭრობას შედარებით გამოცოცხლება დაეტყო 1821 წელს შეღავათიანი ტარიფის დაწესებით მისი მსოფლიო ვაჭრობის ორომტრიალში ჩაბმის შემდეგ, რამაც გარკვეულ წილად დადებითი ზეგავლენა მოახდინა საქართველო-დაღესტნის ურთიერთობაზეც.

საერთოდ, ცნობილია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებამდე ქართველი მეფეები „ლეკებს" მთელ რიგ პრივილეგიებს ანიჭებდნენ: „თუ თვითონ ლეკი შემოიტანდა საქონელს, ბაჟს არ იხდიდა, თუ ლეკეთიდან შემოიტანდა არალეკი, ჩვეულებრივი ბაჟით იბეგრებოდა"[250]. 1801 წლის შემოსავლის ერთ უწყისში მოცემულია

---

247 АКАК, VII, დ. № 108, გვ. 140.

248 მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

249 Дюкруаси Н. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

250 მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

ადრიდანვე ბაჟებისაგან განთავისუფლებულ ხალხთა სია: — „ძველ-თაგანვე ბაჟებისაგან განთავისუფლებულ ხალხთა სია: არაგვისა და ქსნის ხეობების მცხოვრებლები... თუშები, ფშავები, ხევსურები და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები, **ხოლო უცხოელებიდან ძველი ადათ-წესების თანახმად უაბარდოელები, ლეკები და ოსები**". (ხაზი ჩვენია — მ. ტ.)[251].

კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ უარი თქვა კავკასიელ მთიელთათვის ამ პრივილეგიების გაგრძელებაზე, მაგრამ, რადგანაც მეფის მოხელეები მთასთან ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოვებით ცდილობდნენ შეექმნათ ბაზა მთიელებთან ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობისა და მათი პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად[252], თანდათან მომწიფდა აზრი, რომ მთიელთათვის უბაჟო ვაჭრობის მინიჭება ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც ხელსაყრელი იყო მთავრობისათვის.

1808 წლის 12 ივნისს გუდოვიჩმა გააუქმა ბაჟები „დაღესტნიდან შემოტანილ ლეკურ ნაწარმზე, მათ შორის: ნაბდებზე, ლეკურ შალზე, შალის ხიფთანებზე და შარვლებზე, თოფებზე, პისტოლეტებზე, ხანჯლებზე, ცვილსა და გოგირდზე..."[253]. ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო დაღესტნიდან აღნიშნული საქონლის შემოზიდვის გაზრდას.

1813 წელს თბილისის საბაჟოში ისევ დამდგარა დაღესტნიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟის აღების რეგულირების საკითხი[254].

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოსა და დაღესტანს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობის გაუმჯობესებას ხელს უწყობდა რუსეთის ადმინისტრაციის მიერ თავის ქვეშევრდომობაში მყოფი ხალხების, მათ შორის ვაჭრების, და მათი საქონლის დაცვა რაიმე ხელყოფისაგან. მაგალითად, 1802 წელს ქალაქ გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულებით, რომლის თანახმად რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შევიდა დაღესტნის ოთხი ფეოდალური სამფლობელო— ტარკი, ტაბასარანი, ყაიტაღი და დერბენდი, დაღესტნელებმა პირობა დადეს, „დაეწესებინათ განსაზღვრული ბაჟი მათი სამფლობელოებით გატანილ საქონელზე, უზრუნველეყოთ სახმელეთო ვაჭრობა და ეზრუნათ ქარავნებისა და ვაჭრების უსაფრთხოებაზე. მოლაპარაკების თანახმად. სოფელს, რომლის სიახლოვესაც მოხდებოდა ძარცვა, ეკისრებოდა ამაში პასუხისმგებლობა. რუს, სომეხ, ქართველ და რუსეთის სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებულ სხვა ეროვნების ვაჭრებს ნება

---

251 AKAK, I, გვ. 481.

252 გ. თ ო გ ო შ ვ ი ლ ი საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს., თბ., 1969, გვ. 95.

253 AKAK. III, დ. № 87, გვ. 49.

254 იქვე, V, ნაწ. 2, დ. № 396, გვ. 335.

ეძლეოდათ ეწარმოებინათ ვაჭრობა დაღესტანთან, ხოლო ეს უკანას-კნელნი ვალდებულნი იყვნენ, საჭიროების შემთხვევაში მათთვის აღ-მოეჩინათ დახმარება და გაეწიათ მფარველობა"[255].

თავის მხრივ რუსეთის ადმინისტრაციის მოხელეები მკაცრად იცავდნენ რუსეთის ტერიტორიებზე სავაჭროდ შემოსული დაღესტნე-ლებისა და მათი საქონლის ხელშეუხებლობას და მისი დარღვევის შემ-თხვევაში მკაცრად უსწორდებოდნენ დამნაშავეებს. მაგალითად, 1801 წლის აგვისტოში თელავის მაზრის მცხოვრებლებმა მოკლეს კახეთის სოფელ გავაზში სავაჭროდ ჩამოსული ათი ლეკი[256]. საქმე დიდხანს იყო ძიებაში. დააპატიმრეს და სასტიკად გაუსწორდნენ მკვლელებს[257], ხოლო დატაცებული ნივთები მოიძიეს და მემკვიდრეებს ზარალი აუნა-ზღაურეს[258]. მსგავსი მაგალითები XIX საუკუნის პირველ მესამედში მრავლად მოგვეპოვება[259].

§ 3. ერთმანეთის საძოვრებით სარგებლობა და საშოვარზე სიარული

ვაჭრობასთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოს დაღესტანთან ეკონომიკურ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ერთმა-ნეთის საძოვრებით სარგებლობას.

დაღესტნის მრავალი თემისა და საზოგადოებისათვის მეცხოვე-ლეობა მეურნეობის წამყვანი დარგი იყო და ვინაიდან ზოგ მათგანს არ ჰქონდა საზამთრო საძოვრები, ამიტომ მათთვის ძალზე დიდი მნი-შვნელობა ენიჭებოდა საქართველოს საზამთრო საძოვრებით სარგებ-ლობას.

ყიშლაღებზე დაღესტნელების საჭიროებაზე მითითებულია 1801 წლის 7 დეკემბრის ლაზარევის მოხსენებაში კნორინგისადმი: „მათი რუსეთის მფარველობაში შემოსვლის სურვილი, მხოლოდ და მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ არა აქვთ რა საშუალება თავიანთი სა-ქონელი გამოკვებონ საკუთარ მიწაზე, მას ყოველთვის ერეკებიან სა-ქართველოს სამფლობელოში"[260]. ანალოგიური შინაარსისაა გენერალ

---

255 Гаджиев В. Г., დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

256 საქ. ცსია, ფ. 16, I, დ. № 170, გვ. 6, 7, 8, 24, ЦГВИА, ფ. 26, აღწ. 152, დ. № 137. გვ.. 58.

257 საქ. ცსია ფ. 2, აღნ. I, დ. № 43, გვ. 383, 388... ЦГВИА, ფ. 26, აღწ, 152. დ. № 137, გვ. 58.

258 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, დ. № 170, გვ. 6, 7, 8, 24..

259 იქვე, დ. № 316, გვ. 4.

260 АКАК, I, დ. № 918, გვ. 654.

ტორმასოვის მიერ ჯაფარყული-ხანისადმი მიწერილი 1811 წლის 28 იანვრით დათარიღებული წერილიც[261].

კახეთის საზამთრო საძოვრებით სარგებლობდნენ ანტრატლელები, დიდოელები[262], ბოგნოდის საზოგადოების მცხოვრებლები, მათ შორის აულები: კოლაკი, ბეჟიტი, კაპუჭი, ჭიბა, ინუხი, ნაგადა, გარბუნი, საგესუბანი[263], ტიუმერელები[264].

დაღესტნელები ქართულ ყიშლაღებზე ჩამოდიოდნენ შემოდგომის დასაწყისში და მთელ ზამთარს (ნოემბრის პირველი რიცხვებიდან მაისის ბოლო რიცხვებამდე)[265] ბარში ატარებდნენ. აქ ისინი სეზონურ დასახლებებს ქმნიდნენ, ჰქონდათ თავიანთი სადგომები (კუტანები)[266]. აქვე აძოვებდა თავის საქონელს კახეთის მოსახლეობის ნაწილიც. მაგალითად, 1834 წლის 8 დეკემბერს სოფელ გავაზის მცხოვრებლები საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს მოახსენებდნენ, რომ ნაუტარსა და გორისწვერზე „ზამთრობით მსხვილფეხა რქოსანი საქონელი გვყავს როგორც ჩვენ, ასევე მშვიდობიანად განწყობილ ანწუხისა და კაპუჭის ლეკებს". და ითხოვდნენ, რომ „ეს საძოვრები ძველებურად დაეტოვებინათ მათ და ზემოთ დასახელებულ ლეკთა მფლობელობაში"[267].

დაღესტნელები თავიანთ საქონელს ძირითადად აძოვებდნენ თელავის მაზრაში, კერძოდ კი ბეჟანიანთ მიწებზე[268], ნაუტარზე, გორისწვერზე[269], შილდაში[270], ქართუბანსა და ლაგოდეხის მიწებზე[271]. საძოვრებით სარგებლობაში ისინი 1816 წლამდე სახელმწიფოს სასარგებლოდ ყოველწლიურად იხდიდნენ 100 ცხვარსა და ერთ სახედარს[272],

---

261 АКАК, IV, д. № 923, გვ. 604.

262 Дубровин Н., История войны и владычества..., ტ. I, ნ. I, გვ. 504; Хашаев Х. М., დასახ. ნაშრომი, გვ. 49; АКАК, I, д. № 925, გვ. 657; იქვე, д. № 1690, გვ. 10. 16; საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, д. № 910, გვ. 4—5; იქვე, д. № 4772, ვ. I; Обозрение российских владений..., ч. I, с. 360—361;

263 საქ. ცსია, ფ. 16; აღნ. I, д. № 1690, გვ. 10, 21, 25; იქვე, д. № 1910, გვ. 4—5; АКАК, VI, ნაწ. II, 1875, д. № 32, გვ. 17.

264 АКАК, IV, д. № 932, გვ. 610.

265 ЦГВИА, ф. 422, д. № 1244, გვ. 2.

266 იქვე.

267 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, д. № 1910, გვ. 4—5.

268 Обозрение российских владений..., ნაწ. I, გვ. 360—361;

269 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, д. № 4772, გვ. I; ЦГВИА, ф. 422, д. № 1244, გვ. 2, 6.

270 ЦГВИА ф. 422, д. № 1244, გვ. 2.

271 Нордестам И. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 326.

272 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, д. № 4772, გვ. 1.

შემდეგ კი მათი თხოვნის საფუძველზე გადასახადი შეუმცირეს 50 ცხვარამდე[273].

ზემოთ აღნიშნული დაღესტნის საზოგადოებებისათვის ქართული ყიშლაღებით ხარგებლობა იმდენად დიდ აუცილებლობას წარმოადგენდა, რომ რუსეთის მთავრობის მხრიდან საქართველოს საზღვრებში მათი საქონლის შემოყვანის აკრძალვის შემთხვევაში ისინი გამოსავალს თუშებთან კავშირის შეკვრაში ნახულობდნენ. მაგალითად, როგორც ლაზარევი მოახსენებდა კნორინგს 1801 წლის 7 დეკემბერს, ანწუხელებმა და კაპუჭელებმა, როდესაც დაინახეს რომ „კახეთში საქონლის გამოზამთრებას ძველებურად ვეღარ მოახერხებდნენ,.. ისინი მისცეს თუშებს და ასე მწყემსავდნენ ქართულ მიწაზე"[274].

კაპიტან გორდეევს მოეპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ დაღესტნის არამშვიდობიანი მოსახლეობის ცხვრის ფარები საქართველოს საზამთრო საძოვრებზე ჩამოჰყავდათ ანწუხელებსა და კაპუჭელებსაც[275].

საძოვრების საკითხი დაღესტნელებზე არანაკლებ აწუხებდათ ქართველებსაც, ოღონდ თუ ჩვენი მეზობლები საზამთრო საძოვრებით იყვნენ დაინტერესებულნი, მათგან განსხვავებით ქართველები იალაღების ნაკლებობას განიცდიდნენ და, ამდენად, დაღესტნის საზაფხულო საძოვრებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის. დაღესტნის იალაღებზე თავიანთი ცხვრის ფარები მიჰყავდათ კახელებს, ერწოთიანელებს, თუშებსა და ფშავლებს[276]. „დიდოეთის" მთებში ქართველები სარგებლობდნენ ასახოს, ველკეთილის, მერცხალ-ბუდის, სადუცის, ხუპროს, ეპჩოსა და სხვა, იალაღებით[277]. აღნიშნული საძოვრები კახეთის ცენტრალური რაიონებიდან დაშორებული იყო 30—40 ვერსით[278], სიღნაღის რაიონებიდან კი — 70—80 ვერსით[279]. ცხვრის გადარეკვა ხდებოდა ე. წ. ჭიაურის გზით[280].

ერთმანეთის საძოვრებით სარგებლობა იწვევდა წლის გარკვეული დროის განმავლობაში უშუალო მეზობლობაში ცხოვრებას. რაც აფართოვებდა ქართველებსა და დაღესტნელებს შორის არსებული

---

273 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. 1, დ. № 1690, გვ. 10.

274 АКАК, I, д. № 918, гв. 654.

275 ЦГВИА, ф. 422, д. № 1244, гв. 16.

276 Мачабели М. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 415. Никифорова Н. К., Экономический быт государственных крестьян Душетского уезда, Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. V, ч. II, Тифлис, 1887, с. 40; Аргутинский А. М., Экон. быт госуд. кресть. Сигнахского уезда, гв. 71.

277 Мачабели М. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 415.

278 Аргутинский А. М., Экон. быт гос. кресть. Телавского уезда, с. 71.

279 იქვე, გვ. 293.

280 Мачабели М. В., დასახ. ნაშრომი, გვ. 419.

ეკონომიკური ურთიერთობის მასშტაბებს და ხელს უწყობდა ამ ორ ხალხს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების გაღრმავებას[231].

XIX საუკუნეში კაპიტალიზმის ჩასახვასთან ერთად ფართო ხასიათი მიიღო დაღესტნელთა საშოვარზე სიარულმა. საშოვარზე ძირითადად დადიოდნენ მაღალმთიანი დაღესტნის მცხოვრებლები. სექტემბრის დადგომასთან ერთად ისინი მოედებოდნენ ამიერკავკასიის პროვინციებს „კახეთიდან სალიანამდე"[232], მთელ ჩრდილო კავკასიას, დონის მიწებს, ასტრახანს, ორენბურგს, სპარსეთსა და თურქეთს, საიდანაც სამშობლოში ზხოლოდ მაისის თვეში ბრუნდებოდნენ[233].

ა. ომაროვი იგონებდა: „საშოვარზე მიდიოდა არა ყველა, არამედ მცხოვრებთაგან ყველაზე უფრო გაჭირვებული. ეს კეთდებოდა რიგის მიხედვით, რომელსაც არცთუ ისე მკაცრად იცავდნენ, რადგან ვინც მამასახლისს რაიმე საჩუქარს შეპირდებოდა, ის გაცილებით მალე იღებდა საშოვარზე წასვლის თანხმობას, ვიდრე სხვები, თუნდაც მასზე გაცილებით ღატაკები"[234].

საშოვარზე დაღესტნელები თითქმის რვა თვის განმავლობაში იმყოფებოდნენ. ბარში ისინი მუშაობდნენ მიწის მუშებად, მწყემსებად, მკალავებად, იარაღის ოსტატებად.

მ. ს. გაბიევი საშოვარზე მოსიარულე ხელოსნებს ორ ჯგუფად ყოფს: კარდაკარ მოსიარულეებად და ადგილობრივ მომუშავეებად. მისი აზრით, პირველი კატეგორიის ხელოსნები ხშირად არასრულფასოვანი ოსტატები იყვნენ; ისინი მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ. ამისდა შესაბამისად, იარაღებიც მარტივი ჰქონდათ და მათი ნახელავიც შედარებით დაბალი ხარისხის გამოდიოდა[235].

საშოვარზე მოსიარულე დაღესტნელებს მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. მათი უმეტესობა მთელ რვა თვეს ატარებდა სამჭეღლოების, სამკალაოებისა და საოჭრომჭედლოების ნესტიან სარდაფებში[236]. ბევრ მათგანს არ გააჩნდა მუდმივი სადგომი. გაცილებით უარეს დღეში იყვნენ ის დაღესტნელები, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ იშოვნიდნენ სამუშაოს, რის გამოც იძულებულნი ხდებოდნენ თავი გაექირავებინათ მხოლოდ თავის რჩენის ფასად[237]. XIX საუკუნიდან მოყოლებული მათი რიცხვი წლითიწლობით იზრდე-

---

281 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, № 4772, გვ. 1.

282 გაზ. „Кавказ", № 3, 1846, გვ. 15.

283 Вейденбаум Е., Путеводитель по Кавказу, с. 106; Габиев С., დასახ. ნაშრომი, გვ. 101, Воронов Н. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 5, 29, 36.

284 Омаров А., Как живут Лаки, ССКГ, вып. III, Тифлис, 1870, с. 38.

285 Габиев, М. С., დასახ. დისერტაცია, გვ. 42;

286 Омаров А., დასახ. ნაშრომი, გვ. 101;

287 გაზ. „Кавказ", № 3, 1846, გვ. 15.

ბოდა. ხშირად ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში ასობით დაღესტ ელი ირეოდა დაქირავების მოლოდინში. ქალაქ ნუხაში ზამთრის თვეებში მათი რიცხვი იმდენად დიდი იყო (1846 წლის მონაცემებით დაახლოებით 15 000 ადამიანი), რომ შავი მუშის დღიური ქირა ზაფხულთან შედარებით ნაპევრდებოდა — 30 კაპიკიდან 15 კაპიკამდე ეცემოდა[288]. მთელი ნახევარი წლის განმავლობაში ასეთი მათბოლო�ul გასამრჯელოთი დაღესტნელები ძლივს აგროვებდნენ 15-დან 30 მანეთამდე.

დაღესტნელი საშოვარზე მოსიარულეები განსაკუთრებით მრავლად იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოში. კახეთში მათგან საარქივო საბუთებში უფრო მეტად მოიხსენიებიან დიდოელები[289]. ისინი ჰარბად იყვნენ საქართველოს დედაქალაქშიც. თბილისი მათ უზრუნველყოფდა მუდმივი სამუშაოთი და მაღალი გასამრჯელოთი[290], რადგანაც თუმცა „ყველა ხელობისათვის დამახასიათებელი იყო დიდი მოგება, აქ ისე ძვირად არაფერი ფასობდა, როგორც ხელით შრომა"[291]. უბრალო შავი მუშისთვის წელიწადში 60 მანეთი, ე. ი. 5 მანეთი თვეში. იყო ყველაზე დაბალი გასამრჯელო; ქვისმთლელების, ხეროების, დურგლების ერთი დღის შრომა 1 მანეთი ღირდა[292]. ძვირად ფასობდა აქ ხარაზების, მექუდეების, მკერავების, იარაღის მკეთებლების და სხვათა ნახელავი[293]. როგორც ამიერკავკასიაში რუსეთის სამფლობელოების სტატისტიკური ეთნოგრაფიულ ტოპოგრაფიულ და ფინანსურ მიმოხილვაში ვკითხულობთ: „თბილისში ყველაზე უფრო მეტად ხელით შრომა ფასობდა"[294].

დაღესტნელების თავისუფალი მუშახელის დიდი ნაწილი გადადიოდა თუშეთში, სადაც ჩაბმული იყვნენ ხვნა-თესვაში, სახლების მშენებლობაში, მოწეული მოსავლის აღებასა და რიგ სხვა სამუშაოებში. ზოგჯერ ისინი მოჯამაგირეებადაც დგებოდნენ და მონაწილეობდნენ როგორც სამიწათმოქმედო საქმიანობაში, ისე მსხვილფეხა საქონლის მოვლასა და სხვა საოჯახო საქმეებში[295].

სეზონურ სამუშაოებზე ძირითადად კაცები დადიოდნენ. მაგრამ საქართველოში იყო ლეკი ქალების გადმოსვლის შემთხვევებიც. მთა-

---

288 იქვე, № 23, 1846, გვ. 95; Обозрение российск... влад..., ნაწ. I, გვ. 95.

289 АКАК, VII, დ. № 460, გვ. 506; საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, დ. № 920, გვ. 103.

290 Обозрение российских владений..., ч. I, с. 214.

291 იქვე, გვ. 234.

292 იქვე, გვ. 235.

293 იქვე, გვ. 236.

294 იქვე.

295 გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986, გვ. 50.

თუშეთში ჩეჩვის დროს კოლექტიური შრომა გამოიყენებოდა. ამ სამუშაოს შესასრულებლად მისი შრომატევადობის გამო დამხმარე ძალად მეზობელი დაღესტნური აულებიდან გადმოჰყავდათ ქალები[296].

საშოვარზე სიარული მეტად უარყოფითად მოქმედებდა დაღესტნის ეკონომიკაზე. ს. გაბიევი სამართლიანად თვლიდა, რომ აღნიშნულ მოვლენას დაღესტნელი ხალხი გადაგვარებისაკენ მიჰყავდა, და მის გამომწვევ მიზეზად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ხელოსნობის, სარეწებისა და სამრეწველო საწარმოების დაბალი დონე მიაჩნდა[297].

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითების მიხედვით კარგად ჩანს XIX საუკუნის პირველ მესამედში საქართველოსა და დაღესტანს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობის მასშტაბები, მისი მრავალმხრივობა და აუცილებლობა, რაც აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებისთანავე შეამჩნია კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ[298] და არაერთგზის გამოიყენა თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

დაღესტნელები საქართველოს ტერიტორიებს თავს ესმოდნენ და მის მოსახლეობას არბევდნენ დაღესტნის სრულ შემომტკიცებამდე (1859 წ.). რუსეთის სახელმწიფოს ქართლ-კახეთის შემოერთების პირველ წლებში მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო არ შეეძლო მათი იარაღით დაპყრობა. ამიტომ კავკასიის ადმინისტრაციის მოხელეები ეკონომიკური შეზღუდვების გზით ცდილობდნენ და ზოგჯერ ახერხებდნენ კიდეც მათ დამორჩილებას. ხშირად საქართველოზე თავდასხმებში მონაწილე დაღესტნურ საზოგადოებებს ეკრძალებოდათ ყოველგვარი ეკონომიკური ურთიერთობა არამარტო ქართლ-კახეთთან. არამედ რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ სხვა ტერიტორიებთანაც[299]. დაღესტნელების თავდასხმების აღსაკვეთად გენერალმა ორბელიანმა სპეციალური ღონისძიებების პროექტი შეიმუშავა, რომელიც 1807 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს მთავარმართებელმა გრაფმა გუდოვიჩმა ბრძანებად გააფორმა[300]. მრთალია, მთიელთა ექსპანსიის შესაჩერებლად ბრძანებები არ კმაროდა, მაგრამ მაინც დროებით შეანელა ქართველი ხალხის რბევა-აწიოკება.

აღნიშნული ბრძანების მიხედვით, საქართველოზე თავდამსხმელ დაღესტნურ საზოგადოებებს აეკრძალათ: 1) ყველანაირი ვაჭრობა რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ მიწებსა და ქალაქებთან, კერძოდ კი:

---

296 გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50; ც. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თუშ-ფშავ-ხევსურული ტალავარი). სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1971, გვ. 16.

297 Г а б и е в С., დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

298 АКАК, VII, დ. № 470, გვ. 518.

299 იქვე, III, დ. № 696, გვ. 371—2; იქვე, IV, დ. № 923, გვ. 604.

300 იქვე, III, დ. № 693, გვ. 370; იქვე, დ. № 694, გვ. 370—371.

ყიზლართან, ანდრეევსკის სოფლებთან, ჭართან, ნუხასთან, შემახასთან, ბაქოსთან, დერბენდთან და თბილისთან; 2) ზამთრის პერიოდში როგორც ამიერ, ისე იმიერკავკასიის დაბლობებზე საქონლის ჩამოყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი საქონელი ჩამორთმეული და კონფისკირებული იქნებოდა; 3) რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ ზემოთ მოყვანილ ქვეყნებსა და ქალაქებს ეკრძალებოდათ დაღესტნელებისათვის პურის მიყიდვა, ან მისი მათ ნაკეთობებზე გაცვლა[301].

რუსული ადმინისტრაცია ითვალისწინებდა კავკასიის მთიელების რუსეთის სახელმწიფოში შესვლის პროცესის რთულ ხასიათს. აქ შექმნილ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას და XIX საუკუნის დასაწყისში ერთმანეთს მოხერხებულად უხამებდა სიმკაცრესა და დამთმობლობას. ეს კარგად ჩანს დაღესტნელ მთიელებთან მის დამოკიდებულებაშიც[302]. მიუხედავად დაღესტნელთა მიმართ გატარებული მთელი რიგი მკაცრი ღონისძიებებისა, რომლებსაც რუსეთის ადმინისტრაცია უკიდურეს შემთხვევებში მიმართავდა, მოცემულ ვითარებაში თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის მას უფრო შესაფერისად მიაჩნდა დათმობებით მოეგო მთიელთა გული, რათა, როგორც მკვლევარი ე. ორჯონიკიძე აღნიშნავს, „მაჰმადიანური სახანოებიც წაეხალისებინათ რუსეთის ქვეშევრდომობაში მისაღებად“[303]. გუდოვიჩი იმავე ბრძანებით დაღესტნელებს ნებას რთავდა იმპერიის კუთვნილ ტერიტორიებთან თავიანთი ნაკეთობებით ევაჭრათ დ ესარგებლათ სხვა შეღავათებით იმ შემთხვევაში, თუკი ისინი შეწყვეტდნენ მძარცველობას და რუსეთის სამეფო ტახტის ერთგულნი იქნებოდნენ[304].

დაღესტნელების მიმართ დათმობებში კიდევ უფრო შორს წავიდა გრაფი ტორმასოვი. 1811 წლის 31 იანვრის პროკლამაციაში იგი დაღესტნელებს რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი სხვა ხალხების თანასწორ უფლებებს ანიჭებდა და ნებას რთავდა: „გაეყიდათ თავიანთი კუსტარული მრეწველობისა და ხელსაქმის ნაწარმი და მის ნაცვლად ...ეყიდათ პური, მარილი და სხვა მსგავსი სიცოცხლისათვის საჭირო პირველი მოთხოვნილების საქონელი“[305]. პროკლამაცია აგრეთვე ითვალისწინებდა: „...დაღესტნელი ხალხისათვის მოეწყოთ მათთვის მახ-

---

301 АКАК, III, დ. № 693, გვ. 370, იქვე, დ. № 694, გვ. 370—371.

302 Материалы по истории Дагестана и Чечни.., დ. № 126, გვ. 285—286; დ. № 127, გვ. 287.

303 ე. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

304 АКАК, III, დ. № 693, გვ. 370; იქვე, დ. № 694, გვ. 370—371.

305 იქვე, ტ. IV, დ. № 923, გვ. 604.

ლობელ და მოხერხებულ თავშესაყარ ადგილებში გაცვლითი ბაზრობები"[306].

როგორც ვხედავთ, საქართველო-დაღესტანს შორის ეკონომიკური ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში კვლავ ინტენსიურად გრძელდებოდა და ტრადიციულ ხასიათს ინარჩუნებდა, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ეს ურთიერთობები რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ინტერესებს დაექვემდებარა და რუსეთის ადმინისტრაციის ხელში კავკასიის მთიელთა დამორჩილების მძლავრი ბერკეტი გახდა.

---

[306] АКАК, IV, დ, № 923, გვ. 604

II თავი

საქართველოსა და დაღესტნის პოლიტიკური ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და დაღესტნის პოლიტიკური ურთიერთობა წარმოადგენს იმ ორი ქვეყნის ურთიერთობის მაგალითს, რომელთაგანაც ერთმა ფეოდალური წყობილების დაისზე დაასრულა დამოუკიდებელი არსებობა და მაჰმადიანური ქვეყნების გარემოცვაში მყოფი ანექსირებული იქნა ერთმორწმუნე რუსეთის მიერ, ხოლო მეორემ ბუნებრივი პირობების შემწეობით მცირე ხნით გაიხანგრძლივა დამოუკიდებლობა და ძალა მოიკრიბა, რათა რუსეთის მიერ კავკასიის „უიარაღოდ" დაპყრობის ისტორიაში გაეჩაღებინა თავიდანვე მარცხისათვის განწირული, რელიგიურ სამოსელში გახვეული, უმაგალითო, განმათავისუფლებელი ბრძოლა.

ჯერ კიდევ 1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის ქალაქ გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის ძალით აღმოსავლეთ საქართველოს უფლებები საგარეო პოლიტიკის წარმოებაში მეტად შეიზღუდა, კერძოდ კი, ამიერიდან საქართველოს (ქართლ-კახეთს) უფლება არ ჰქონდა რუსეთის სანქციის გარეშე რომელიმე მეზობელ ქვეყანასთან ზავი დაედო ან ომი გამოეცხადებინა. თუმცა, ერეკლე II, დარწმუნდა რა იმაში, რომ საქართველოს მფარველის გარეშე არსებობა არ შეეძლო, არცთუ იშვიათად არღვევდა ხელშეკრულების ამ მუხლს და ჯიუტად აგრძელებდა საგარეო ორიენტაციის ძიების კურსს.

1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო ვითარება ქვეყანაში ძირფესვიანად შეიცვალა. ამიერიდან აღარ არსებობდა დამოუკიდებელი ქართული სამეფო, ხოლო ოპოზიციის გაჩენის შიშით ბაგრატიონების სამეფო დინასტიის წარმომადგენლების რუსეთში გადასახლებით სახელმწიფოში მოისპო ის ოფიციალური წარმომადგენელიც, რომელიც პოლიტიკური ურთიერთობის წარმოებისას, უპირველეს ყოვლისა, თავისი სამშობლოს ინტერესებს გაითვალისწინებდა. ილია ჭავჭავაძის ლელთ ღუნიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „აქრა ის დრო, როცა „ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს"[1]. ამი-

---

1 ილია ჭავჭავაძე, ტ. II, მოთხრობები. თბ., 1985, გვ. 24.

ერიდან ქართლ-კახეთის სამეფოს ბედს რუსი მოხელეები განაგებდნენ და მისი ურთიერთობაც მეზობელ სახელმწიფოებთან ტერიტორიული გაფართოების მიზნით ახალი დაპყრობებისათვის მომზადებული სახელმწიფოს პლაცდარმის ურთიერთობას წარმოადგენდა.

მეფის რუსეთის პერსპექტიული გეგმები საგარეო პოლიტიკის დარგში საკმაოდ შორსმიმავალი იყო და გულისხმობდა კონსტანტინეპოლისა და აზიის ნაწილის დაპყრობას, ამ მიზნის მისაღწევად კი, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ახლადშემოერთებულ ქვეყანაში პოზიციების შენარჩუნება და მთელ ამიერკავკასიაში გაბატონება, რის განსახორციელებლადაც კავკასიელი მთიელების, მათ შორის კი დაღესტნელების, დამორჩილებას რუსეთისათვის მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა: ჯერ ერთი, მართალია, XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში კაპიტალიზმი მხოლოდ ჩანასახოვან ფორმაში იმყოფებოდა, მაგრამ მისი გავლენა აქ უკვე იგრძნობოდა. მეფის რუსეთი დაინტერესებული იყო, რომ კაპიტალიზმი რუსეთში განვითარებულიყო. ვ. ი. ლენინის თქმით, „არა სიღრმეში, არამედ სივრცეში"[2], რათა ამით უზრუნველეყო თავისი პოლიტიკური ძალაუფლების შეურყეველობა. რუსეთის მზარდ მრეწველობას სჭირდებოდა გასაღების ბაზრები[3], რაც ყველა სხვა ქვეყნების მსგავსად, რუსეთსაც ტერიტორიული დაპყრობებისაკენ უბიძგებდა. დაღესტნის სამფლობელოების ხელში ჩაგდებაც ცარიზმის ზემოთ აღნიშნული პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ რგოლს წარმოადგენდა.

მეორე, დაღესტნის ტერიტორიების შემოერთების გარეშე რუსეთის იმპერიის დამკვიდრებაზე ამიერკავკასიაში ლაპარაკი ზედმეტი იყო, რადგანაც იგი ფაქტიურად თიშავდა აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთისაგან, რომელთა შორისაც მისვლა-მოსვლა ამ პერიოდში მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზით შეიძლებოდა.

მესამე, ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველო 1801 წლის შემდეგ რუსეთის იმპერიის სამფლობელოს შემადგენელ ნაწილად გადაიქცა, ქართლ-კახეთის ტერიტორიისა და ქართველი ხალხის რაიმე ხელყოფა უკვე რუსეთის იმპერიის პრესტიჟის შელახვას ნიშნავდა, რასაც რუსეთი არ დაუშვებდა.

მეოთხე, შეერთების პირველ წლებში, როდესაც რუსეთი ჯერ ფეხმოუმაგრებელი იყო აღმოსავლეთ საქართველოში და მისი სამხედრო ძალაც აქ საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო, ქართველი ხალხის მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მისი პოზიციების შენარჩუნებისათვის. რუსეთში კარგად გრძნობდნენ, რომ ქართველ ხალხში სიმპათიების გამოსაწვევად ყველაზე ეფექტური ღონისძიება ქართლ-

---

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 395.

3 АКАК, VII, დ. № 142, გვ. 188.

კახეთის ტერიტორიებზე დაღესტნელთა თავდასხმების აღკვეთა იყო.

მეხუთე, რუსეთს გაუჭირდებოდა ეწარმოებინა მახლობელ აღმოსავლეთში აქტიური საგარეო პოლიტიკა დაღესტნის ხალხის დაუმორჩილებლად, ვინაიდან მას ზურგში ეყოლებოდა დაუძინებელი მტერი მისი სახით.

მეექვსე, რუსეთის ერთ-ერთ მთავარ მტერსა და ამიერკავკასიაზე ბატონობაში მთავარ კონკურენტს — თურქეთს—დაღესტნის ხალხებთან აკავშირებდა მაჰმადიანური რელიგიის ერთიდაიმავე მიმდინარეობისადმი კუთვნილება, რაც აამხედრებდა მთიელებს რუსეთის წინააღმდეგ რუსეთის თურქეთთან სერიოზული კონფლიქტის შემთხვევაში და გამოიწვევდა ომის ორ ფრონტზე წარმოებას, რისი შესაძლებლობაც იმჟამად რუსეთს არ ჰქონდა[4].

მეშვიდე, დაღესტნელების სისტემატური თარეშის გამო აღმოსავლეთ საქართველოში ეკონომიკა მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო, რის გამოც ძალზე ჭირდა რუსეთის ჯარის შენახვა. იგი ფურაჟისა და საკვების მუდმივ ნაკლებობას განიცდიდა, ყოველივე ეს კი არყევდა იმპერიის პოზიციებს ამიერკავკასიაში.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო XIX საუკუნის დასაწყისში მეფის რუსეთმა დაიწყო აქტიური პოლიტიკის გატარება კავკასიის დამოუკიდებელი, მოუსვენარი და შფოთისმოყვარე ხალხების, მათ შორის დაღესტნელების, შემოსაერთებლადაც. თუ ცარიზმის გეგმები კავკასიისა და ამიერკავკასიის მიმართ ერთხელ და საბოლოოდ იყო განსაზღვრული, ამ მიზნების მიღწევის გზები და მეთოდები მეტად მრავალფეროვანი იყო და ხასიათდებოდა საერთაშორისო მდგომარეობისდა მიხედვით ცვალებადობით. მასზე არაარსებითსა. მაგრამ მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საქართველოში რუსეთის მეფისნაცვლებისა და მისი მოხელეების ხშირი ცვლა და ამასთან დაკავშირებით მათი ინდივიდუალობა და ნიჭიერება.

ჩვენს მიერ შესასწავლად აღებული ხანა ჩრდილო კავკასიის რუსეთთან შეერთების მთელი პროცესის, ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული ქრონოლოგიური სქემის მიხედვით, მეორე პერიოდის მეორე და მესამე ეტაპისა და ნაწილობრივ მესამე პერიოდის ჩარჩოებში ექცევა[5].

ვინაიდან ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ ზემოთ აღნიშნული პროცესის პერიოდებად დაყოფის დროს გათვალისწინებულია ის ზოგადი კანონზომიერებები, რომლებიც დამახასიათებელი იყო ჩრდილო კავკასიის ქვეყნებისა და მათ შორის დაღესტნის რუსეთის

---

4 АКАК, VII, დ. № 462, გვ. 510.

5 ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკ. II, თბ., 1959. გვ. 44.

შემადგენლობაში შესვლისთვისაც, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ მისი დახასიათება:

„მეორე პერიოდი — გარდამავალი პერიოდია. ამ დროს რუსეთი ჩრდილო კავკასიელთა ნებაყოფლობას უპირებდა თავის ფრთხილ კოლონიალურ პოლიტიკას. მეორე პერიოდი შეიძლება კიდევ სამ ეტაპად დავყოთ: პირველი — 1760—1801 წლები, როცა რუსეთი ჩრდილო კავკასიაში ნებაყოფლობითობის პრინციპიდან გამომდინარე აგებდა თავის შედარებით ფრთხილ კოლონიალურ პოლიტიკას, ანუ ჯერ კიდევ ხელუხლებლად ტოვებდა ადგილობრივ „სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს"; მეორე ეტაპი — 1801—1816 წლებია, როცა ცარიზმმა მართალია. დაიწყო თავისი მმართველობის შემოღების პირველი ნაბიჯები, მაგრამ ისეთის, რომელშიც ძირითადად მაინც წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ხელისუფლება, თუმცა ნებაყოფლობითობამ მეორე პლანზე გადაინაცვლა, და კოლონიალურმა პოლიტიკამ შედარებით უხეში ხასიათი მიიღო. მესამე ეტაპი — 1816—1826 წლებია. როცა რუსეთი აშკარად დაადგა თავისი წმინდა რუსული მმართველობის შემოღების პოლიტიკას. რამაც გააშიშვლა მისი კოლონიალური პოლიტიკა. ამას ჩრდილოკავკასიელთა დიდი რეაქცია — შეიარაღებული გამოსვლები და აჯანყებები მოჰყვა, რასაც ახლა თავის მხრივ მოჰყვა ცარიზმის მხრიდან ადრე ნებაყოფლობით შემოერთებული პოლიტიკური წარმონაქმნების დაპყრობა და რუსული სამხედრო-ადმინისტრაციული აპარატის დამკვიდრება, ამან კი გამოიწვია კავკასიის ომი"[6].

როგორც ამ დახასიათებიდან ჩანს, ჩვენს მიერ შესასწავლად აღებული პერიოდი რამდენიმე თვისობრივად განსხვავებული ეტაპისაგან შედგება და ამასთან დაკავშირებით იცვლება რა მოვლენები, მათ ფონზე განსხვავდება საქართველოსა და დაღესტანს შორის არსებული ურთიერთობებიც.

XIX საუკუნის დასაწყისში დაღესტანი დაქუცმაცებული იყო მთელ რიგ ფეოდალურ სამფლობელოებად: ავარიის, უაზიყუმუხის, მეხტულინის. დერბენდის სახანოებად, ტარკის საშამხლოდ, უაიტაღის სამაისუმოდ, ტაბასარანის საყადიოდ, ყუმიყელი თავადების — აქსაევსკის, კოსტეკოვსკის, ანდრეევსკის მამულებად და დაახლოებით 60-მდე სასოფლო თემად. ამ პოლიტიკური ერთეულებიდან თითოეული დამოუკიდებელი ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდა და ამდენად, მათი დამოკიდებულების ხასიათიც როგორც რუსეთთან, ისე საქართველოსთანაც მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლო წლებში დაღესტნის მთელი რიგი ფეოდალური გაერთიანებები ერთმანეთის მიყოლებით 1787—

---

6 ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, გვ. 44.

1789 წლებში რუსეთის მფარველობაში შევიდნენ[7], ხოლო 1793 წელს რუსეთს სამუდამოდ ერთგულება შეჰფიცეს და ქვეშევრდომობა სთხოვეს ყუმიყელმა თავადებმა და ტარკის შამხალმა, შემდეგ დერბენდის მმართველმა შიხაი-ხანმა და სხვებმა[8]. 1802 წელს კნორინგმა ალექსანდრე I-ის მითითებით მოიწვია დაღესტნელი ხანების ყრილობა, რომლებმაც 1802 წლის 26 დეკემბერს დადეს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შევიდა დაღესტნის ოთხი ფეოდალური სამფლობელო — ტარკის, ყაიტაღის, ტაბასარანისა და დერბენდის. მოლაპარაკების მონაწილეებმა პირობა დადეს. „დაეცვათ რუსეთის ერთგულება, შეესრულებინათ მის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები და დაევიწყებინათ ურთიერთშორის არსებული შეუთანხმებლობა, შუღლი და მტრობა"[9]. შეთანხმება მთელ რიგ პუნქტებთან ერთად ითვალისწინებდა იმასაც, რომ არასდროს არ დასხმოდნენ მოკავშირეების ტერიტორიებს და მათი ქვეშევრდომები არაფრით არ შეურაცხყოთ[10].

1802 წლის 3 ოქტომბერს ალექსანდრე I დათანხმდა რუსეთის მფარველობის ქვეშ მიეღო ავარიის სახანო, 1803 წლის დასაწყისში კი სულთან-ახმედ ხანმა თავის მრავალ გამოჩენილ ქვეშევრდომთა თანდასწრებით საზეიმოდ დაიფიცა რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე. მან პირობა დადო, რომ რუსეთის ქვეშევრდომ მეზობელ ხანებთან და მთის მფლობელებთან ყოფილიყო მეგობრულად და მონაწილეობა არ მიეღო არავითარ შეიარაღებულ შეტაკებებში, დაეცვა ავარიისა და საქართველოს საზღვრები და ა. შ.[11].

1803 წლის მარტ-აპრილში გენერალ გულიაკოვის სარდლობით რუსეთის ჯარებმა რუსეთის ტერიტორიებს შემოუერთეს ჭარ-ბელაქნის თავისუფალი თემები[12], რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დაღესტნის შემდგომი შემოერთებისათვის.

1810 წლის შემოდგომაზე ჩოხის თავისუფალი საზოგადოება შევიდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. ამავე წლის ზაფხულში ალექსანდრე I-ის ერთგულებაზე დაიფიცა ყაზიყუმუხის სახანომ[13].

1811 წლის თებერვალში კი რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს: ახტიპარის, დოკუსპარის, ალტიპარისა და სამხრეთ დაღესტნის სხვა თავისუფალმა საზოგადოებებმა...[14].

---

7 ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 41.

8 В. Г Гаджиев. დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

9 იქვე.

10 იქვე.

11 საქ. ცსია, ფ. 29, საქმე № 17, ფურც. 1—2; АКАК, ტ. II, გვ. 766.

12 АКАК, II, გვ. 728.

13 Гаджиев Г., დასახ. ნაშრომი. გვ. 198.

14 АКАК, V, დ. № 1613, გვ. 162; იქვე, VI; ნაწ. 2, გვ. 1—2.

ყველა ზემოთ აღნიშნული სამფლობელოს წარმომადგენლებმა. მფარველ სახელმწიფოს აღუთქვეს მისი კუთვნილი ტერიტორიების ხელშეუხებლობა, მაგრამ ყველა ეს ხელშეკრულება ფარატინა ქაღალ-დად დარჩა და დაღესტნის მხრიდან რუსეთის კუთვნილ ტერიტორიებ-ზე. მათ შორის საქართველოზე, თავდასხმები არ წყდებოდა. მაგალი-თად. 1802 წლის გეორგიევსკის მოლაპარაკების მონაწილეებმა (შიხ-ალი-ხან დერბენდელმა, ტარკის შამხალმა, ავარიის ხანმა და მისმა მა-მამ სულთანმა ჯენგუთაიელმა) უკვე 1805 წელს დაივიწყეს თავიანთი ერთგულების ფიცი, შეეკვრნენ შირვანის მუსტაფა ხანს, გაუგზავნეს ელჩი ბაბახანს და შესთავაზეს რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი სა-ომარი მოქმედების დაწყება[15].

აღნიშნული ფაქტის შესახებ სამართლიანად აღნიშნავს მამია დუმ-ბაძე. რომ დაღესტნის ხალხების რუსეთის ერთგულებაში შესვლა „შიშით ნაკარნახევი დროებითი მოვლენა იყო. შიშმა მალე გადაიარა და სახანოები ციციანოვის მუქარებს უკვე აღარ ეპუებოდნენ. აღმო-სავლეთ ამიერკავკასიიდან, მათ შორის დაღესტნიდანაც, თავდასხმები ისევ გრძელდებოდა“[16].

საერთოდ, XIX საუკუნის პირველ მესამედში შეიმჩნევა და-ღესტნელი ფეოდალებისა და ტომთა ბელადების მხრიდან ორიენტა-ციის მეტისმეტად ხშირი ცვლა: თითქმის მთელი აღნიშნული პერიო-დის განმავლობაში დაღესტნელები სისტემატურად ითხოვდნენ რუსე-თის ქვეშევრდომობის ქვეშ შესვლას, მათი თხოვნის შესრულებისთანა-ვე არღვევდნენ ერთგულების ფიცს, თავს ესხმოდნენ და არბევდნენ. იმპერიის კუთვნილ ტერიტორიებს, აწიოკებდნენ მოსახლეობას და. მეორე წუთში მფარველობას იხვეწებოდნენ.

დაღესტნელთა რუსეთთან დამოკიდებულების ხასიათის ასეთი ხში-რი ცვლა შემდეგი გარემოებით შეიძლება აიხსნას: როგორც ნებისმიე-რი ქვეყნის მესვეურებს, არც დაღესტნის ტომთა ბელადებსა და ფეო-დალებს სურდათ დამოუკიდებლობის დაკარგვა და თავისუფლება ყვე-ლაფერს ერჩივნათ, თუმცა ეკონომიკური ინტერესები, რომლებიც. თითქმის ყოველთვის ბატონობდნენ პოლიტიკურ ინტერესებზე, მათ ქედის მოხრას აიძულებდა. აღნიშნული გარემოება კარგად შეამჩნია. რუსეთის კავკასიურმა ადმინისტრაციამ, რაც გამოსჭვივის კავკასიის. რუსი მოხელეების წერილებშიც. მაგალითად, 1801 წლის 7 დეკემბერს. ლაზარევი კნორინგს სწერდა ანწუხელი და კაპუჭელი ხალხების შესა-ხებ: „მათი რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოსვლის სურვილი მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ მათ არა აქვთ საშუა-ლება საკუთარ მიწაზე გამოკვებონ თავიანთი საქონელი და ყოველ-

---

15 АКАК, II, д. № 1613, გვ. 784.

16 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 841.

თვის მას საქართველოს სამფლობელოებში ერეკებიან; როგორც აწჟამადაც გააკეთეს ყოველგვარი ნებართვის გარეშე"[17].

1806 წლის სექტემბერში რუსეთის მფარველობაში შესვლა ითხოვეს ილანხევის საზოგადოების 12 სოფლის: ეშიტლის, გენიტოველის, კიტოველის, ხიხტლოელის, ჩოგოველის, ხეხოტველის, შავრის, ალტოველის, ხედოტლოველის, ბიტლოველის და ინაგივრატველის მცხოვრებლებმა[18]. თელავის კაპიტან-ისპრავნიკი ლიტვინოვს მოახსენებდა, რომ აღნიშნული სოფლების მცხოვრებლები რუსეთისაგან არავითარ სამხედრო დახმარებას არ საჭიროებენ, რადგან ცხოვრობენ მიუვალ მაღალმთიან დაღესტანში და მეზობლებთანაც — დიდოელებთან, ბოგოზელებთან და თინდალელ ლეკებთან მშვიდობიანი ურთიერთობა აქვთ[19]. მაგრამ ვინაიდან სალი კლდეების გამო მათთან ძალიან მცირე რაოდენობით მოდის ხორბალი და ქერი და მათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც არ შეუძლიათ აღნიშნულ მეზობლებთან[20]. ამიტომ მათი რუსეთის მფარველობაში შესვლის სურვილი საქართველოსთან და საერთოდ რუსეთის ტერიტორიებთან აუნაზღაურებელი ვაჭრობის უფლების მოპოვებით არის გამოწვეული[21].

ხშირად დაღესტნის რომელიმე საზოგადოების ტომთა ბელადების და ფეოდალების რუსეთის შემადგენლობაში შესვლისკენ მისწრაფებას იწვევდა ის დიდი პენსიები და ჩინები, რომლებითაც რუსეთის საიმპერატორო კარი თავისი ორიენტაციის მომხრეებს ასაჩუქრებდა. მაგალითად, ავარიის მფლობელ ომარ-ხანსა და ტარკის შამხალს რუსეთის ერთგულების სანაცვლოდ მიენიჭათ მესამე კლასის ჩინი და დაენიშნათ პენსია 6 ათასი მანეთის ოდენობით[22]. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად დაღესტნის მხრიდან საქართველოზე თავდასხმები არ წყდებოდა მთელი XIX საუკუნის I ნახევარში და მას მეტად ინტენსიური ხასიათი ჰქონდა[23].

* * *

დაღესტნის საკითხმა აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ კი კახეთის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში მას შემდეგ იჩინა თავი, რაც ირანმა 1555 წლის ამასიის ზავის მომდევნო ხანაში მას ჩამოაშორა ოდითგანვე მისი კუთვნილი, წახურის სამფლობელო (წუქეთი).

---

17 AKAK, I, № 918, გვ. 658.
18 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 446, ფურც. 2.
19 იქვე, ფურც. 3.
20 იქვე, ფურც. 2, 3, 11.
21 იქვე, ფურც. 3.
22 AKAK, I, დ. № 34, გვ. 122—123.
23 იქვე, IV, დ. № 928, გვ. 606; იქვე, დ. № 930, გვ. 608—609.

1562 წელს შაჰ-თამაზი აფრთხილებდა ლევან კახთა მეფეს,, რომ წახურის ბატონი არავის შეევიწროვებინა, რადგან იგი შაჰის უერთგულეს მსახურთა შორის ირიცხებოდა[24].

მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრების შემდეგ. დასუსტებული ქვეყანა დაღესტნელთა შემოსევებს ვეღარ უმკლავდებოდა. წაბურელ-ავარელი ლეკები თანდათან ჩამოსახლდნენ კაკ-ენისელის სოფლებში[25].

1727 წელს კი ოსმალეთის სულთანმა საგანგებო ფირმანით საშვილიშვილოდ დაუმტკიცა ჭარში ჩამოსახლებულ ლეკებს მათ მიერ მინატაცები მიწები[26].

კახეთის აღმოსავლეთი ნაწილის მიტაცების პარალელურად სულ უფრო იზრდებოდა დაღესტნელთა სისტემატური თავდასხმები ქართლ-კახეთის სოფლებზე. ამ თავდასხმებმა განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღეს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი ცილობის ობიექტად ქცეული ქვეყანა უკიდურესობამდე იყო დაუძლურებული. აღმოსავლეთ საქართველოს გართულებული საგარეო პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო მეტად უბიძგებდა დაღესტნელებს თავდასხმებისაკენ და მათ მიერ ქართლ-კახეთის ტერიტორიების რბევა-აწიოკებას ინტენსიურს ხდიდა.

დაღესტნის საკითხი ქართველი პოლიტიკოსების მთელი პლეადისათვის მოუხსნელ და გადაუჭრელ საკითხს წარმოადგენდა. საუკუნეების განმავლობაში ქართველმა მეფეებმა ვერ მონახეს დაღესტნელთა გამანადგურებელი თარეშის ასალაგმად რაიმე ეფექტური საშუალება, რის გამოც საქართველო აურაცხელ ხალხს კარგავდა მოკლულებისა და ტყვედ წაყვანილთა სახით და აუნაზღაურებელ მატერიალურ ზარალს განიცდიდა.

ქართველმა მეფეებმა ჯერ კიდევ დაღესტნელების ექსპანსიის დასაწყის ფაზაში იგრძნეს ამ მოვლენის მთელი სერიოზულობა. კერძოდ, ალექსანდრე კახთა მეფემ წინასწარმეტყველურად განჭვრიტა დაღესტნის მხრიდან მზარდი საშიშროება და მიხვდა რა, რომ აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალს მარტო საკუთარი ძალებით ვერ იპოვიდა, იმედის თვალი ჩრდილოეთით მდინარე თერგის შესართავამდე მომდგარ რუსეთის სახელმწიფოს მიაპყრო.

მისმა ელჩებმა უკვე 1589 წლის ოქტომბერში სთხოვეს რუსეთის

---

24 მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, 1953, გვ. 8; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 119.

25 ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მიმომხილველი, III, 1953, წ., თბ., გვ. 80.

26 იქვე, გვ. 84.

მეფეს საშამხლოზე გავლით კახეთისაკენ მიმავალი გზის დაკავება[27], ერთი წლით ადრე, 1588 წლის ოქტომბერში კი ალექსანდრე თავისი ელჩების პირით თევდორე მეფეს შამხლის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნასა და საშამხლოს დაკავებას ეხვეწებოდა[28]. აღნიშნული თხოვნა კვლავ გაიმეორეს ქართველმა ელჩებმა 1598[29] და 1604 წლებში[30] რუსეთის მეფის კარზე ყოფნის დროს. საერთოდ, კახთა მეფის ალექსანდრეს რუსეთთან მჭიდრო კონტაქტებისაკენ სწრაფვის ძირითად მიზეზად დაღესტან-საშამხლოს განეიტრალების საკითხი მოჩანს. ამ მიმართულებით მამის პოლიტიკა გააგრძელა გიორგი ბატონიშვილმაც[31] და აქედან მოყოლებული ვიდრე ბაგრატიონების დინასტიის გაუქმებამდე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში პირველობას ყოველთვის დაღესტნის მხრიდან თავდასხმების მოგერიების საკითხი ინარჩუნებდა.

ერეკლე მე-2-მ დაღესტნელების თარეშის მოსაგერიებლად შემოიღო „მორიგე ლაშქარი", რომლის „სარგებლიანობა ქვეყნისათვის მალე აშკარა შეიქმნა: აბრაგების თარეში შეწყდა, ქვეყანა შედარებით მშვიდ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებულმა სოფლებმა კვლავ მოშენება იწყეს, გლეხებმა ციხეგალავნები დატოვეს, მინდვრად გავიდნენ და მშვიდობიან მიწისმოქმედებას შეუდგნენ"[32], მაგრამ მეფე ერეკლე კარგად გრძნობდა, რომ მარტოოდენ თავდასხმების მოგერიებით დაღესტნის საკითხს ვერ გადაწყვეტდა და ისევ მიჰყვებოდა ალექსანდრე კახთა მეფის მიერ გაკვალულ გზას: რუსეთის მთავრობას ლეკების წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა. „რუსეთის დიპლომატიამ კარგად იცოდა — როგორც ზ. ცქიტიშვილი წერს, რომ „ქართველ პოლიტიკოსებს ტრაქტატის დადება რუსეთთან ყველაზე უფრო მეტად სამხედრო დახმარების მიღებისა და ლეკიანობის ალაგმვისათვის სურდათ"[33].

1783 წელს ერეკლე II-მ პ. პოტიომკინს ჭარელთა გასანადგურებლად შემწეობა სთხოვა. ქართლ-კახეთის მეფეს ამ აქციით ლეკიანო-

---

27 Белокуров С. А., Сношения России с Кавказом. М., 1889, с. 10—15.

28 იქვე.

29 ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, გვ. 88—89.

30 Белокуров. С. А., დასახ. ნაშრომი, გვ. 412—423.

31 იქვე, გვ. 478—497.

32 საქართველოს ისტორია, I ტ. (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე). დამხმარე სახელმძღვანელო, ნ. ბერძენიშვილის, ვ. დონდუას, მ. დუმბაძის... რედაქციით, თბ., 1959, გვ. 373.

33 ზ. ცქიტიშვილი, გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982, გვ. 51.

ბის ბუდის, თავდასხმების პლაცდარმის ამოგდება სურდა[34]. მართალია, პ. პოტიომკინმა აღნიშნულ თხოვნაზე იმჯერად ერეკლე II-ს უარი განუცხადა, მაგრამ რუსეთის მთავრობამ გაითვალისწინა ლეკიანობის საკითხის მოგვარების დიდი მნიშვნელობა ქართლ-კახეთისათვის და 1783 წელს გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატში ერთ-ერთ მუხლად სამომავლოდ შეიტანა რუსეთის დახმარებით ჭარ-ბელაქნის განთავისუფლება და მისი საქართველოსთვის დაბრუნება[35].

აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების რამოდენიმე თვის წინ, კერძოდ კი 1800 წლის 9 სექტემბერს, კნორინგი ლაზარევს წერდა: „საქართველოს ამჟამად არ ემუქრება არავითარი საშიშროება თავისი მტრებისაგან. გარდა დაღესტნელი ხალხისა, რომლებიც როგორც წარსულ წლებში, ამჟამადაც აგრძელებენ საქართველოზე თავდასხმებს“[36].

როგორც მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ გვიჩვენა, რუსეთმა აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრების პირველ წლებში ვერ შეძლო გამკლავებოდა დაღესტნელთა ბოლომოუღებელ შემოსევებს. თითქოს პირიქითაც მოხდა: ქართლ-კახეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლამ დაღესტნელი ფეოდალები და ტომთა ბელადები კიდევ უფრო გაახელა და მათ მიერ აღმოსავლეთ საქართველოზე მოწყობილი თავდასხმებიც უფრო ინტენსიური გახდა. მართალია. ქართველთა და რუსთა შეერთებულმა მხედრობამ არაერთი დამარცხება აგემა მოთარეშეებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც, თ. ბაგრატიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იგინი არაოდეს განეყენებოდნენ ჩვეულებათა თვისთა, ვითარცა მგელნი მტაცებლობისაგან ცხოვართა“[37] და ამ წლებში „არა მოიხსენიების და ვერცა დაიტევს ისტორიაი... თუ ვითარიოხრება იყო ლეკთაგან საქართველოსა შინა“[38].

რუსეთის მთავრობამ აღმოსავლეთ საქართველოს შემოერთების პირველი დღეებიდანვე დაღესტნის მოსახლეობა პირობითად ორ ნაწილად დაყო: „მშვიდობიანებად“ და „არამშვიდობიანებად“. თვით ავარიის მფლობელი სულთან ახმედ ხანი საქართველოსთან დამოკიდებულებაში თავის ხალხში ორ კატეგორიას ანსხვავებს: ერთნი არიან ისინი, რომლებიც საქართველოში მიემგზავრებიან სავაჭროდ. ხოლო მეორენი კი ისინი, რომლებიც ქართლ-კახეთში ძარცვისა და შემოსავ-

---

[34] Новые материалы жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, с. 11.

[35] ზ. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

[36] АКАК, I, დ. № 73, გვ. 152.

[37] თ. ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 70.

[38] იქვე.

[33] АКАК, ტ. II, დ. № 1582, გვ. 770.

ლის ობიექტს ხედავენ[39]. დაღესტნის რომელიმე საზოგადოების „მშვიდობიან“ და „არამშვიდობიანად“ დაყოფა მეტად პირობითი იყო და დროებითი ხასიათი ჰქონდა. დღევანდელი მეგობარი, ხვალ შეიძლება მტრად მოგვლინებოდა და მის ისევ მოსარჯულებლად მეტისმეტად შძიმე შრომა იყო საჭირო. ამის საუკეთესო დადასტურებაა გენერალ ტუჩკოვის 1803 წლის 23 დეკემბრის მოხსენება: „საკმაოდ დიდი რაოდენობის ლეკთა რაზმი ღამით თავს დაესხა სოფლებს გავაზსა და ჭიკაანს. ირწმუნებიან, რომ თითქოს ისინი მშვიდობიანად განწყობილი კაპუჭელები და ანწუხელები იყვნენ“[40].

ეს მშვიდობიანად მონათლული დაღესტნელებიც, მართალია, თვითონ ხშირად თავს არ ესხმოდნენ ქართულ მიწა-წყალს, მაგრამ სამაგიეროდ, ვინაიდან საქართველოში გადმოსასვლელ გზებთან ცხოვრობდნენ, თავიანთ ტერიტორიაზე ატარებდნენ ქართლ-კახეთის საძარცვავად მომავალ სხვა საზოგადოების ლეკებს და თვითონაც ხშირად შოჰყვებოდნენ აბრაგთა რაზმებს გზის მაჩვენებლებად და გამცილებლებად[41].

ქართლ-კახეთის სოფლებზე ადგილი ჰქონდა დაღესტნელთა საკმაოდ დიდი რაზმების შემოსევებს. მაგალითად, 1824 წლის II ივნისს სოფელ გრემს თავს დაესხა დაღესტნელთა 800-კაციანი რაზმი, რამაც ძალიან დიდი ზიანი მიაყენა სოფელს. მოკლული იქნა 4 ადამიანი, ტყვედ წაიყვანეს 13, გაანადგურეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი[42]. 1827 წლის ივლისში სოფელ ლალისყურზე, არტაანზე და ფშაველზე თავდამსხმელად მოემართებოდა 500 ლეკი ალიბეგის მეთაურობით[43].

ძალზე ხშირად დაღესტნის მფლობელები თანხმდებოდნენ და ერთობლივ თავდასხმებს აწყობდნენ ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა მხრიდან. მაგალითად, 1826 წლის ნოემბერს თელავის მაზრის უფროსი სტეფანოვი ატყობინებდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს, ხოვენს, რომ ლეკებს განზრახული ჰქონდათ დაერბიათ კახეთის სასაზღვრო სოფლები: სოფელ ჭიკაანზე და გავაზზე თავდასხმას აპირებდნენ ჭარელები და გულხადარელები, ყვარელზე — კაპუჭელები, შილდაზე, საბუეზე და არტაანზე — დიდოელები, ბოგოზელები და შათი მოსაზღვრე ლეკები[44].

დაღესტნელი ფეოდალები და ტომთა ბელადები ზოგჯერ კავშირს კრავდნენ მეზობელი ქვეყნის მფლობელებთან, აგროვებდნენ დიდი რაოდენობის ლაშქარს და თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთის სოფლებს.

---

40 АКАК, II, დ. № 1558, გვ. 761.

41 იქვე, I, დ. № 918, გვ. 654; იქვე, დ. № 925, გვ. 657; იქვე, VI, დ. № 31, გვ. 17.

42 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 3222, ფურც. 3.

43 იქვე, საქმე, № 3507, ფურც. 1, 2.

44 იქვე, საქმე № 3336, ფურც. 1.

მაგალითად, 1827 წლის ივლისში თელავის საოლქო მმართველმა მაიორ პოლიაკოვისაგან მიღო ცნობა, რომ ლეკები და ჩეჩნები 7 000-იანი ლაშქრით მიემართებოდნენ თელავის ოლქის სოფლებზე თავდასასხმელად[45].

დაღესტნელი აბრაგები ჩეჩნებს გარდა უკავშირდებოდნენ ქისტებსაც. მაგალითად, 1827 წლის ივლისში თუშეთის სოფლებს დიკლოსა და შენაქოს თავს დაესხა 400 დაღესტნელი და 400 ქისტი. შეტაკების დროს მოკლულ იქნა 4 ადამიანი, დაიკრა 3, ხოლო ტყვედ წაიყვანეს 3 კაცი და 3 ქალი, ამასთან ერთად გაირეკეს 100 ხარი და 1 000 ცხვარი[46].

მრავალრიცხოვანი ლაშქრის თავდასხმა რომელიმე დასახლებულ პუნქტზე და მით უმეტეს მთელ მხარეზე, უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკაზე. ცხადია, ასეთი თარეშის შესახებ ქართლ-კაკეთის მესვეურები ზოგჯერ მაინც წინასწარ იყვნენ ინფორმირებული და ავად თუ კარგად, სათანადოდ უმასპინძლდებოდნენ მტერს, ღირსეულადაც სჯიდნენ მას. მაგალითად, 1800 წლის სექტემბერში ომარ-ხანის დიდი ლაშქრის შემოსევას ელოდებოდნენ. კახეთში დაუწყიათ მოსახლეობის გახიზვნა საიმედო ადგილებში. ამის შესახებ 1800 წლის 8 სექტემბერს ბაგრატ ბატონიშვილი მოახსენებდა გიორგი XII-ეს: „აქ ქემხები და უფროს-უფროსნი კაცნი დავისხით ჩვენთან და აქაური სარისტა ასე დავდევით. მთელი ქიზიყი, საანდრონიკო და სავარნაძეო აქ სიღნაღში უნდა შამოვიდეს, მეც ზევით წავედ შიგანით კახეთს და რაც სარისტა უნდა, აყრა და დაყენება, იმათ ბინას მივცემთ... გავაზები და კუპატანი დღეს აიყარა და ყვარელში შეეიდნენ“[47].

ასეთი მსხვილი თავდასხმები XIX საუკუნეში ხშირად ლეკების დამარცხებით მთავრდებოდა[48]. მაგალითად, 1803 წლის 22 ოქტომბერს, ღამით ავარიელი ალისკანტი და სურხაი-ხანი დიდი ლაშქრით მუღანლოსთან გადავიდნენ მდინარე ალაზანზე, შეუტიეს გენერალ გულიაკოვის ჯარებს, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ ისევ უკუიქცნენ და ალაზნის გამოღმა მიატოვეს 300 ლეკი[49]. ამ ლაშქრობის დროს მათთან ერთად იყო ჭარელების მრავალრიცხოვანი რაზმები (წამომწყებად მიიჩნევენ სულთან-ხან ხამბუთაი ყაზიყუმუხელს), ავარიის ხანის მფარველობაში მყოფი 3 000 კაცი და მისი ერთ-ერთი მამასახლისი ალისკანტი[50]. ასევე დამარცხდა ომარ-ხანის, ალი-სულთან-ხან ავარიელის,

---

45 იქვე, № 3507; ფურც. 1.

46 იქვე, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 3592, ფურც. 1.

47 AKKA, I, დ. № 67, გვ. 148.

48 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ., საქმე № 917, ფურც. 2.

49 AKAK, II ,დ. № 1579, გვ. 769.

50 იქვე, დ. № 1581, გვ. 770.

მისი ძმის ჰაჯი აჰმედ ხან ჯენ გუთაის, მისი შვილის ხან-ბუთაის. ტაბასარანის ყადისა და მუსა ჰაჯუმის ერთობლივი ლაშქრობა. 1800 წლის 7 ნოემბერს ნიაბურასთან მომხდარ შეტაკებაში რუსთა ორ ბატალიონსა და 3 000 ქართველთან[51]. ლეკთა ლაშქარმა დაკარგა მოკლულთა სახით დაახლოებით 2 000 ადამიანი, მძიმედ დაიჭრა ომარ-ხანი, მოკლულები იქნენ ჯენგუთაი, კუმიკეთის ბომუთაის შვილი[52]. ეს იყო ლეკების საშინელი დამარცხება, რის შემდეგაც ლაშქარი ამიერკავკასიაში გაიფანტა. ზოგი მათგანი სურსათის სათხოვნელად მიადგა განჯას, მაგრამ ჯევად-ხანი მათ თავს დაესხა და 104 მოკლა, 30 კი ტყვედ ჩაიგდო, დანარჩენები იძულებულნი გახდნენ გაფანტულიყვნენ[53].

ქვეყანას განსაკუთრებით წელში წყვეტდა ლეკების ეგრეთწოდებული წვრილ-წვრილი და მალული თავდასხმები[54]. 30, 15, 8, 5, 4 და ბოლოს 3 და 2 კაცისაგან შემდგარი ლეკთა რაზმები დღისით და ღამით არ ასვენებდნენ და მეტად ავიწროვებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ისინი შეიგულებდნენ ერთ რომელიმე დასახლებულ პუნქტს, მოულოდნელად დაესხმოდნენ თავს, დახოცავდნენ მის მცხოვრებლებს, გაირეკავდნენ საქონელს, ტყვეებს, გაიყოლიებდნენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარსა და პროდუქტებს და თვალსა და ხელს შუა გაქრებოდნენ. ამ თავდასხმების დროს მათი მთავარი საზრუნავი იყო დასხმოდნენ რაც შეიძლება მოულოდნელად, დაეტაცებინათ რაც შეიძლება მეტი დავლა და სასწრაფოდ მიმალულიყვნენ ტყეებსა და მთებში. ეს პროცესი იმდენად სწრაფად ხდებოდა, რომ მოსახლეობა გონს მოსვლასაც ვეღარ ასწრებდა, არათუ რაიმე ორგანიზებული თავდაცვის მოწყობას. მიუხედავად ამისა, ქართველი მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში შეჩვეული იყო რა ასეთ სისტემატურსა და უცაბედ თავდასხმებს, ზოგჯერ მაინც ახერხებდა მათ მოგერიებას[55].

წვრილ-წვრილი რაზმები ხშირად ესხმოდნენ თავს მგზავრებს. ისინი დიდხანს უთვალთვალებდნენ საკბილოს და შესაფერის მომენტში მუხანათურად იტაცებდნენ მას[56].

---

51 იქვე, I, დ. № III, გვ. 170—175; იქვე, დ. № 112, გვ. 175; № 118, გვ. 178; იქვე, დ. № 119, გვ. 178.

52 იქვე, დ. № 113, გვ. 175—177.

53 იქვე, დ. № 116, გვ. 177, თ. ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67. ბ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 189—191.

54 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, საქმე № 455, ფურც. 76; იქვე, საქმე № 457, ფურც. 6, 60; იქვე, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 3103, ფურც. 185.

55 AKAK, I, და № 921, გვ. 655; იქვე, № 941, გვ. 666; საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 917, ფურც. 2.

56 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 446, ფურც. 9; იქვე, საქმე № 3103, ფურც. 142, 144, 145; იქვე, ფ. 2, აღწ. I, საქმე № 43, ფურც. 188.

განსაკუთრებით დიდ ზარალს აყენებდა ქართველი მოსახლეობის ეკონომიკას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს მოწყობილი თავდასხმები[57].

ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ლეკები თავს ესხმოდნენ ტყეში შეშის დასაბზადებლად მომუშავე გლეხებს[58].

საქონლის სამწყემსად სოფლის განაპირას გასვლაც უმეტეს შემთხვევაში სავალალოდ მთავრდებოდა[59].

განსაკუთრებით ხელსაყრელად მიაჩნდათ დაღესტნელებს თავდასხმები ღამით. შუაღამისას მოწყობილი თავდასხმების დროს, როდესაც მთელი დღის მომქანცველი შრომით დაღლილ სოფელს ღრმად ეძინა, მათ უმეტეს წილად განაღდებული ჰქონდათ გამარჯვება, თანაც რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის ფასად.

დაღესტნელი მოთარეშეებისაგან დაზარალებული სოფლების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, იმდენად დიდია მათი რიცხვი[60], მაგრამ ამ თარეშებისაგან მაინც განსაკუთრებით იყვნენ შეწუხებულნი ის დასახლებული პუნქტები, რომლებიც უშუალოდ დაღესტნიდან ქართლ-კახეთში გადმომავალი გზა-ბილიკების სიახლოვეს მდებარეობდნენ. ქართლში ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში იყვნენ საგურამოს მხრის[61], კავთისხევის[62], გორის[63], ხოლო კახეთში კი — თელავის მაზრაში: ჭიკაანის[64], ყვარლის[65], ენისელის საბუის[66]; სიღნაღის მაზრაში: ჩაილურის[67], საქობოს[68], არტაანის[69], ვაქირის[70] მცხოვრებლები...

---

57 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I საქმე № 416, ფურც. 265; იქვე, საქმე № 796, ფურც. 7; AKAK, II, დ. № 1563, გვ. 762, 763.

58 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, საქმე № 416, ფურც. 447; იქვე, საქმე № 457, ფურც. 91.

59 იქვე, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 3103, ფურც. 137, 143, 181; იქვე, ფ. 2, საქმე № 769, ფურც. 5; AKAK, VI, ნაწ. 2, დ. № 32, გვ. 17.

60 AKAK, I, დ. № 921, გვ. 655; იქვე, II, დ. № 1566, გვ. 763; საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, საქმე № 175, ფურც. 158; იქვე, საქმე № 455, ფურც. 8, 9, 76; იქვე, საქმე № 416, ფურც. 265; იქვე, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 71.

61 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, საქმე № 769, ფურც. 9; AKAK, I, დ. № 941; გვ. 666.

62 AKAK, II, დ. № 1551, გვ. 758—759.

63 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, საქმე № 175, ფურც. 156.

64 იქვე, საქმე № 1558, ფურც. 761.

65 AKAK, II, დ. № 1564, გვ. 763.

66 იქვე, დ. № 175, გვ. 360—361; იქვე, დ. № 769, გვ. 12; საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 917, საქმე № 917, ფურც. 2.

67 AKAK, დ. № 939, გვ. 662—664.

68 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, საქმე № 769, ფურც. 7, 9.

69 იქვე, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 3103, ფურც. 3; იქვე, საქმე№ 2580, ფურც. 2; AKAK, II, დ. № 1557, გვ. 760—761.

70 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 456, ფურც. 135.

უკიდურესობამდე იყვნენ შეწუხებულნი თუშეთის სოფლებიც, განსაკუთრებით კი დიკლო და შენაქო. თუშეთი ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს გახდა იძულებული, რომ ავარიის ხანისათვის თავდასხმების თავიდან აცილების მიზნით ყოველწლიურად ხარკი ეხადა. XIX საუკუნის დასაწყისში სულთან-ახმედ-ხანი კვლავ არაერთგზის მოითხოვს თუშეთისაგან თავის წილ გადასახადს — 6 ჯორსა და 6 ძროხას[71]. ივი აღნიშნულ მოთხოვნას იმეორებს 1827 წელსაც[72].

თავდასხმები ხშირი იყო საძოვრებზეც. განსაკუთრებით ხშირად აწუხებდნენ ლეკები ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გამოსაზამთრებლად მყოფ მწყემსებს[73], მაგალითად, 1802 წლის ზამთარში ლეკებმა ივრის ზამთრის საძოვრებზე მოწყობილი თავდასხმის დროს გარეკეს თუშების 33 ცხენი, 15 500 ცხვარი, მაღაროელების — 1660 ცხვარი, 20 მსხვილფეხა საქონელი, 6 ცხენი; ბოდბელების — 80 ცხვარი, სულ მთლიანად ამ თავდასხმის დროს წაიყვანეს 39 ცხენი. 17 240 ცხვარი და 20 მსხვილფეხა საქონელი. ამ თავდასხმას პირუტყვთან ერთად 7 მწყემსიც შეეწირა[74]. 1808 წლის 27 აპრილს ლეკები თავს დაესხნენ სოფელ სარვანთან მობალახე ცხვრის ფარას, გარეკეს 2 400 ცხვარი, ტყვედ წაიყვანეს 2 მწყემსიც[75].

ხშირად დაღესტნელები თვით რუს ჯარისკაცებსაც არ უშინდებოდნენ, მათ ვანლაგებაში იერებოდნენ და დიდ მატერიალურ ზარალს აყენებდნენ მათ. მაგალითად, 1808 წლის 1 მაისს გუდოვიჩს არტილერიის გენერალ-მაიორი ახვერდოვი ატყობინებდა, რომ „მიმდინარე წლის 29 აპრილს ლეკების პარტია ლისის დასახლებასთან თავს დასხმია არტილერიის კუთვნილ თაბუნს და მისი კუთვნილი ცხენები გაურეკავს“[76].

ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ქართლ-კახეთის სოფლებს თავს ესხმოდნენ მშვიდობიანი (ეკონომიური) მიზნით ბარში ჩამოსული დაღესტნელები[77]. მაგალითად, ლაზარევი კნორინგს 1801 წლის 7 დეკემბერს ანწუხელებისა და კაპუჭელების შესახებ წერდა: „ისინი საქონელს... ყოველთვის ერეკებოდნენ საქართველოს საზღვრებში... ამასთან ერთად მათ ჰქონდათ საშუალება კარგად დაეთვალიერებინათ მთელი შემოგარენი და საქონლის უკან გადარეკვის დროს უკვე აწყობდნენ თავიანთ თავდასხმებს და ძარცვა-რბევას“[78]. 1806 წლის 3 აგვისტოს

---

71 АКАК, II, № 1582, გვ. 770.

72 იქვე, № 1558, გვ. 761; იქვე, № 1564, გვ. 763; იქვე, № 1551; გვ. 758—759.

73 ЦГВИА, ფ. 482, საქმე, № II, ფურც. 4.

74 АКАК, I, დ. № 919, გვ. 654—655.

75 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 175, ფურც. 171.

76 იქვე, ფ. 2, საქმე № 175, გვ. 172.

77 АКАК, V, ნაწ. 2, დ. № 749, გვ. 614.

78 იქვე, I, დ. № 818, გვ. 654.

კი თბილისში სავაჭროდ ჩამოსული აულ დონდოელის მცხოვრებლები თავს დაესხნენ სოფელ საბუეს, გაძარცვეს იგი და მცხოვრებლებიდან რამდენიმე მოკლეს[79].

დაღესტნისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭარ-ბელაქანს. აქაური ლეკების მხარდაჭერის გარეშე ჩვენს მეზობლებს გაუჭირდებოდათ რაიმე მნიშვნელოვანი ზარალი მიეყენებინათ ქართლ-კახეთისათვის. 1801 წლის აპრილში ქართველი ელჩების ელიზბარ ფალავანდიშვილისა და გიორგი ავალიშვილის მიერ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში წარდგენილ ნოტაში აღნიშნულია, რომ ჭარელნი სრულიადაც არ არიან ისეთნი, რომ ისინი საშიშნი იყვნენ საქართველოსთვის, რიცხვით ისინი სამ-ოთხი ათასსაც არ აღემატებიან. პირველი დიდი ვნება, რომელიც მათ მოაქვთ კახეთისათვის, არის ის, რომ „კახეთსა ზედა არიან დიდად მახლობელ და ცხოვრობენ პირისპირ თვით კახეთისა სამფლობელოსა ქალაქისა ქისიყისა, და საშვალ მათსა არს მდინარე ალაზანი, რომელსაცა შინა გამოდიან ცხენოსანნი და ქვეითნი, მარადის მდგომარეობენ ერთი მეორისაგან ქვეითისაგან ერთის დღის სავალსა, და ადგილს მას შინა თვინიერ მოხსენებულისა მის წყლისა, არა რომელიმე მთა და ბორცვი არ იპოვების ესრეთ, რომელ თვით მძიმითა ურმითა მსუბუქად შეიძლების სლვაი“[80]. ნოტაში ხაზგასმული იყო, რომ ჭარი წარმოადგენდა მეტად საიმედო სადგურს დაღესტნელებისათვის. სანამ საქართველოს მიწებს თავს დაესხმოდნენ, უმეტეს შემთხვევაში დაღესტნელები ჩამოდიოდნენ ჭარში, მოიმარაგებდნენ ხოლმე სურსათს, შეიამხანაგებდნენ ჭარელების ნაწილსაც და ერთად არბევდნენ ქართულ მოსახლეობას[81]. იგივეს სდებს ბრალად კნორინგი ჭარელ მამასახლისებსა და ხალხს 1802 წლის 18 აპრილს მათდამი მიწერილ წერილში[82].

დაღესტნისათვის ჭარის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს სურხაი-ხანის გენერალ ორბელიანისადმი მიწერილი წერილიც:

„მე მზად ვარ ჭარელებს მსხვერპლად შევწირო სიცოცხლე და მთელი ჩემი ქონებაც. მე აქ იმიტომ ვიმყოფები, რომ არ ვცნობ მათ თქვენი ხელმწიფის ქვეშევრდომებად. თუ თქვენ სიწყნარე გინდათ, გაიყვანეთ თქვენი ჯარისკაცები ამ სამფლობელოდან ალაზნის მეორე მხარეს, მაშინ ჩვენ შორის არავითარ გაუგებრობას არ ექნება ადგილი,

---

79 საქ. ცსია, ფ. 16, I, საქმე № 641, ფურც. 14. იქვე, ფ. 2, აღწ. I, საქმე № 175, ფურც. 360—361.

80 Цагарели А., Грамоты, ტ. II, ნაწ. I, გვ. 207; АКАК, I, № 922, გვ. 655; იქვე, II, დ. № 1581, გვ. 770.

81 АКАК, I, დ. № 136, გვ. 187—188; იქვე, დ. № 922, გვ. 655; საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 1539, გვ. 12...

82 АКАК, I, დ. № 922, გვ. 655.

წინააღმდეგ შემთხვევაში მე არ მივცემ მოსვენებას თქვენ ხალხს ამ ქვეყანაში...“[83].

„ჭარ-ბელაქანს — როგორც აღნიშნავს თ. პაპუაშვილი, — თავისი გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობითაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი წარმოადგენდა ერთგვარ ბარიერს, რომელიც ხელს უშლიდა რუსეთს თავისი გავლენის გავრცელებაში დაღესტნისა და ამიერკავკასიის სახანოებისაკენ. ჭარ-ბელაქანზე გადიოდა გზები, რომლებითაც აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებულ რუსეთს შეეძლო დაღესტანს დაკავშირებოდა“[84].

„XIX საუკუნის დამდეგიდან ჭარ-ბელაქანი უკვე რუსეთის გარეუბნის სახიფათო მეზობელი იყო და მაჰმადიანურ სახანოებთან კავშირში დიდ საშიშროებას უქმნიდა რუსთა ბატონობას აღმოსავლეთ საქართველოში. კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე სახანოების წინააღმდეგ რუსეთის ბრძოლის შემთხვევაში ჭარ-ბელაქანი რუსთა რაზმების ზურგში იყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ რუსეთის მთავრობა ჭარელებს იმთავითვე დაუპირისპირდა. თავის მხრივ ჭარელთა უფროსებიც ცდილობდნენ რუსეთთან „კეთილმეზობლური“ ურთიერთობის გაბმას და თავი მედიდურად ეჭირათ[85]“.

1803 წლის 27 მარტს რუსეთის მხედრობამ გენერალ გულიაკოვის სარდლობით დაიპყრო ჭარ-ბელაქნის თავისუფალი თემები, მაგრამ „ჭარის შემოერთება ციციანოვის მიერ დროებითი აღმოჩნდა. ჭარ-ბელაქანი მხოლოდ მაშინ იხრიდა ქედს, როცა იქ რუსთა რაზმი შედიოდა, იქ ჯარის მუდმივი ჩაყენება კი რუსეთის მთავრობას მაშინ არ შეეძლო“[86].

რუსეთის მთავრობა ეკონომიკური სანქციებით ცდილობდა ჭარ-ბელაქნელებზე გავლენის მოხდენას და მათ თავის კუთვნილ ტერიტორიებთან გაცვლა-გამოცვლას უკრძალავდა[87]. ასეთი ეკონომიკური იზოლაცია მხოლოდ დროებით ახდენდა გავლენას ჭარელთა პოლიტიკურ განწყობილებაზე.

ჭარელთა მხრიდან დაღესტნელთა თავდასხმები იმდენად ხშირი და სახიფათო იყო[88], რომ ლაზარევი 1800 წლის დეკემბერში იძულებული გახდა სიღნაღის ციხე-სიმაგრეში დაეყენებინა ეგერთა 3 როტა, მისგან 15 ვერსზე თბილისის მიმართულებით კი — მუშკეტერების ერთი როტა ქვემეხით[89].

---

83 AKAK, II, დ. № 1590, გვ. 774.

84 თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

35 საქ. ისტ. ნარკვევი. ტ. IV, გვ. 842.

86 იქვე, გვ. 843.

87 AKAK, III, № 682, გვ. 366.

88 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 1539, ფურც. 12; AKAK, III, დ. № 682, 83. 366.

89 AKAK, I, № 136, გვ. 187—188.

ჭარ-ბელაქანი ძალზე ხშირად ასრულებდა დაღესტანსა და ახალციხეს შორის დამაკავშირებელი რგოლის როლსაც[90]. ჭარიდან ლეკები პირდაპირ ახალციხეში მიდიოდნენ. აქეთკენვე მოეშურებოდნენ ახალციხიდან სამშობლოში დაბრუნებული დაღესტნელები: „ყოველნი იგი ლეკნი, რომელნიც წამოვლენ საქართველოსა შინა მორბევისა და აოხრებისათვის ოსმალოს მხარედგან, მაშინ იგინი პირველ მოიწევიან ჭარელთადმი და მუნითგან სწორედ მივლენ ახალციხეს“[91].

საქართველო ლეკების მხრიდან თავდასხმებს ახალციხის მხრიდანაც განიცდიდა[92]. 1783 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ტრაქტატი ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების გაუმჯობესებას მოასწავებდა, რაც თურქეთის დიპლომატიის მიერ განცდილი დიდი მარცხი იყო. ამან რუსეთთან ისედაც გართულებული საგარეო ურთიერთობის პირობებში უფრო გააბოროტა ოსმალეთი.

როგორც მ. დუმბაძე წერს: „ქართლ-კახეთში რუსთა ჯარების გადმოყვანის გამო ოსმალეთის სახელმწიფოს შეშფოთება სავსებით გასაგები იყო. რუსეთის მიერ მრავალგზის დამარცხებულ, ყირიმიდან და ჩრდილო კავკასიიდან გამოდევნილ ოსმალეთს ახლა მისი უშუალო, თუ მინატაცებ-დაპყრობილი მიწების დაკარგვა მოელოდა. ძლიერმა რუსეთმა კავკასიონის მთაგრეხილი უომრად გადმოლახა, უშუალოდ დაუმეზობლდა სულთნის სამფლობელოებს და მას საქართველოდან „მეორე ფრონტი“ გაუხსნა (პირველი და ტრადიციული ფრონტი ბალკანეთის მიმართულებით იყო), რითაც დაემუქრა ანატოლიის ჩრდილოეთ პროვინციებს[93].

გამძვინვარებულმა ახალციხის ფაშამ სულეიმან ათაბაგმა, რომელსაც არ გამოჰპარვია ის გარემოება, რომ ერეკლე II რუსეთის დახმარებით აპირებდა ოსმალთა მინატაცები სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას, რადგანაც თავის თავს „საათაბაგოს მფლობელად თვლიდა“, ჯავრის ამოყრის მიზნით „აღუწოდა ლეკთა და იყო ოხრება ქართლისა“[94]. XIX საუკუნის დასაწყისში ვითარება უფრო დაიძაბა.

მართალია, ამ პერიოდში ახალციხის ფაშა სიტყვით რუსეთის მთავრობას მეგობრობას ეფიცებოდა და პირდებოდა, რომ ლეკებს არ შეუშვებდა თავის სამფლობელოში, არ მისცემდა პურს და არ გააყი-

---

90 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 938, ფურც. 661—662; იქვე, საქმე № 2927, ფუც. 657, იქვე, საქმე № 2991 ფუც. 666; იქვე, საქმე № 1192, ფუც. 6; АКАК, IV, დ. № 811, გვ. 545.

91 Цагарели А., Грамоты, II, გვ. 208.

92 АКАК, IV, დ. № 936, გვ. 612; იქვე, I, დ. № 938, გვ. 662.

93 საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. IV, გვ. 696.

94 თ. ბაგრატიონი დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

დინებდა იქ ტყვეებს[95], მაგრამ სინამდვილეში, როგორც ლაზარევი 1802 წლის 22 აგვისტოს მოახსენებდა კნორინგს: „ეს ახსნა-განმარტება მთლიანად სიმართლესაა მოკლებული. მას თავისი სამფლობელოდან ლეკები არ გამოუდევნია, არამედ ერთი ნაწილი გაგზავნა იმერეთის მეფესთან, მეორე კი ჰყავს თავისთან, და იყენებს მათი საერთო ზრახვების სისრულეში მოსაყვანად... პოდპოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა არაერთგზის გარეკა ლეკები საქართველოს საზღვრებს გარეთ. ქართლის მხრიდან, შერიფ-ფაშის სამფლობელოში, საითაც ისინი ყოველთვის მიისწრაფოდნენ და ნახულობდნენ კიდეც თავშესაფარს. ისედაც ხდებოდა ხოლმე, რომ თურქები ლეკებს უამხანაგდებოდნენ და ერთად არბევდნენ საქართველოს მიწა-წყალს“[96]. 1800 წელს კოვალენსკის მიერ საქართველოზე გაკეთებული შენიშვნების მიხედვით ჩანს, რომ ახალციხის ფაშას კეთილმეზობლური დამოკიდებულება საქართველოსთან გამოიხატებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ მან სხვადასხვა დროს გამოუსყიდველად გაათავისუფლა დაღესტნელთაგან მოტაცებული რამდენიმე ქართველი ტყვე, რომლებიც მათ ძალით წაართვა, ამ დაღესტნელების მოკავშირე თავისი ქვეშევრდომებიდან რამდენიმე კაცი კი სიკვდილით დასაჯა; გამოუსყიდველად დააბრუნა ლეკების მიერ მონატაცები პირუტყვიდან რამდენიმე მსხვილფეხა რქოსანი საქონელი; იმერეთსა და მისი ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფ სხვა ადგილებში მყოფი ყველა დაღესტნელი რუსეთის მოთხოვნის საფუძველზე შეაგროვა ერთად. წარადგინა საქართველოს მეფესთან და მკაცრად აუკრძალა მათ საქართველოს საზღვრებში შესვლა[97].

ყოველივე ეს მოჩვენებითი ღონისძიებები იყო. ახალციხიდან ლეკთა თავდასხმები საქართველოს სოფლებზე კიდევ უფრო მომრავლდა[98]. მაგალითად, 1802 წლის 7 აგვისტოს სოფელ ხისტერს თავს დაესხა ახალციხის მხრიდან 500 დაღესტნელი. მათ ტყვედ წაიყვანეს 96 ქალი და კაცი[99]. თავდასხმის მომწყობი და ორგანიზატორი ისევ ახალციხის ფაშა იყო. 1803 წლის ზაფხულში ახალციხიდან შემოჭრილმა ლეკებმა გაძარცვეს სოფელი ჭარელი, ხოლო შემდეგ ტყეში შეიტყუეს და გაჟლიტეს რუსთა ასეული[100]. ციციანოვის ბრძანებით[101] რუსთა რაზმი გენერალ ორბელიანის სარდლობით ახალციხეში შეი-

---

95 АКАК, I, д. № 928, გვ. 658;

96 იქვე, I, д. № 945, გვ. 667—668.

97 იქვე, I, д. № 34, გვ. 112.

98 იქვე, д. № 938, გვ. 662; იქვე, II, д. № 1555, გვ. 760; იქვე, д. № 1568, გვ 763—764; ЦГВИА, ф. 26 აღწ. I, საქმე № 151; ფურც. 544.

99 АКАК, I, д. № 945, გვ. 667—668.

100 თ. ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

101 Дубровин Н., История войны и влад., II, с. 23.

ვრა, რის შედეგადაც ახალციხის ფაშა იძულებული გახდა მისთვის 600 დაღესტნელი გადაეცა დასასჯელად. რუსებმა ლეკები განაიარაღეს და მთელ ქართლსა და კახეთში ჩამოატარეს[102].

ახალციხის ფაშას ასეთი მუხანათური პოზიცია შეუმჩნეველი არ დარჩენია რუსეთის კავკასიურ მმართველობას. 1808 წლის თებერვალში კავკასიის მთავარმმართებელი გუდოვიჩი მოახსენებდა იმპერატორს: ახალციხის ფაშა უფლებას აძლევს ლეკებს და თავის ქვეშევრდომებს აწარმოონ ჩვენი ტერიტორიის ძარცვა-რბევაო[103]. ლეკების მიერ ქართლის სოფლების რბევის შესაწყვეტად გუდოვიჩმა შესთავაზა ახალციხეში მყოფ ყველა დაღესტნელს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა და აღუთქვა სამშობლოში მშვიდობიანი დაბრუნება, მაგრამ ფაშა მათ ამის ნებას არ აძლევდა და სხვადასხვა დაპირებებითა და საბაბით თავისთან აკავებდა მათ[104].

თუ თურქეთი 1806—1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე მალულად იფარებდა ლეკებს, ომის დაწყების შემდეგ უკვე თურქეთის ანატოლიის მთავარსარდალი იუსუფ-ფაშა მაჰმადიანური რელიგიის დაცვის საბაბით აშკარად მოუწოდებდა დაღესტნის, აზერბაიჯანის ჭარ-ბელაქნის მფლობელებს, რომ თურქეთთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში და მოეწყოთ ერთობლივი ლაშქრობა ამიერკავკასიაში მათ დასაყრდენ თბილისზე, რის სანაცვლოდაც პირდებოდა ჯილდოებს[105].

აღნიშნულ გარემოებას დროზე მიაქცია ყურადღება ამიერკავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ[106]. მაგრამ დაღესტნელების რამდენიმე რაზმი მაინც გადავიდა ახალციხეში[107], საიდანაც მონაწილეობა მიიღეს საომარ მოქმედებაში და თურქთა შემოსევებში[108]. მაგალითად, 1807 წლის ზაფხულში დაღესტნის პროვინციების ოსოქოლოსა და წუდახარიდან 700 ლეკი მამასახლისების: ქოსა-ჰუსეინის, მუსტაფა-ჰასან-ოღლისა და აბდუ-ისმაილ-ოღლის წაქეზებით გადავიდნენ ახალციხეში, სადაც აწარმოებდნენ საქართველოს ტერიტორიებზე თავდასხმებსა და ძარცვას. ისინი 13 ივნისს თავს დაესხნენ ქარელს და გარეკეს დიდი რაოდენობით ცხვარი, ხოლო 18 ივნისს თურქებთან ერთად დაესხნენ სოფელ მოხისს, ცახისს და მოიტაცეს მთელი ცხვარი[109]. 1808 წელს

---

102 Покоренный Кавказ, СПБ, с. 303.

103 Шагарели А., Грамоты..., с. 207—208.

104 АКАК. III, с. 433.

105 АКАК. III, გვ. 433.

106 იქვე, IV, დ. № 936, გვ. 611—612.

107 საქ. ცენ., ფ. 16, აღწ. I, საქმე № 1082, ფურც. 5; იქვე, საქმე № 1192, ფურც. 6—7.

108 იქვე, ფურც. 145, 148, 396, 594, 610.

109 АКАК, III, დ. 690, გვ. 369—370.

აულების ოსოქოლოს, ბალაბანის, ბაკთლალისა და ქინდოქის ახალციხეში მყოფი გულხადარები, რომლებიც ახალციხის ფაშას მიერ იყვნენ დაქირავებულები, მეტისმეტად აწუხებდნენ ქართლის სოფლებს ბოლომოულებელი თავდასხმებით[110].

თურქების წაქეზებით 1806—1812 წლების ომის დროს მომრავლდა თავდასხმები ქართლ-კახეთის სოფლებზე არამარტო ახალციხის, არამედ უშუალოდ დაღესტნისა და ჭარ-ბელაქნის მხრიდანაც[111]. რუსეთ-თურქეთის ომი 1812 წლის მაისში ბუქარესტში ზავის დადებით დამთავრდა. ზავის VI მუხლის საფუძველზე რუსეთმა ამიერკავკასიაში შეინარჩუნა „ნებაყოფლობით“ შემოერთებული ტერიტორიები. ამ ზავით „რუსეთის სარგებლობაში გადადიოდა შავი ზღვის სანაპირო, დაწყებული მდინარე ბზიფიდან ვიდრე მდინარე რიონამდე, ფაქტიურად კი რუსეთის გამგებლობაში ექცეოდა საქართველოს ზღვის ნაპირი ბზიფიდან ვიდრე მდინარე ჩოლოქამდე და ამ ნაპირზე მდებარე ნავმისადგომები: სოხუმი, ყულევი (რედუტ-ყალე) და შეკვეთილი. მაგრამ აღნიშნული ზავის მიხედვით რუსეთი იძულებული გახდა ოსმალეთისათვის დაებრუნებინა ქალაქი ფოთი და ახალქალაქი[112]. რომლებიც კვლავ გადაიქცნენ ტყვეებით მოვაჭრე ოსმალო ყაჩაღების სათარეშო ასპარეზად.

აღნიშნულმა ზავმა ვერ მოსპო ახალციხიდან ლეკების თავდასხმები. ისინი ინტენსიურად გრძელდებოდა მომდევნო პერიოდშიც.

განსაკუთრებით გააქტიურა ოსმალეთმა დაღესტნელების მიმართ თავისი წამქეზებლური საქმიანობა 1827—1832 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წლებში.

თურქეთზე დაღესტნელების დამოკიდებულებას გარდა ახალციხის ფაშას მიერ მათი დაქირავებისა და ამის შედეგად თავისი სურვილების მიხედვით გამოყენებისა, ის გარემოებაც იწვევდა, რომ რაც რუსეთმა ყირიმის სახანო დაიპყრო, დაღესტნელებისათვის ტყვეების გასაყიდ ერთადერთ ბაზრად ოსმალეთი გადაიქცა. და ამიტომ მათი ინტერესები მჭიდროდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს[113].

კახეთზე სათარეშოდ მომავალი დაღესტნელები უმთავრესად გადმოდიოდნენ ყადორისა და ვანთლაშეთის უღელტეხილებიდან. როგორც ე. ვეიდენბაუმი აღნიშნავდა, ეს უღალტეხილები მდებარეობდა

---

110 АКАК, III, დ. № 697, გვ. 372.

111 იქვე, დ. № 691, გვ. 370; იქვე, დ. № 680, გვ. 365; საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 917, ფურც. 2.

112 Договоры России с Востоком, сост. Юзефовичем. СПб, 1869, с. 53.

113 დ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. დისერტაცია, გვ. 41.

მუდმივი თოვლის საფარის ქვევით და ამიტომ მოსახერხებელი იყო დაღესტნელებისათვის[114].

ლეკთა თავდასხმები ქართლზე უმთავრესად ზედაზნის მხრიდან წარმოებდა. როგორც პლ. იოსელიანი აღნიშნავდა, „მთა ზედაზნისა იყო კანონიერად კლდედ და კარად დაღესტნისა და აქედამ დაეცემოდიან ლეკნი ღართის-კარსა და დაცემით ტყვეთა, — განვლიდნენ ქართლსა და ავიდოდნენ ახალციხეს. დაბრუნებულნი მუნით, აქავე მოდიან და დაბინავდებიან უშიშრად, — ესრეთ მდგომარეობასა შინა იყო საქართველო დროთაგან მეფისა ვახტანგისა 1710-გან, ვიდრე 1817 წლამდე“[115].

ახალციხეში დაღესტნელები ჭარის, ბორჩალოს დისტანციისა და წალკის გავლითაც გადადიოდნენ[116].

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, დაღესტნელთა თარეშს სისტემატური ხასიათი ჰქონდა, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკაზე. თავდასხმები გარდა იმისა, რომ ეკონომიკურად ანადგურებდა ადგილობრივ მოსახლეობას (დაღესტნელები ქართლ-კახეთის მცხოვრებლებს უწვავდნენ სახლებს, იტაცებდნენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარსა და პროდუქტებს, ერეკებოდნენ საქონელს, მიჰყავდათ ტყვეები), მეტისმეტი სიმკაცრითაც გამოირჩეოდა. მაგალითად, 1803 წლის 18—19 მარტს სოფელ კავთისხევს დაღესტნელები თავს დაესხნენ ღამით, ტყვედ წაიყვანეს 6 მოზრდილი და 32 მცირეწლოვანი ბავშვი. ადგილი ჰქონდა დედების თვალწინ ბავშვების მოკვლის შემთხვევებს. აქ მათ დაახლოებით ორი საათი დაჰყვეს, თან წაიღეს მრავალი ნივთი, მთლად დაამტვრიეს მთელი თიხის ჭურჭელი[117]. 1804 წლის 29 სექტემბერს დაღესტნელები თავს დაესხნენ სოფელ ყვარელს, მოკლეს 22 ადამიანი, ტყვედ წაიყვანეს ორივე სქესის მოზრდილი მოსახლეობა, უფრო მეტი კი მცირეწლოვანი ბავშვები, სულ 46 სული, გაძარცვეს და შემდეგ გადაწვეს გლეხების 30 სახლი[118].

იმავე, 1804 წლის სექტემბერში ლეკები თავს დაესხნენ მინდორში მომუშავე სოფელ მაჩხაანის მცხოვრებლებს. მოკლეს 2 ქალი, 2 კაცი, ტყვედ წაიყვანეს 20 კაცი და 6 ქალი[119]. მაგალითების ჩამოთვლა საკმაოდ შორს წაგვიყვანდა, იმდენად დიდია მათი რიცხვი.

---

114 Вейденбаум Е, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

115 თ. ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

116 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 1192, ფურც. 6; АКАК, IV, დ. № 936, გვ. 612.

117 АКАК, II, დ. № 1551, გვ. 758—759.

118 იქვე, დ. № 1564, გვ. 763.

119 იქვე, დ. № 1563, გვ. 762—763.

აღნიშნული თარეშის შემდეგ გლეხის ოჯახი კარგა ხანს წელში ვეღარ იმართებოდა, რადგან მისი დოვლათი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები დატაცებული იყო. განსაკუთრებით შემაძრწუნებელი კი ის იყო, რომ თავდასხმები ხშირად მეორდებოდა. რამდენჯერმე აღდგენილი მეურნეობის მოშლა კი მწარმოებელში კვლავ აღდგენის სურვილს ახშობდა. სამეურნეო საქმიანობის დროს მოსალოდნელი თარეშის შიში შრომის ნაყოფიერებას ამცირებდა და მეურნეობას ეკსტენსიურს ხდიდა[120]. იმის გარდა, რომ დაუსრულებელი თარეში მატერიალურად ძირს უთხრიდა ქვეყანას, იგი მოსახლეობას ფიზიკურად და მორალურადაც ანადგურებდა.

თავდასხმების დროს ძირითად და ყველაზე მნიშვნელოვან ნადავლს ტყვეები შეადგენდნენ. ტყვეები დაღესტნელების უმეტესობისათვის წარმოადგენდა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს. მათი ღირებულება საკმაოდ დიდი იყო.

დაღესტანში განსაკუთრებით ძვირად ფასობდნენ თუშეთის მკვიდრნი. შედარებით იაფი ღირდნენ საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებნი და რუსები. ერთი თუშის ღირებულება 50 მანეთს შეადგენდა ვერცხლით, მათ გამოსყიდვაზე მთიელები თითქმის არასდროს არ თანხმდებოდნენ, რუსებსა და სხვა კუთხის ქართველებს კი თითქმის ყოველთვის ათავისუფლებდნენ გარკვეული გამოსასყიდის ფასად. სილდიაში, ჯამალალსა და თინდალში უმეტესად ტყვე თუშები ჰყავდათ, ანკრახში — კახელები და ქართველები, ბაკტლალსა და ყოისუბსა და ანდალალში კი —. რუსები[121].

დაღესტნელები გატაცებულ ტყვეებს XIX საუკუნის I მესამედში უმთავრესად დაღესტნისა და ოსმალეთის, ძირითადად ახალციხის ბაზრობებზე ჰყიდდნენ[122]. აქედან ტყვეები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ხვდებოდნენ. აღნიშნულის დასამტკიცებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ საილუსტრაციოდ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ლაპში მოხსენიებული ლეკთაგან მოტაცებული და რვაჯერ გაყიდული ქართველის ამბის მოყვანაც კმარა. ლაპი გვაუწყებს: „მეცა, მონა ღვთისა, ფრიად ცოდვილი, თუშაით თუშის შვილი, მოქცეული კახეთს, ალავერდის წმიდის გიორგის მონასტერში და ფრიადისა ცოდვისაგან და ლეკისაგან რვაჯერ გასყიდული, ლეკისაგან და იერუსალიმს მიყვანილი, ექვსა წელსა მონა რვაჯერ გავისყიდე. ძმანო, ბევრი ჭირი ვნახე. ყმაწვილი ვიყავი, შენდობა ბრძანეთ ჩემს ცოდვილისათვის“[123].

---

120 АКАК, II, д. № 129, გვ. 185.

121 Материалы по истории Дагестана и Чечни..., с. 26.

122 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. 1, საქმე № 2219, ფურც. 4; იქვე, საქმე № 1045, ფურც. 1, 4; იქვე, საქმე № 1795, ფურც. 2.

123 ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, ტფ., ტ. V, 1925, გვ. 364—365.

თუ წარმოვიდგენთ, რომ აღნიშნულ მდგომარეობაში ვარდებოდა ეაპაცებული ტყვეების უმრავლესობა, გასაგები გახდება ლეკთა თავდასხმებისა და ტყვეთა გაყიდვის მავნე ჩვევის მთელი ტრაგიკულობა და მისი მძიმე შედეგები ქართველი ხალხის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

ტყვეებიდან ყველას არ ჰყიდდნენ. მათ ნაწილს სახლში სამუშაოებისათვის იყენებდნენ. პეტრუშევსკი წერდა: „ყველა ტყვეს არ ჰყიდდნენ, მათგან ზოგს იტოვებდნენ თავიანთ კუთვნილებაში იმის იმედით, რომ მას ახლობელი გამოისყიდიდა, ან სახლში მძიმე სამუშაოების შესასრულებლად იყენებდნენ“[124].

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში დაღესტნიდან ტყვეების გამოსყიდვამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ ამ საქმეში დასაქმებული ხალხის რიცხვი ქართლ-კახეთში მომრავლდა. წარმოიშვა ერთგვარი შუამავალი, რომლის ძირითად საქმიანობად გარკვეული გასამრჯელოს ფასად ტყვეთა მონახვა და მისი პატრონისათვის დაბრუნება იქცა[125]. ტყვის გამოსყიდვა ადვილი საქმე არ იყო, რადგანაც საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. მაგალითად, 1803 წელს სოფილ ბაკურციხის ერთ-ერთ მცხოვრებს თავისი ორი ვაჟის გამოსყიდვაში ფულითა და ნივთებით გადაუხდია 222 მანეთი[126].

დაღესტნელების მიერ ქართველი ტყვეების ხელში ჩაგდების გზა მაოლოდ და მხოლოდ თავდასხმები არ ყოფილა. ხშირი იყო შემთხვევები. როდესაც ადგილობრივი, ქართველი მოსახლეობაც ჰყიდდა თანამემამულეებს[127].

ტყვეებს უფრო ხშირად გაბატონებული წოდების ქართველები — თავადები და აზნაურები ჰყიდდნენ[128], თუმცა ამ საქმეს, როგორც ჩანს, არც გლეხები თაკილობდნენ[129]. „ტყვის სყიდვამ“ განსაკუთრებით სამარცხვინო ფორმები დასავლეთ საქართველოში მიიღო, მაგრამ იგი აღმოსავლეთშიც ინტენსიურად იყო გავრცელებული. ხშირი იყო ლეკების საგანგებოდ ტყვის საყიდლად საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევებში. მათ „ტყვის მსყიდველებს“ უწოდებდნენ“[130].

ტყვეების გამყიდველებსა და „ტყვის მსყიდველებს“ შორის ზოგჯერ მჭიდრო კონტაქტები არსებობდა. როგორც ჩანს, ქართველი ფეო-

---

124 Петрушевский И., Джаро-Белоканские вольные общества в первой трети XIX столетия. Тифлис, с. 19.

125 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 43, ფურც. 365; იქვე, ფ. 2, აღწ. I, საქმე № 43, ფურც. 365.

126 იქვე ფ. 2, საქმე № 43, ფურც. 365.

127 იქვე, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 1795, ფურც. 2.

128 იქვე, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 1795, ფურც. 1.

129 იქვე, საქმე № 1847, ფურც. 4, 7.

130 იქვე, საქმე № 1795, ფურც. 1.

დალები მათ დროდადრო ამარაგებდნენ ქართველი ტყვეებით. მაგალითად, გორის პოლიციის კაპიტნის, თავად რევაზ ციციანოვის 1816 წლის განცხადებაში ვკითხულობთ: მის ყმასთან მისულა კაცი, რომელსაც შეუტყობინებია, რომ „რომელმან ლეკმან შენი და და დისწული იყიდა... იგი ლეკი მოვიდაო და ახლა იმყოფება ხცისსაო.. და წასულიყო ჩემი ყმა... მას ლეკთან ტყვის მსყიდავთან... გამოუდეგ კვალზედ“[131]. თვითონ ყმა იგონებს: „მივეწიე სკრასა, სადაცა იმყოფებოდა მას ლეკთან აზნაური იოსებ გურდევანიძე, რომელნიცა ორნივე შევიპყარ“[132]. მართალია, გარიგებები მეტად მალულად ხდებოდა, მაგრამ მათ უკვე ისეთი ფართო ხასიათი ჰქონდათ, რომ მათი დამალვა შეუძლებელი გამხდარა. როგორც ზემოაღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, მოსახლეობა კარგად იცნობდა „ტყვის მსყიდველებს“.

საქართველოში ასე ყიდვის გზით ხელთ ჩაგდებული ტყვეები ლეკებს პირდაპირ ახალციხეში მიჰყავდათ გასაყიდად. იგივე საბუთში ვკითხულობთ: „ჩემი ყმის და და დისწული... ლეკმა... წაიყვანა ახალციხეს“[133].

დაღესტნიდან ბოლომოუღებელი თარეში, რასაც თან სდევდა ტყვეთა დატაცება, უარყოფითად მოქმედებდა მოსახლეობის მატებაზეც. ძირითადად ლეკთა ამ პოლიტიკის შედეგი იყო ის გარემოება, რომ XVIII საუკუნის ბოლო წლებში ქვეყანაში მწარმოებელი მოსახლეობა 1783 წელთან შედარებით თითქმის განახევრდა. კნორინგი 1801 წელს მოახსენებდა უმაღლეს კარს: „61 000 ოჯახიდან საქართველოში ძლივს-ღა არის 31 000“.

კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ ტყვეთა ყიდვის წინააღმდეგ რუსეთის კავკასიურმა ადმინისტრაციამ მთელ რიგი ღონისძიებებს მიმართა: პირველ რიგში კრძალავდა ამ სამარცხვინო საქმიანობას თავის კუთვნილ ტერიტორიაზე. ტყვის ყიდვის მასშტაბები მნიშვნელოვანწილად შეამცირა ბუქარესტისა და ანდრიანოპოლის ზავებმა, რომელთა საფუძველზე რუსეთს გადაეცა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ნავსადგურები: სოხუმი, ყულევი (რედუტ-კალე), შეკვეთილი, ფოთი, აგრეთვე ახალციხე და ახალქალაქი, რომლებიც აქამდე ტყვეებით ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდნენ. ამის მიუხედავად ლეკებისაგან ქართველი მოსახლეობის ტყვეებად დატაცება და მათი გაყიდვა არ წყდებოდა.

ტყვეთა ყიდვის სამარცხვინო ჩვევის მოსპობისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად დაღესტნელთა მხრიდან თავდასხმების აღკვეთა წარმოადგენდა.

---

131 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 1795, ფურც. 1.

132 იქვე.

133 იქვე, ფურც. 2.

რუსეთის კავკასიური ადმინისტრაციის მოხელეები ყველანაირად ცდილობდნენ როგორმე აღეკვეთათ დაღესტნელთა თავდასხმები[134]. ამ მიზნით ისინი ქართველი მეფეების გამოცდილებასაც მიმართავდნენ[135]. 1803 წლის თებერვალში სიმონოვიჩი მოაასენებდა კავკასიის მთავარსარდალს, რომ ერეკლემ დაღესტნელებისაგან თავის დასაცავად მორიგე ჯარი შემოიღო, რომელიც 12 ნაწილად გაყო. თითოეულ მათგანს სხვადასხვა ადგილის დაცვა დაევალა. სიმონოვიჩი შემდეგ ჩამოთვლის იმ ადგილებს, სადაც მას მიზანშეწონილად მიაჩნია დაცვის ხაზების მოწყობა ლეკების შემოსევებისაგან: დედოფლისწყარო, სოფ. ცარასყური, კვეში, წალკა, მატანი, საგურამო[136].

1805 წლის მარტში კი 400 ქიზიყელი გაანთავისუფლეს პურის გადასახადისაგან და მათ ძირითადად დაევალათ ლეკების თავდასხმების მოგერიება[137]. ამ ღონისძიებამ დაღესტნელთა თარეშს ვერ უშველა, ამიტომ 1808 წელს ლეკთა შემოსევებისაგან თავის დასაცავად თავდაცვის ხაზი უფრო შემჭიდროვდა და დამცველთა რიცხვიც გაიზარდა. ახვერდოვის ბრძანებით, ლეკების წინააღმდეგ რუსთა ჯარებს განლაგდნენ: თბილისის მაზრაში — ნავთლუღის მახლობლად ყარაიის ველზე — 100 ქართველი ცხენოსანი; თელავის მაზრაში — სოფ. გავაზთან 150 ადამიანი, სიღნაღში — ყარაგაჩასთან 50 ცხენოსანი ქართველი; გორის მაზრაში სურამთან — 40 ცხენოსანი და 60 ქვეითი, ქარელში — 30 ცხენოსანი; ცხინვალთან — 20 ცხენოსანი და 30 ქვეითი. სოფ. ხოვლესთან — 20 ცხენოსანი და 30 ქვეითი; თბილისთან: ყაზახელი თათრების — 20, შამშადილელების — 10, ბორჩალოელების — 5 და სიღნაღელი ქართველების — 20 მეომარი[138].

დაღესტნიდან თავდასხმების აღკვეთას რუსეთის მეფის მოხელეები ძირითადად ადგილობრივ მცხოვრებლებზე ამყარებდნენ. მათ წასახალისებლად შემოღებულ იქნა ე. წ. დაჯილდოვების სისტემა: 1803 წლის 10 ივნისს თიანეთის მოსახლეობას გამოუცხადეს, რომ ქურდობის დროს დაჭერილ ყოველ ლეკში მიეცემოდათ ჯილდოდ 5 ვერცხლის მანეთი[139].

თუშებს დაღესტნიდან გადმოსასვლელების დასაცავად გამოჰყავდათ 50 კაცი, ნაწილი რიგის მიხედვით, ნაწილს კი ქირაობდნენ 8

---

134 ЦГВИА, ფ. 26, აღწ. 152, საქმე № 104, ფურც. 126; АКАК, I, დ. № 129, გვ. 186; იქვე, დ. № 136, გვ. 187—188.

135 АКАК, VII, დ. № 460, გვ. 506.

136 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, საქმე № 59, ფურც. 1, 3.

137 იქვე, საქმე № 59, ფურც. 387.

138 იქვე, საქმე № 175, ფურც. 193.

139 АКАК, II, დ. № 1552, გვ. 760.

ვერცხლის მანეთად[140]. ასევე იქცეოდნენ კახეთის სხვა მხარის მცხოვრებლებიც[141].

ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა, რითაც რუსეთში ცდილობდნენ დაღესტნელების მხრიდან თავდასხმების აღკვეთას, ე. წ. „ამანათების“ გამორთმევა იყო[142]. ისინი ყოველთვის გავლენიანი გვარის შვილები იყვნენ და მრავლად იყვნენ სიღნაღის, თელავის, თბილისის[143], გორის ციხეებში[144]. რუსი მოხელეები დაღესტნელებს ამანათებს მშვიდობიანობის საკომპენსაციოდ ართმევდნენ და მისი დარღვევის შემთხვევაში სასტიკად უსწორდებოდნენ მათ.

ლეკების მხრიდან თავდასხმების შესამცირებლად და იმის გამოც, რომ ხშირად ადგილი ჰქონდა სავაჭროდ ჩამოსული დაღესტნელების მხრიდან ქართლ-კახეთის სოფლებზე თავდასხმებს, რუსეთის მთავრობამ შემოიღო ე. წ. ბილეთები, რომლის გაცემის უფლებაც მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ და მის ერთგულ პირს ჰქონდა[145]. ეს ბილეთები დაღესტნელის მშვიდობიანობის დამადასტურებელი საბუთი იყო და მის გარეშე ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მყოფ ლეკს აუცილებელი დატუსაღება ელოდა[146].

ზოგჯერ დაპატიმრებულ დაღესტნელებს ციმბირში აგზავნიდნენ, ან იყენებდნენ სხვადასხვა მძიმე სამუშაოების შესრულების დროს[147]. იყო მათი ჩამოხრჩობის შემთხვევებიც[148].

რუსული კავკასიური ადმინისტრაციის მოხელეები ჩვენი მთიელი შეზობლების მხრიდან მოსახლეობის აწიოკების აღკვეთას ეკონომიკური იზოლაციითაც ცდილობდნენ. ძალზე ხშირი იყო ქართლ-კახეთზე მოწყობილ თავდასხმებში მონაწილე ლეკებისათვის სავაჭრო-გაცვლითი მიზნით სიარულის აკრძალვა არამარტო საქართველოს[149], არამედ

---

140 ЦГВИА, ფ. ВУА, საქმე № 18481, ფურც. 96.

141 იქვე, გვ. 104.

142 АКАК, IV, დ. № 928, გვ. 606; იქვე, დ. № 930, გვ. 608; იქვე, დ. № 931, გვ. 609; იქვე, I, დ. № 925, გვ. 657.

143 იქვე, IV, დ. № 932, გვ. 601; იქვე, დ. № 651; გვ. 467; იქვე, I, დ. № 925, გვ. 657.

144 იქვე, I, დ. № 918, გვ. 654; საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 3662, ფურც. 2; იქვე, ფ. 2, აღწ. I, საქმე № 920, ფურც. 9, 10, 11, 12, 17, 18; იქვე, საქმე № 903, ფურც. 38, 53, 54, 57, 66, 67.

145 АКАК, IV, დ. № 917, გვ. 601; იქვე VII, დ. № 462, გვ. 509.

146 იქვე, VI, დ. № 57, გვ. 29; იქვე, IV, დ. № 917, გვ. 601; იქვე, დ. № 928, გვ. 606; იქვე, დ. № 931, გვ. 609.

147 საქ. ცსია, ფ. 2, საქმე № 920, ფურც. 81, 82, 83, 86 , 103; იქვე, ფ. 10. აღწ. I, საქმე № 1018; ფურც. 3. АКАК, II, დ. № 1559, გვ. 761; იქვე, III, დ. № 696, გვ. 372.

148 იქვე, ფ. 16, აღწ. I, საქმე № 10696, ფურც. I; იქვე, საქმე № 1018, ფურც. 3.

149 АКАК, I, დ. № 918, გვ. 654; იქვე, V, ნაწ. 2, დ. № 748, გვ. 614.

რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ თითქმის ყველა ტერიტორიასთან[150]. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია გენერალ ორბელიანის მიერ გრაფ გუდოვიჩისადმი წარდგენილი პუნქტები[151] და მის საფუძველზე გუდოვიჩის მიერ შემუშავებული ბრძანება[152], რომელიც ეხებოდა მთელ დაღესტნელ ხალხს. მსგავსი აკრძალვები XIX საუკუნის პირველ მესამედში მრავლად იყო[153]. ვაჭრობასა და გაცვლა-გამოცვლასთან ერთად დაღესტნელებს ხშირად უკრძალავდნენ იმპერიის საზღვრებში არსებული საზამთრო საძოვრებით სარგებლობას და მის კუთვნილ ქვეყნებში საშოვარზე სიარულს[154].

სასჯელის განსაკუთრებულ ზომას დაღესტნელებისათვის წარმოადგენდა ქონების კონფისკაცია. აღნიშნულ ღონისძიებას ხშირად მიმართავდა რუსეთის კავკასიური ადმინისტრაცია: თავდასხმებში მონაწილე საზოგადოებების წარმომადგენელ დაღესტნელებს აპატიმრებდნენ და მათ ქონებას საჯარო ვაჭრობით ჰყიდდნენ[155]. ძალზე ხშირად დაღესტნის სრული ეკონომიკური იზოლაციისათვის რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფ ხალხებსაც ეკრძალებოდათ დაღესტანში საავაჭროგაცვლითი მიზნით სიარული[156].

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს, როდესაც რუსეთის ძეფის კავკასიურმა ადმინისტრაციამ კავკასიაში ბატონობის საკმაო გამოცდილება შეიძინა, თავის ზოგიერთ ადრე გამოყენებულ ხერხზე უარი თქვა. კერძოდ, გენერალმა ერმოლოვმა მცდარად მიიჩნია დაღესტნის მთელი რიგი ხალხების (ამ შემთხვევაში დიდოელების) მხრიდან თავდასხმების ასაცილებლად მათი ეკონომიკური იზოლაცია. როგორც გენერალ-ადიუტანტი სიპიაგინი გენერალ პასკევიჩს 1827 წლის 30 სექტემბერს წერდა: „გენერალი ერმილოვი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ მსგავსმა აკრძალვებმა არა თუ არ მოუტანა ქვეყანას სასურველი სარგებლობა, არამედ უფრო გაამრავლა ძარცვა-რბევა (რადგანაც თვითონ დიდოელები, გადაეკეტათ რა საარსებო საშუალება, რომელსაც ისინი შოულობდნენ კახელ გლეხებთან სეზონური სამუშაოებით; უკიდურესი სიღარიბით იძულებულნი გახდნენ წასული-

---

150 AKAK, IV, დ. № 923, გვ. 604; იქვე, III, დ. № 696, გვ. 371—372.

151 იქვე, III, დ. № 693, გვ. 370.

152 იქვე, დ. № 694, გვ. 370—371.

153 იქვე, VI, ნაწ. II, დ. № 25, გვ. 15; იქვე, დ. № 36, გვ. 19; იქვე, დ. № 57, გვ. 29; საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე № 1299, ფურც. 1, 2, 3, 9—10.

154 AKAK, VI, ნაწ. 2, დ. № 56, გვ. 26; იქვე, VII, დ. № 460, გვ. 506.

155 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, დ. № 903, გვ. 49, 50, 61, 63, 64; იქვე, დ. № 920, გვ. 104, 105, 106; იქვე, ფ. 16, დ. № 2622, გვ. 117: AKAK, 1, დ. № 918, გვ. 654.

156 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. 1, დ. № 2620, გვ. 2, 4; იქვე, დ. № 2622, გვ. 27—28, 117,119—121; იქვე, № 4685, გვ. 1, 4, 12, 13, 15, 16; იქვე, დ. № 1299, გვ. 33;

ყვნენ თავდასხმებზე)“ და მალე მათ ნება დართო ძველებურად ევლოთ კახეთში[157].

სიპიაგინს დიდოელების მხრიდან თავდასხმების შესამცირებლად მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ მათთან, ისევე როგორც ეს იყო ქართველი მეფეების დროს, პრისტავად დაენიშნათ რომელიმე ქართველი თავადი, რომელსაც გავლენა ექნებოდა დიდოელებზე, ეცოდინებოდა მათი ცხოვრების წესი, ტრადიციები, მის მიერ დაკავებული ქვეყნის მდგომარეობა და მისთვის დაენიშნათ გასამრჯელო 200 მანეთი[158]. საბუთებიდან ირკვევა, რომ XIX ს-ის 20-იან წლებში ანწუხელებისა და კაპუჭელების საქმეების გამგებლად დაუნიშავთ იოსებ ვაჩნაძე[159], რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლების დიდი სიყვარული დაუმსახურებია. 1825 წლის დასაწყისში იგი ამ თანამდებობიდან გადაუყენებიათ, მარტში კი ანწუხისა და კაპუჭის ხალხები ითხოვდნენ: „ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ... იოსებ ჩვენზედ მოურავად გააწესოთ, როგორც რომ ამას წინათ მამა-პაპით ყოფილა ჩვენზედ მოურავი და სიმართლით მოქცეულა, მართალი გაუმართლებია და მტყუანი გაუმტყუნებია, იმას არაფერი დაუშავებია. ჩვენ არ ვიცით რა მიზეზით გადააყენეთ... ის ჩვენში ძალიან კარგი და სწორე მოსამართლე ყოფილა, ჩვენი ენაც და ჩვენი ყოველი საქმეც იმან კარგად იცის, ეხლა უპატრონობით ჩვენში და კახეთის მხარეს ქურდობა იმყოფება, მართალი და მტყუანი ვერ გვიცვნია, იმან სულ იცოდა. ჩვენი საწყლების საკონელი მიჰყავთ და უბრალოდ სარგებლობენ. თუ იოსებს ჩვენზედ მოურავად არ დააყენებთ, ჩვენი საქმე ცუდად მოვა...[160]“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის პირველ მესამედში დაღესტნის მხრიდან ქართლ-კახეთის ტერიტორიებზე თავდასხმები ისევ გრძელდებოდა. საერთოდ გვაროვნული წყობილების რღვევის და ადრეფეოდალური ურთიერთობის პროცესი ხასიათდება მტაცებლური ლაშქრობების გააქტიურებით და მეტად თუ ნაკლებად დამახასიათებელია საზოგადოების განვითარების ამ საფეხურზე მდგომი ყველა ხალხისათვის.

3. გამრეკელი „ლეკიანობას“ სოციალურ მოვლენად მიიჩნევს[161], მისი აზრით, „თემის წევრთა ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავება პრაქტიკულად იწვევდა წარმოებისა და მეურნეობის გაძღოლის

---

157 АКАК, VII, д. № 460, გვ. 506.

158 იქვე, გვ. 506.

159 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. 1, საქმე № 4910, ფურც. 4, 5.

160 იქვე, საქმე № 3095, ფურც. 10, 14.

161 Гамрекели В. Н., Вопросы взаимоотношений Восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII веке. Автореферат... на докторской..., Тбилиси, 1972, с. 38.

საშუალების სულ უფრო და უფრო შეზღუდვას. ამის კვალობაზე თემის წევრთა უფრო და უფრო მეტ ნაწილში მწვავდებოდა ეკონომიკური სიდუხჭირე, მხარის ჭარბმოსახლეობის გამო ღარიბი თემის წევრები თავიანთი თემის საზღვრებში ვერ პოულობენ თავიანთი მატერიალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ მინიმუმსაც და სულ უფრო და უფრო მეტად იწყებენ მის ძებნას თემის ფარგლებს გარეთ"[162].

აღნიშნული მოვლენა დამახასიათებელი იყო არა მარტო დაღესტნისათვის, არამედ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები სხვა მთიელებისათვისაც. მაგალითად, თუშებიც აწყობდნენ საპასუხო თავდასხმებს დაღესტნის აულებზე[163]. ხოლო თუში ქალი ცოლად არ გაჰყვებოდა ისეთ მამაკაცს, რომელსაც არც ერთი დაღესტნელი არ ჰყავდა მოკლული. „ამიტომ ყოველი ჭაბუკი ცდილობდა, რომ რაც შეიძლება მალე მოეპოვებინა გმირობისა და ვაჟკაცობის დამამტკიცებელი ეს სიმბოლო"[164].

როგორც ვხედავთ, ჩრდილო კავკასიელი მთიელების მიერ ბარზე მოწყობილი თავდასხმებიდან დაღესტნელების ექსპანსია გამოირჩევა მეტისმეტი სიმძაფრითა და ინტენსიურობით, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო იმ გეოგრაფიული გარემოთი, რომელშიც დაღესტნის მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობას უხდებოდა ცხოვრება. წინამდებარე ნაშრომში უკვე არაერთგზის მივუთითეთ ამ რაიონების სიმწირეზე, რის გამოც ადგილობრივი მცხოვრებლები იძულებულნი იყვნენ თავის სარჩენად სხვა ღონისძიებებისათვის მიემართათ. მათ შორის, აბრაგობა-მძარცველური თავდასხმებით ნადავლის ჩაგდება, კუსტარული მრეწველობის განვითარება, საშოვარზე სიარული, ცალკე ქვეყნების ჯარებში დაქირავებით სამსახური, მტაცებლური ექსპედიციები შემოსავლის მიღების მიზნით — აი, ის საშუალებები, რომლითაც დაღესტნელები ცდილობდნენ თავიანთი ბედკრული მდგომარეობიდან გამოსვლას.

აღსანიშნავია ის, რომ ამგვარ ბუნებრივ პირობებში და საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში დაღესტნელები დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი მხრიდან ქართლ-კახეთის ტერიტორიების გაძლიერებული ექსპანსია XIV საუკუნიდან იწყება. აღნიშნულ პერიოდში ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ხდება როგორც საქართველოს, ასევე დაღესტნის ისტორიაშიც: XIV საუკუნიდან იწყება საქართველოს უკიდურესი დაუძლურება, რამაც იგი რამდენიმე

---

162 იქვე, გვ. 39.

163 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

164 Волконский Н., Лезгинская экспедиция (в Дидойское общество в 1857 г. Кавказский сборник, т. I, Тифлис, 1876, с. 388.

ერთეულად დაშლამდე და დამოუკიდებლობის დაკარგვამდე მიიყვანა. ამ წლებში (XIV საუკუნიდან 1801 წლამდე) საქართველო უკვე ვეღარ უმკლავდებოდა ყოველი მხრიდან შემოსეულ მტერს და დაღესტნელებსაც ხელ-ფეხი გაეხსნათ მის ასაოხრებლად: უფრო ადრეულ პერიოდში დაღესტნელები, რა თქმა უნდა, ძლიერ საქართველოს ვერ უბედავდნენ თავდასხმას და თუ გაუბედავნენ. საკადრის პასუხსაც მიიღებდნენ. ისტორიულმა წყაროებმა ამისი მრავალი მაგალითი შემოგვინახა[165].

საქართველოს დასუსტებასთან ერთად XIV საუკუნეში მობდა დაღესტნის მოსახლეობის გამაჰმადიანება და მალე XVI საუკუნეში ისლამი აქ გაბატონებული რელიგია ხდება. იმის გამო, რომ დაღესტანმა მიიღო მაჰმადიანობა, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთდამოკიდებულება წინა საუკუნეებთან შედარებით კიდევ უფრო გამძაფრდა, გახშირდა თავდასხმებიც.

ამ თავდასხმების დროს ხელის შემწყობის როლში გამოდიოდნენ ირანი და თურქეთი, რომლებიც დაღესტნელებს თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის იყენებდნენ და საქართველოზე თავდასხმებისათვის აქეზებდნენ[166].

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, დაღესტნიდან ბოლომოუღებელი თავდასხმები გამოწვეული იყო არა ერთი რომელიმე, არამედ ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებით. ამ ფაქტორთაგან ძნელია გამოირჩეს უმთავრესი, რადგანაც. მართალია, იმ სოციალურ-ეკონომიური ფორმაციისათვის, რომელშიც XIX საუკუნის პირველ მესამედში ცხოვრობდნენ დაღესტნელი მთიელები, დამახასიათებელია მტაცებლური ლაშქრობები, მაგრამ თუ არა ბუნებრივი პირობების უკიდურესი სიმწირე, მას ასეთი მძაფრი ხასიათი არ ექნებოდა; ხოლო იმ შემთხვევაში კი, თუ საქართველო პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფო იქნებოდა, ასეთი სიღატაკისა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მიუხედავად, ჩვენი მთიელი მეზობლები ვერ გაბედავდნენ მისი საზღვრების წამდაუწუმ დარღვევას, რადგანაც საპასუხოდ გამანადგურებელ დარტყმას მიიღებდნენ.

ქართლ-კახეთზე თავდასხმების საბოლოოდ აღსაკვეთად საჭირო იყო მისი გამომწვევი მიზეზების მოსპობა, რაც XIX საუკუნის პირველ მესამედში არ შეეძლო ამიერკავკასიაში ახლად დამკვიდრებულ რუსეთს. ამიტომაც იყო, რომ აღნიშნულ პერიოდში ისევ გრძელდებოდა დაღესტნელ აბრაგთა თარეში საქართველოს ტერიტორიაზე და

---

165 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1959, გვ. III.

166 АКАК, I, დ. № 38, გვ. 129; იქვე, დ. 34, გვ. 112, იქვე, დ. № 927, გვ. 657.

მხოლოდ 1859 წლიდან, დაღესტნის დაპყრობის შემდგომ, გახდა შესაძლებელი მათი აღკვეთა.

* * *

XIX ს-ის პირველ მესამედში ქართველ ბატონიშვილებს ზოგჯერ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ დაღესტანთან.

ქართული სამეფო საგვარეულოს — ბაგრატიონების დინასტიის — წარმომადგენლები დაღესტნელ ხალხში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ. თუმცა, მას შემდეგ, რაც დაღესტანი საქართველოს გავლენის სფეროში იყო მოქცეული, მრავალი საუკუნე გავიდა, დაღესტანში მაინც ახსოვდათ აღნიშნული მოვლენა და ხშირად ბაგრატიონებსაც თავიანთი ქვეყნის პატრონებად მიიჩნევდნენ.

ბაგრატიონებიდან ზოგიერთი განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა დაღესტნის დასავლეთი ნაწილის ხალხებში, კერძოდ კი ანწუხელებსა, კაპუჭელებსა და უნცუკულელებში. ალექსანდრე ფრონელი იგონებდა: „ამ დღეებში რუსის ჯარის პოლკოვნიკმა, ანწუხელმა ლეკმა ღიმილითა და თავმომწონედ მიამბო. ბატონიშვილი ალექსანდრე დაღესტანს რომ ამოვიდოდა ხოლმე, ჩვენს ოჯახში თურმე დაიდებდა ბინასაო. კარგად მახსოვს, — ბავშვობა-სიყმაწვილეში ზღაპარივით მიამბობდნენ, თუ სად ისვენებდა და რომელ ოთახში იძინებდაო... ეს კი კარგად მახსოვს, რომ დიდის მოწიწებითა და სიყვარულით ინახავდნენ ჩვენს ოჯახში უბრალო ყუთებსა და უფრთხილდებოდნენ ნიშნად პატივისცემისა ძვირფასის სტუმრისაო“[167].

ამ პატივისცემისა და სხვა მიზეზების გამოც დაღესტნელებს ხშირად შეუფარებიათ საქართველოდან გაქცეული ე. წ. „ორგულნი ქართველნი“. აქ XIX საუკუნის დასაწყისში ძალზე ხშირად აფარებდა თავს 1800 წლის ივნისში საქართველოდან გაქცეული ალექსანდრე ბატონიშვილი[168]. დაღესტანსვე მიაშურა ბატონიშვილმა გრიგოლმაც, როდესაც 1812 წელს კახეთის აჯანყების დროს ჩალაუბანთან მარცხი განიცადა[169].

ძალაუფლებადაკარგული ქართველი ბატონიშვილების ასეთი სწრაფვა დაღესტნისაკენ იმით იყო გამოწვეული, რომ მათ აქ ნებისმიერ დროს შეეძლოთ დაექირავებინათ ჯარები და მათზე დაფუძნებით გაეჩაღებინათ ბრძოლა თავიანთი ინტერესების დასაცავად.

XIX საუკუნეში სამეფო დინასტიის გაუქმებამ და საქართველოს ტერიტორიის, ბაგრატიონების სამემკვიდრეო მიწა-წყლის, რუსეთთან უშუალო შეერთებამ, რა თქმა უნდა, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მათში. ისინი ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ დაებრუნებინათ მეფობა ქართლ-კახეთში. რადგანაც საკუთარ ქვეყანაში მათ პოლიტი-

167 ალ. ფ რ ო ნ ე ლ ი, ამბოხება კახეთისა, გვ. 67.

168 AKAK, V, დ. № 458, გვ. 376, იქვე, დ. № 456, გვ. 375.

169 იქვე, დ. № 92, გვ. 63.

ყური ძალაუფლება უკვე აღარ ჰქონდათ და აქედან გამომდინარე, არც შნიშვნელოვანი სამხედრო ძალის გამოყვანა შეეძლოთ თავიანთი მიზნის მისაღწევად, ამიტომ ისინი ამიერკავკასიისა თუ ჩრდილოეთ კავკასიის მფლობელებს უკავშირდებოდნენ და მათი დახმარების იმედით ცდილობდნენ „კუთვნილის“ დაბრუნებას.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ალექსანდრე ბატონიშვილის, ფარნაოზისა და იულონის საქმიანობა.

ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოდან ჯერ კიდევ 1800 წლის ივნისში წავიდა ირანში, თავრიზში. იგი უკანონოდ ძიიჩნევდა გიორგი XII-ის მეფობას და აბას მირზასგან ელოდა დახმარებას, რათა დაეცვა სამეფო ტახტზე თავისი სახლის (დარეჯან დედოფლის შვილების) უფლებები. ამის შემდეგ იგი დაუღალავ საქმიანობას აჩაღებს თავისი სურვილის სისრულეში მოსაყვანად.

ალექსანდრე ბატონიშვილის უკმაყოფილებას კარგად იყენებდა ირანი რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართული სამეფო ტახტის აღნიშნული პრეტენდენტი ძალზე ხშირად უკავშირდებოდა ლეკებსაც. 1800 წელს მზადდებოდა დიდი ლაშქრობა, რომლის მოწყობაში დიდ მონდომებას იჩენდა ალექსანდრე ბატონიშვილიც. 1800 წლის ოქტომბერში, მელიქ-აბოვის ნაამბობით, ომარ-ხან ავარიელი კუმიკეთის ხამუტაისთან ერთად ჩავიდა ნუხაში, რათა მამედ-ჰასან-ხანი გადაებირებინა. ამის შემდეგ ისინი ეახლნენ განჯის ჯევად ხანსაც. ალექსანდრე ამ დროს შუშის იბრაგიმ-ხანთან იმყოფებოდა. ბაბა-ხანის შვილიც აბას-მირზაც მთელი აზერბაიჯანის მფლობელებს უგზავნიდა წერილებს, რომლებშიც მათ მოუწოდებდა რუსების წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობისაკენ[170]. ომარ-ხანი და ალექსანდრე ბატონიშვილი დიდ იმედებს ამყარებდნენ ქართულ მოსახლეობაზეც. ისინი წერილებს გზავნიდნენ კახეთის სხვადასხვა კუთხეში და მოსახლეობის მიმხრობას ცდილობდნენ. 1800 წელს, 25 ოქტომბერს ბატონიშვილი იულონი ატყობინებდა ლაზარევს: „ამა თვის 25-ს ომარ-ხანის ჯარში ნამყოფი კაცი გიახლათ და ჩემი ბიძა ალექსანდრეც იქ მისულა და წიგნები მიუწერია ყოვლად სამღვდელოს ბოდბელთან და ქიზიყის მოხელეებთან“[171], „რომ ჩვენგნით გაეორგულებინათ და იმათნი შექმნილიყვნენ“[172].

ამდენმა ფაციფუცმა ტყუილუბრალოდ ჩაიარა და რუსეთთან ბრძოლის ნამდვილი მსურველები მხოლოდ დაღესტნელები და ალექსანდრე გამოდგნენ[173]. ისინი 1800 წლის ნოემბერში უზარმაზარი ლა-

---

170 АКАК, I, д. № 84, გვ. 159.
171 იქვე, დ. № 94, გვ. 161.
172 იქვე, დ. № 49, გვ. 137.
173 იქვე, I, დ. № 50, გვ. 137.

შეკრით შემოესივნენ კახეთს. 7 ნოემბერს დიდი ბრძოლა მოხდა მდინარე იორის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ კაკაბეთთან[174]. ამჯერად ალექსანდრეს განზრახვამ, დაებრუნებინა სამეფო ტახტი, სასტიკი მარცხი განიცადა. ბრძოლის შემდეგ იგი გაიქცა ყარაბაღის სახანოში და ახლა იქიდან მოუწოდებდა ლეკებს რუსებზე თავდასხმისაკენ.

გიორგი XII-ის სიკვდილის შემდეგ რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებამდე მდგომარეობა ქართლ-კახეთში უკიდურესობამდე გართულდა. 1801 წლის 15 იანვარს რუსეთის მთავრობის მიერ დავით ბატონიშვილის მეფედ დამტკიცებამ უფროსი ბატონიშვილები გაახელა, და მათ სასტიკი ბრძოლა წამოიწყეს მის წინააღმდეგ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ბრძოლაში თავიანთ უმთავრეს დასაყრდენ ძალად მათაც ალექსანდრე ბატონიშვილივით დაღესტნელები მიაჩნდათ. 1801 წლის 20 თებერვლის ოთარ ამილახვრის დაკითხვიდან კარგად ჩანს, რომ დავითის გამეფებით უკმაყოფილო ბატონიშვილები და მათი მომხრე თავადები ფიქრობდნენ, რომ მოეწყოთ ლეკებისა და აზერბაიჯანის ჯარებით ყარაბაღიდან თბილისზე თავდასხმა. რუსი ჯარები, როგორც დავითის ძალაუფლების საყრდენი, საქართველოდან უნდა გაეძევებინათ, ხოლო მეფედ კი იულონი უნდა აერჩიათ[175]. გაიგზავნა ომარ-ხან ავარიელთან ელჩები მოთხოვნით, რომ სასწრაფოდ გამოეგზავნა მათთვის ჯარი. ამჯერადაც განზრახულის სისრულეში მოყვანა ქართველმა ბატონიშვილებმა ვერ შეძლეს"[176].

1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როგორც ო. მარკოვა წერს, „იცვლება ბრძოლის მიზნები და ხდება ფეოდალთა ძალების გადაჯგუფება. ბატონიშვილების ურთიერთშორის ბრძოლა გადაიზარდა რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს „განთავისუფლებისა" და უწინდელი ფეოდალური წყობილების აღდგენის მოტივით ფეოდალთა „მოძრაობაში". თუმცა მტრებს შორის საბოლოო შერიგება მაინც არ მომხდარა, და ორივე დაჯგუფება არ კარგავდა თავის კანდიდატების — იულონისა და დავითის წარმატების იმედს. ანტაგონიზმი ირაკლი II-ის ოჯახის ორ ხაზსა და ბაგრატიონების სახლის ორ ტოტს — ქართლისა და კახეთის — შორის შემოინახა შემდგომი ათი წლის განმავლობაში"[177].

---

174 Нападение на Грузию Омар-хана Аварского и сражение при Иоре, 7.XI.1800 г., «Тифлисские ведомости», 1828, № 1—2. АКАК, I, д. № 110, с. 110; თ. ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

175 АКАК, I, გვ. 324.

176 იქვე, გვ. 317—318.

177 Маркова О. П., Восстание в Кахетии 1812 г., Москва, 1951, с. 24—25.

აღნიშნულ პერიოდში შეიმჩნევა ბაგრატიონების სამეფო დინასტიის წევრებს შორის გაერთიანების ცდები. 1802 წელს იმერეთში გადასული ალექსანდრე ბატონიშვილი დავითს შერიგებას სთხოვდა[178].

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილის საქმიანობა ახალ ფაზაში შედის. იგი ახლა უკვე საერთოდ ბაგრატიონებისათვის წართმეული ტახტის დაბრუნებისათვის იბრძვის. ბატონიშვილი ალექსანდრე 1803 წელს 1 ივლისს ალექსანდრე I-ს სწერდა: „მამამ ჩემმა, ერეკლემ, თავი დადო ეკატერინე დედოფლის ერთგულებაზე იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს დაეცვა გარეშე მტერისაგან მისი სამეფო... თქვენი იმპერატორობითო უდიდებულესობავ, სამეფოს შენარჩუნების ნაცვლად ბაგრატიონთა გვარი უკვე აღარ ბოგინობს საქართველოში... თქვენის წყალობით, ჩვენ ამოვიძირკვეთ მშობლიური მიწა-წყლიდან, სადაც ჩვენი გვარი მეფობდა 1234 წლის განმავლობაში და მის სისხლს მრავალჯერ გამოუხსნია საქართველო და ქართველები“[179].

ალექსანდრე ბატონიშვილი უარს არ ამბობდა თვით ვასალურ დამოკიდებულებაზეც კი რუსეთის მთავრობის მიმართ. იგი დედის, დარეჯან დედოფლისადმი მიწერილ წერილში წერდა: „თუ მათ სურთ, რომ მე მათ წინააღმდეგ მოქმედება შევწყვიტო, დაე, ჩვენი გვარიდან რომელიმე დასვან მეფედ და მაშინ ჩვენც, დანარჩენნი მივალთ და ვემსახურებით ხელმწიფეს“[180].

საქართველოდან ქართველი ბატონიშვილების რიგრიგობით რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლებამ ალექსანდრე ბატონიშვილი მიახვედრა, რომ მხოლოდ წერილებითა და თხოვნით რუსეთის მთავრობასთან ვერაფერს გახდებოდა, და მის წინააღმდეგ საჭირო იყო ენერგიული ბრძოლა. ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მფლობელებისათვის სამხედრო დახმარების თხოვნის პარალელურად, იგი ცდილობს ქართველ მოსახლეობაში მხარდაჭერის მოპოვებასაც. ამ საქმიანობაში მას დიდ დახმარებას უწევენ მისი ერთგული ანწუხელი და დიდოელი ლეკები. გენერალი მ. გულიაკოვი საქართველოს მთავარსარდალ თავად ციციანოვს 1803 წლის 20 თებერვალს წერდა: „ამჟამად თითქმის ყველა ადგილობრივ სოფლებში სხვადასხვა ხის ჭურჭლის, შალის და ნაბდების გაყიდვის საბაბით მრავლად დადიან ანწუხელი და დიდოელი ლეკები. მათ შორის არიან არასასურველი მიზნებითა და დავალებებით ჩამოსულებიც. იმის გარჩევა, თუ ვინ არის ნამდვილად საქონლის გასაყიდად ჩამოსული და რომელი ბატონიშვილისგან არის გამოგზავნილი, ძალზე ძნელია. ეს უკანასკნელნი ადგილო—

178 AKAK, II, გვ. 285.
179 იქვე, გვ. 157.
180 AKAK, II, გვ. 169.

ბრივ მცხოვრებლებს მოუწოდებენ ბატონიშვილ ალექსანდრეს ერთგულებასა და რუსთა წინააღმდეგ საბრძოლველად"[181].

ქართველმა ბატონიშვილებმა განსაკუთრებით გააქტიურეს რუსეთის მიმართ ბრძოლა მთიულეთისა (1804) და კახეთის (1812 წ.) აჯანყებების დროს. ხალხის მასობრივმა გამოსვლებმა და აჯანყების დასაწყის ეტაპზე მათმა გამარჯვებებმა რუსეთის ჯარებზე, ბაგრატიონებსა და მათ მომხრეებს იმედი ჩაუსახა.

1804 წლის მთიულეთის აჯანყების დროს რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის გამო განაწამებმა გლეხობამ ისევ ბაგრატიონებს მიმართა საშველად. აჯანყებულებმა მოციქულები გაგზავნეს იმერეთს და იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს მოუწოდეს[182] აჯანყებაში მონაწილეობისაკენ. ორივე ქართველი ბატონიშვილი ქართველი მოსახლეობის მოსამხრობად მაშინვე შეუდგა საგიტაციო მუშაობას. თავიანთი აგენტურით მოჰფინეს მთელი ქართლ-კახეთი, რომელთა შორის ლეკი გალეზა გაანოვიც იყო[183]. დახმარება სთხოვეს დაღესტნელებსაც.

18 ივლისს ბატონიშვილი ფარნაოზი უკვე 600 დაქირავებული ლეკის თანხლებით მოსულა ბორჩალოს, დემურჩალოს მახლობლად. იგი აქვე ელოდა თუშ-ფშავ-ხევსურებს, ოსებს და ამ შეერთებული ჯარით აპირებდა რუსებთან შებმას[184]. მაგრამ მან ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. აჯანყების მიმდინარეობის დროს ფარნაოზის ჯარები მთლიანად ლეკებისაგან შედგებოდა. გენ. ლ. თავ. ვოლკონსკი 1804 წლის 14 სექტემბერს ორბელიანს ატყობინებდა, რომ ალავერდობის შემდეგ კახელი თავადების დიდი ნაწილი ეახლა ბატონიშვილ ფარნაოზს, რომელიც ამ დროს ფშავ-ხევსურეთში იმყოფებოდა, ხოლო 400 ლეკისაგან შემდგარი მისი ჯარი იდგა საგურამოში მცხეთის მახლობლად[185].

ბატონიშვილი ფარნაოზის ეს საქმიანობა მარცხით დამთავრდა. ოქტომბრის დასაწყისში ერევნის ალყიდან გამოთავისუფლებულმა რუსთა ჯარებმა გენერალ ციციანოვის სარდლობით აჯანყებულებს ყოველი მხრიდან შეუტიეს. აჯანყებულები სასტიკად დამარცხდნენ. აჯანყების შემდეგ სხვა მონაწილეებთან ერთად შეიპყრეს ფარნაოზ ბატონიშვილიც და რუსეთში გადაასახლეს[186].

განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს ლეკების დაქირავებული ძალების გამოყენებამ ბაგრატიონების დინასტიის აღდგენისათვის ბრძო-

---

181 AKAK, II, დ. № 280, გვ. 155.

182 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 402.

183 AKAK, ტ. II, გვ. 129—131.

184 იქვე, დ. № 222, გვ. 135.

185 იქვე, დ. № 226, გვ. 136.

186 Маркова О. П., დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

ლაში მიაღწია 1812 წელს კახეთის აჯანყების დროს. 1812 წლის შემოდგომიდან აჯანყებას უკვე ბატონიშვილი ალექსანდრე ხელმძღვანელობდა. იგი, როგორც მისი წინამორბედი ფარნაოზი, მაშინვე ლეკებს დაუკავშირდა — კახეთში შემოსვლამდე ფირმანები გაგზავნა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებთან, ასევე ანწუხელებთან და დაღესტნის სხვა ხალხებთან და მათ დახმარება სთხოვა.

დაღესტნელები აქტიურად გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას. 1812 წლის სექტემბერში ალავერდის მონასტერთან გამართულ ბრძოლაში ალექსანდრესთან 1200 ლეკი იყო. 10 ოქტომბერს შილდასთან რუსეთის რაზმებთან შეტაკების წინ ბატონიშვილის მხარეზე მებრძოლ 6000 მეომრიდან ნახევარი დაღესტნელი იყო[187] და საერთოდ აჯანყების მსვლელობის მთელ მანძილზე ალექსანდრე ბატონიშვილისა და ფეოდალების ძირითად დასაყრდენ ძალებს ლეკები წარმოადგენდნენ[188]

აჯანყების დამარცხების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილს გული არ გაუტეხია, მან ისევ დაღესტანს მიაშურა და აქედან გააჩაღა რუსეთის წინააღმდეგ დაუღალავი საქმიანობა. რტიშჩევის ალექსანდრე I-ისადმი მიწერილ მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ მან შეძლო მრავალრიცხოვან დაღესტნურ მოსახლეობასა და არისტოკრატიულ ფენაში ნდობის მოპოვება[189]. მასთან დაღესტნელი ფეოდალებისა და მამასახლისების დიდმა უმეტესობამ დადო ფიცი და შეეკრა რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისათვის[190]. ო. პ. მარკოვა წერდა: „მეფის ხელისუფლების გავლენისა და დასჯის შიშით, დაღესტნის საზოგადოებები ვერ ბედავდნენ აშკარად ალექსანდრე ბაგრატიონის მიმართ სტუმართმოყვარეობის გამოჩენას, მაგრამ ბატონიშვილის კავშირი დაღესტანთან არ შეწყვეტილა მის სიკვდილამდე. ის კარგად აფასებდა დაღესტნის მნიშვნელობას რუსეთთან ბრძოლის საქმეში, ერთი ინგლისელი კავკასიოლოგი გადმოგვცემს ლეგენდას, რომ თითქოს შამილი ალექსანდრეს ვაჟი ყოფილიყოს. თუკი ნამდვილად არსებობდა ასეთი ლეგენდა, მაშინ ის მიუთითებს ალექსანდრეს დიდ როლზე დაღესტნელ ფეოდალთა შორის“[191].

ალექსანდრე რუსეთ-ირანის 1826—1829 წლების ომის დროს კიდევ შემოიჭრა კახეთში ლეკებთან ერთად, რომლებსაც მისი დარბევის უფლება მისცა. ეს ბატონიშვილის უკანასკნელი გაბრძოლება იყო.

---

187 საქ. ცსია, ფ. 2, აღწ. I, საქმე № 318, ფურც. 122, 138, 169, 171, 172, 187, 213, 216, 218; იქვე, ფ. № 5, აღწ. I, საქმე № 2093, ფურც. 1; АКАК, V, გვ. 364, 367.

188 ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა, გვ. 198, 200, 202, 207.

189 АКАК, V, გვ. 387.

190 იქვე, VI, ნაწ. 1, გვ. 281.

191 Маркова О. П., დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, XIX საუკუნის დასაწყისში ქართველი ბატონიშვილები სამეფო ტახტზე თავიანთი უფლებების აღდგენისათვის რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში ძირითად იმედებს დაღესტნელებზე ამყარებდნენ. დაღესტნის ფეოდალთა და სხვადასხვა ტომთა ბელადების ბაგრატიონთა საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას, ისევე როგორც მათ მიმართ დაღესტნელ ხალხში არსებულ პატივისცემას, რა თქმა უნდა, თავისი მიზანი ჰქონდა. ჩრდილო კავკასიელი მთიელებისა და მათ შორის ლეკების მოშველებასაც მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველი მეფეები ოდითგანვე მიმართავდნენ და ეგი არც ამჟამად იყო ახალი მოვლენა. 1800 წელს მეფე გიორგი მეთორმეტეს საკუთარ მცველად 1200 ლეკი ჰყავდა დაქირავებული და თითოეულს ყოველ თვე 30 მანეთ ჯამაგირს უხდიდა[192]. ასევე იყო იმერეთის მეფე სოლომონ II — 1802 წელს მან დაიქირავა დაღესტნელების 600 კაციანი პარტია ნურმამედის ხელმძღვანელობით[193]. მასვე ჰყავდა დაქირავებული დაღესტნელები ჯამას ხელმძღვანელობით და სამსახურისათვის თითოეულს უხდიდა 20 ყურუშს[194]. სოლომონ II-ს საკუთარ მცველად ჰყავდა დაღესტნელები და მათ ძირითადად დადიანისა და გურიელის წინააღმდეგ იყენებდა[195]. საერთოდ დაღესტნელებისათვის დაქირავებით უცხო ქვეყნების სამხედრო ძალებში სამსახური შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა[196]. ეკონომიკური დაინტერესება იდგა წინა პლანზე ამ შემთხვევაშიც: 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს, ალექსანდრე ბატონიშვილი სამხედრო ძალით მიხმარების სანაცვლოდ ყოისუბელებს გასამრჯელოდ შეპირდა თითოეულს 50 მანეთს. ყოისუბელებმა თანხმობა განაცხადეს დახმარებაზე იმ პირობით, თუ უკან დაბრუნებისას ბატონიშვილი მათ ნებას დართავდა გაეძარცვათ საქართველოს საზღვრებში ყველაფერი, რაც კი გზაზე შეხვდებოდათ[197]. ალექსანდრე იძულებული გახდა ამ პირობაზე დათანხმებულიყო[198].

იგივე ფაქტზე მიგვითითებს 1812 წ. კახეთის აჯანყების გადამწყვეტ მომენტში ლეკთა ბელადის ალისკანტის ღალატი. ღალატის მიზეზს ასე გადმოგვცემს ალ. ფრონელი: „ღამესა მას (ჩაილურის ბრძოლაში აჯანყებულების გამარჯვების შემდეგ — მ. ტ.) შეუჩინეს რუსებმა კაცი ალისკანტის ბელადსა და მისცეს ქრთამი დიდი და აღუ-

---

192 პ ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 195. 196.

193 საქ. ცსია, ფ. 16, აღნ. I, საქმე № 73, ფურც. 1; AKAK, I, გვ. 375.

194 AKAK, I. № 947, გვ. 669.

195 იქვე, II, დ. № 884, გვ. 447.

196 გაზ. „Кавказ", № 2, გვ. 8.

197 AKAK, V, დ. № 458, გვ. 376.

198 იქვე.

თქვეს უვნებლად მხედრობითა თვისითა განტევება, რათა წარვიდეს იგი შინა, ხოლო ალისკანტმაც დაუტევა ალექსანდრე და განიპარა ღამესა მას მხედრობითა თვისითა"[199]. აღნიშნულ ეკონომიკურ დაინტერესებას ემატებოდა რუსეთის წინააღმდეგ საერთო მტრობაც, რაც ბრძოლას უფრო მძაფრ ხასიათს ანიჭებდა.

ქართველი ბატონიშვილების მიერ დაღესტნელთა ჯარების საშუალებით სამეფო ტახტისათვის ბრძოლა მეტად უარყოფითად მოქმედებდა ქართლ-კახეთის ეკონომიკაზე. თვით აჯანყების დროსაც კი ხშირი იყო დაღესტნელთა მიერ ქართული სოფლების დარბევის შემთხვევები. 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს 26 სექტემბერს ადგილი ჰქონდა გორის მაზრის სოფ. გრაკალზე აჯანყებაში მოწვეული ლეკების თავდასხმას და მოსახლეობის აწიოკებას[200]. ბატონიშვილების მოქმედება ძალაუნებურად მთელ კახეთს აოხრებდა და აწიოკებდა.

ამრიგად, ქართველი ბატონიშვილები დაკარგულ სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში იმედებს ნაწილობრივ დაღესტნელებზე ამყარებდნენ. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მათ მიერ უცხო ქვეყნის ჯარების ძოშველიებას საკმაოდ მძიმე შედეგები მოჰქონდა ქართლ-კახეთისათვის და ისედაც დასუსტებული და რუსეთის კოლონიალური პოლიტიკით გაწამებული ქვეყანა სავალალო მდგომარეობამდე მიჰყავდა.

---

199 ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა (1812 წ.), ისტორიული ამბავი, ტფ., 1907, გვ. 207.

200 Маркова О. П., დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

III თავი

საქართველოსა და დაღესტნის კულტურული ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოსა და დაღესტანს შორის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ცხადია, რომ ამ ორ ქვეყანას შორის კულტურულ გაცვლა-გამოცვლასაც საფუძველი უხსოვარ დროში ჩაეყარა.

საქართველოს კულტურული ზეგავლენა დაღესტანზე განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საქართველოდან დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება დაღესტნის დასავლეთ ნაწილში, კერძოდ არჩილის მეფობის დროს (668—718), როდესაც გაქრისტიანდნენ ხუნძები (ავარელები) და წუქეთში, ე. წ. წახურის მხარეში მათვის კასრის ეკლესია აიგო. ამაზე მოწმობს VIII—X საუკუნეებში დაღესტნის დასავლეთ ნაწილში ჭარბად აღმოჩენილი ქრისტიანული მატერიალური კულტურის ძეგლები: ტაძრები, ჯვრები; ქართული წარმოშობის ინვენტარი: სამკაულები და ტუალეტის საგნები, საყურეები, მძივები, ბალთები, ბრინჯაოსა და რკინის ქინძისთავები მარჯნის თავებით და ა. შ.[1].

საქართველოსა და დაღესტანს შორის არსებულ კულტურულ კავშირებს განსაკუთრებით დიდი მასშტაბისათვის მიუღწევია XI—XII საუკუნეებში, როდესაც საქართველოს ტერიტორია „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ იყო გადაჭიმული და სხვა მრავალრიცხოვან ქვეყნებთან ერთად დაღესტნის მთელ რიგ ტერიტორიებსაც აერთიანებდა. ამ პერიოდში დაღესტანი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ორბიტაში მოექცა და მათ შორის კულტურული გაცვლა-გამოცვლაც ყოველდღიური პროცესი გახდა. აღნიშნულ ხანაში ადგილი ჰქონდა ქართული დამწერლობის გავრცელებასაც, დაღესტნის ტერიტორიაზე აღმოჩენილია 17 ძველი ქართული წარწერა[2], რაც და-

---

[1] История Дагестана. М., 1967, т. I, с. 166, 167.

[2] Гамбашидзе Г., Вопросы христианской культуры и исторической географии аварий в свете результатов дагестано-грузинской объединенной археологической экспедиции АН ГССР и СССР (IV Международный симпозиум по грузинскому искусству), Тбилиси, 1983, с. 7—12.

ღესტნის დასავლეთ ნაწილში საუკუნეების განმავლობაში ფართოდ გავრცელებული ქართული ენის, ლოგიკურ დაბოლოვებად უნდა მივიჩნიოთ. VIII—XII საუკუნეებში დაღესტნის დასავლეთი ნაწილის მოსახლეობის ქართული ეკლესიის სამწყსოში შეყვანა და იქ ქართველი მისიონერების დაუღალავი საქმიანობა ხელს უწყობდა დაღესტნელი ხალხის ქართველთა სულიერ მონაპოვართან ზიარებას.

საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის პირობებში საქართველოს მხრიდან დაღესტანზე ქართული კულტურული ზეგავლენა უფრო მძლავრი იქნებოდა მაგრამ, რადგან კულტურა ურთიერთშექცევადი პროცესია, სავარაუდოა, რომ დაღესტნის კულტურული მიღწევებიც შევიდა ქართულ ყოფიერებაში.

მომდევნო საუკუნეებში პოლიტიკური ურთიერთობის გართულებისა და დაღესტანში მაჰმადიანური რელიგიის საყოველთაო გავრცელებასთან ერთად დაირღვა საქართველოსა და დაღესტანს შორის არსებული მჭიდრო კულტურული ურთიერთობა, თუმცა მისი კვალი ადამიანთა ცნობიერებიდან არ წაშლილა. იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა და საუკუნეების განმავლობაში აგრძელებდა არსებობას. აღნიშნულ პერიოდში (XIV—XVIII სს.) ამ ორ ქვეყანას შორის კულტურულ გაცვლა-გამოცვლას ხელს უწყობდა ტერიტორიული მეზობლობა და შეუწყვეტელი ეკონომიკური კონტაქტები.

ქართველებსა და დაღესტნელებს კულტურულ ურთიერთობაში დიდ დახმარებას უწევდათ ერთიმეორის ენების ცოდნა. განსაკუთრებით კარგად ფლობდნენ ქართულს მეზობელი დაღესტნელები. 1821 წლის იანვარში ველიამინოვი სწერდა ხოვენს, რომ სოფელ საბუეზე თავდასხმის დროს დიდოელი ლეკები „იძახებდნენ სოფლიდან გლეხებს თავიანთი სახელებით და ლაპარაკობდნენ ქართულად“[3]. ასევე კარგად იცოდნენ დაღესტნის ზოგიერთი დიალექტი ქართველებმაც[4]. მაგალითად, 1825 წელს ანწუხისა და კაპუჭის საზოგადოების მცხოვრებლები წერდნენ, რომ მათთვის მოურავად ისევ დაენიშნათ იოსებ ვაჩნაძე, რადგანაც, მათი სიტყვებით, „მათი ენაც და მათი ყოველი საქმეც მას ძალიან კარგად სცოდნია“[5].

ქართველებისა და დაღესტნელების კულტურული ურთიერთობა XIX საუკუნეში ძირითადად მატერიალური კულტურის სფეროში წარმოებდა.

ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნეში ადგილი ჰქონდა დაღესტნიდან თავისუფალი მუშახელისა და მეცხოველეების შეღწევას აღმოსავლეთ საქართველოში. გარკვეული დროის განმავლო-

---

3 საქ. ცსია, ფ. 16, აღწ. I, № 2783, გვ. 2.

4. იქვე, საქმე № 1872, გვ. 2, 9; იქვე, № 446, გვ. 9.

5 იქვე, საქმე № 3095, გვ. 10.

ბაში ქართველები და დაღესტნელები ერთმანეთის მხარდამხარ შრომობდნენ[6].

კოლექტიური შრომის ეს პროცესი ამდიდრებდა მათ შრომით გამოცდილებას, აახლოვებდა ამ ორ ხალხს და მათ შორის პატივისცემისა და მეგობრობის ატმოსფეროს ქმნიდა. ამის შედეგია ის, რომ დაღესტანში და თუშეთში XIX საუკუნეში დამოწმებულია ერთნაირი ე. წ. ცრუსახელოიანი წამოსასხამის არსებობა[7], ნაქსოვი ფეხსამოსის ერთიდაიგივე ტიპი, ე. წ. ჩითა, ჩითას ნაწილების აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინი („თუშური კოჟი", „დიდურა კოჟი") და მისი დამზადების წესებისა და მოხმარების ფორმების ერთმანეთისადმი მსგავსება უნდა მიუთითებდეს ამ ორი ხალხის მჭიდრო ურთიერთობაზე[8]. კახეთში, ქართლში, ხევსურეთში, დაღესტანში გავრცელებული იყო, აგრეთვე ორმაგად ქსოვაც[9].

გარდა შრომითი ჩვევებისა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდა გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართული გუთანი, რომელიც გავრცელდა არა მარტო დაღესტანში, არამედ მთელს კავკასიაში[10]. ერთმანეთთან მსგავსებას ამჟღავნებს, აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოსა და მის მოსაზღვრე დაღესტნურ რაიონებში გავრცელებული ავეჯის ტიპებიც. მათგან ყურადღებას იმსახურებს ე. წ. სწორზურგა სკამები[11].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებისა და დაღესტნის დასავლეთ, მაღალმთიანი ზოლის მცხოვრებთა საცხოვრებელი სახლების დაგეგმარება მრავალი არსებითი დეტალით ჰგავს ერთმანეთს[12].

როგორც ქართველების, ასევე დაღესტნელების კულტურულ განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა ვაჭრობა და გაცვლა-გამოცვლა, რის მეშვეობით ერთიმეორისაგან იძენდნენ ძვირფას ნივთებს და ითვისებდნენ მათი დამზადების ტექნოლოგიასა და წესებს. ამ მხრივ გან-

---

6 გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

7 ც. ი. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. დისერტაცია, გვ. 235.

8 იქვე, გვ. 159.

9 ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ქსოვის ხალხური წესები კახეთში, თბ., 1985, გვ. 30, 36, 84.

10 Читая Г. С. Пахотные орудия и системы земледелия в Грузии, 1960, В-2, Агларов М. К., К изучению старинных дагестанских пахотных орудий. аМтериалы сессии, посвященной итогам археологических и этнографических исследований 1964 года в СССР (Тезисы докладов), Баку, 1965, с 183.

11 ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) სადისერტ. ნაშრომი, თბ., 1967, გვ. 94—95.

12 Гасанов М. Р., Давние связи соседей.. с. 69.

საკუთრებული აღნიშვნის ღირსია დაღესტნული კუსტარული მრეწველობის პროდუქცია, რომლის უმეტესობაც ქართულ მოსახლეობაში საღდებოდა: სამკაულები (ყელსაბამები, ბეჭდები, საყურეები, ქინძისთავები, ქამრები, ბალთები...), სხვადასხვა სახის იარაღი[13] (რომელიც ფუფუნების საგნად ითვლებოდა და მაღალი მხატვრული ღირებულების გამო სიძვირის მიუხედავად ფართო მომხმარებელი ჰყავდა საქართველოში), დიდი გემოვნებით ნაქსოვი დაღესტნური ხალიჩები და ორხეები[14] (მათ ქართველები ქალიშვილებს მზითევში ატანდნენ).

ქართველები უმთავრესად დაღესტნიდან შემოტანილი შალის ქსოვილებისგან შეკერილ ტანსაცმელს ატარებდნენ[15] („ქართული ჩოხა მხოლოდ დაღესტნური შალისაგან იკერებოდა“)[16].

კუსტარული მრეწველობის პროდუქცია დიდი რაოდენობით შედიოდა, პირუკუ, საქართველოდანაც დაღესტანში. ზოგ მათგანზე საუკეთესო ხარისხისა და მაღალი მხატვრული ღირებულების გამო დაღესტანში ფოლკლორული ნიმუშებიც შეიქმნა. ამ მხრივ აღსანიშნავია დაღესტნური პოემა „ყველაზე ძვირფასი“[17], რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში დამზადებული ხმლის აღწერას. თვით ხმალმა, როგორც მატერიალურმა ფასეულობამ, ჩვენამდე ვერ მოაღწია და საუკუნეების წიაღში გაუჩინარდა. მასზე შექმნილმა პოემამ კი გაუძლო დროთა ქარტეხილებს და შემოგვინახა ამ ხმლის ზუსტი აღწერა, მისი მოჭედვის ტექნოლოგია, ხელოსნის ოსტატობა და ის საყოველთაო აღფრთოვანება, რომელსაც იგი მნახველებში იწვევდა.

ერთი ხალხის ხელოვნების ნიმუშების ასეთი ფართო მასშტაბით შესვლა მეორე ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. იგი ამდიდრებდა ორივე ქვეყნის ხელოსნების გამოცდილებას.

ზოგიერთ რეგიონში ქართველებისა და დაღესტნელების უშუალოდ მეზობლობაში ცხოვრება და შეუწყვეტელი კონტაქტები იწვევდა მათ დაახლოებას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფოლკლორულ მასალებში შემორჩენილი ცნობები იმის შესახებ, რომ დაღესტნის მთის მოსახლეობა და მათი მეზობელი ქართველი მთიელები ხშირად იზიარებდნენ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს. მა-

---

13 АКАК, ტ. V, ნაწ. 2, დ. № 396, გვ. 335.

14 მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, გამოსცა ვ. იაშვილმა, გვ. 141.

15 მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის..., გვ. 11, 169.

16 იქვე, გვ. 32.

17 Магомедов Р. М., Дагестан. Исторические этюды, вып. II, Махачкала, 1975, с. 249.

გალითად, შემოდგომობით, როდესაც თუშეთში 1—2 თვის განმავლობაში გრძელდებოდა ქორწილთა სეზონი, მეზობელი დაღესტნელი ქვემო ხვარშინელი ყველა მოზრდილი მამაკაცი სტუმრად იმყოფებოდა თუშ ნაცნობებთან და მონაწილეობდა აქ გამართულ ლხინში[18]. ამ ორი სოფლის მცხოვრებლები ერთად აღნიშნავდნენ თავიანთი შვილების დაბადების დღეებსაც[19].

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, კი ქვემო ხვარშინთან მდებარე მთასთან თუშები აწყობდნენ თავიანთ რელიგიურ დღესასწაულს „ჯვარობას". დღეობა გრძელდებოდა ორი კვირის განმავლობაში და თან ახლდა მხიარულება[20]; მასში ქვემო ხვარშინელებიც მონაწილეობდნენ. იყო ურთიერთდამოყვრების ფაქტებიც[21]. ახლომდებარე დასახლების მცხოვრებ ქართველებსა და დაღესტნელებს შორის ურთიერთდამეგობრებულებიც იყვნენ. მეგობრობის გრძნობის დასამტკიცებლად გავრცელებული იყო ერთიმეორისადმი ძვირფასი საჩუქრების მიძღვნა[22].

ზემოთ აღნიშნულ კონტაქტებს ის შედეგი მოჰქონდა, რომ გავლენას ახდენდა როგორც ერთი, ასევე მეორე ხალხის სულიერ კულტურაზე და ზოგ შემთხვევაში ამსგავსებდა კიდეც მას ერთმანეთთან. ასეთი ურთიერთმეზობელი დასახლებები უნდა ჩაითვალოს ე. წ. გარდამავალ ზოლად, სადაც უშუალოდ ხდებოდა კულტურათა ურთიერთშეხება და იწვევდა როგორც, ერთიმეორის სულიერ მონაპოვართან ზიარებას, ასევე დადებითის შეთვისებასაც. ზოგიერთ დაღესტნელ ხალხში არაიშვიათად გვხვდება ისეთი სიმღერები, რომლებსაც ანალოგი ეძებნება ხევსურულ, ფშავურ და თუშურ სიმღერებთან[23]. საერთოდ, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადასული რომელიმე კულტურული მონაპოვარი ადგილზე გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა, მაგრამ საუკეთესო იმარჯვებდა, რაც თავისთავად კულტურის დაწინაურებას იწვევდა.

მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი ქართული და დაღესტნური ცეკვების მაგალითზეც. რუსები XIX საუკუნეში ქართულსა და დაღესტნურ ცეკვებს შორის იმდენ მსგავსებას ხედავდნენ, რომ ქართულ ცეკვას „ლეკურის" სახელით მოიხსენიებდნენ[24]. ამით თითქოს ხაზს

18 Магомедов Р. М., Исторические этюды, с. 250.

19 იქვე, გვ. 249.

20 იქვე, გვ. 250.

21 Магомедов Р. М., Исторические этюды, с. 249.

22 იქვე.

23 Гасанов М. Р., Давние связи соседей, с. 69.

24 Мои воспоминания 1810—1844 г. князя о А. М. Дондукова-Корсакова, с. 57; გრ. ორბელიანი თხზულებანი, ტ. I, თბ., 1936, გვ. 25; გ. ერისთავი, თხზულებანი, თბ., 1936, გვ. 48, 49; ი. მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა, თბ., 1945, გვ. 76.

უსვამდნენ ქართული ცეკვის მსგავსებას დაღესტნურთან. სინამდვილეში კი, „ლეკური“ და „ქართული“ ცეკვები ერთმანეთს მხოლოდ მამაკაცთა ცეკვის ილეთებით ემსგავსებიან და არსებითად განსხვავდებიან. კერძოდ, ქართულ „ლეკურში“ ყოველთვის ქალი და მამაკაცი ჩანს, და წინა პლანზეა წამოწეული ქალის კდემამოსილება, თავშეკავებულობა და მამაკაცისაგან გაქცევის სურვილი, ხოლო დაღესტნურ ცეკვაში ორი მამაკაცია, რაც გასაკვირიც არ არის, რადგანაც მაჰმადიანური რელიგია კრძალავს მამაკაცისა და ქალის ერთად ყოფნის საჯაროზე გამოტანას. აღნიშნული ცეკვების მსგავსება-განსხვავებაზე შედარებით ფართოდ მიუთითებს ი. ზურაბაშვილი: „ლეკთა ლეკური ასეთია: გამოვა ორი მოსხლტილი ახალგაზრდა..., დაუვლიან მცირედს და გაჩერდებიან, მერე ერთი შემოტრიალდება ვიწრო წრეში თავის გარშემო, ჩაივლებს მარცხენა ხელს ხანჯალში, რომ მოძრაობის დროს არ უშლიდეს, და გაუსვამს ფეხს. ფეხის გასმა იმდენად რიტმულია, თანაც მთელი ფეხის გულით, გეგონებათ მიწას ფეხს არ აშორებსო. ამასთანავე, ზედა ტანის რხევა სულ არ ემჩნევა, თითქო იგი მხოლოდ მუხლებს ქვემოთ მოძრაობდეს. გააკეთებს პირუეტს, ე. ი. ფეხის თითებზე შედგება და შემოტრიალდება, ან ზევით ახტება და ანაზდეულად გაჩერდება, თანაც მეჯიბრეს შესძახებს: ახლა შენაო. მეორე გააკეთებს ასევე ყველაფერს, რაც პირველმა გააკეთა და, თავის მხრივ პირუეტამდე წაუმატებს რაიმე ახალ ფიგურაციას,... ასე და ამგვარად თითოეული მათგანი ყოველ გამოსვლაზე რაიმე ახალ ფიგურაციას უმატებს, ვიდრე მათი რეპერტუარი ბოლოდ არ ამოიწურება...

... რამდენადაც ლეკთა ლეკურში ფეხის ტექნიკა თვითმიზანია, იმდენად ქართულ ლეკურში — იგი სარჩულია, დამხმარე საშუალებაა მიზნის განსახორციელებლად. აქ ლეკური გააზრებულია. საგულისხმოა, რომ ქართველმა მამაკაცის სურვილის მოკამათედ მამაკაცი კი არ გამოიყვანა, არამედ — ქალი. ამით მან მთლად გადააბრუნა ამ საცეკვაოს მნიშვნელობა“[25].

ცეკვების ზოგიერთი ილეთის ზემოთ აღნიშნული მსგავსება კიდევ ერთი გამოძახილია იმ მჭიდრო ურთიერთობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა არამარტო ქართველებსა და დაღესტნელებს, არამედ კავკასიის მთელ რეგიონში მცხოვრებ ხალხს შორის საუკუნეების განმავლობაში.

ლხინისა და ჭირის გაზიარების ზემოთ მოყვანილი ფაქტები, ასევე წლის გარკვეული დროის მანძილზე ერთმანეთის მბარდამხარ შრომა და ქართლ-კახეთში საეკლესიო თუ სხვა დღეობების დროს გამართულ ბაზრობებში დაღესტნელთა მუდმივი მონაწილეობა[26], ხელს

---

25 ი. ზ ურ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ხალხის შემოქმედი გენია, თბ., 1949, გვ. 15—20.

26 ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, თბ., 1986, გვ. 74, 75.

უწყობდა ერთიმეორის ტრადიციების შეთვისებასაც. საქონლის სარეალიზაციოდ და საყიდლად, სეზონურ სამუშაოებზე, თუ ცხვრის გამოსაზამთრებლად ბარში ჩამოსული დაღესტნელები ძალაუნებურად ხდებოდნენ ქართული ადათ-წესების მონაწილენი და გაუაზრებლად ითვისებდნენ მის ელემენტებს. ტრადიციების შეთვისებას ხელს უწყობდა უშუალო მეზობლობაში ცხოვრებაც. როგორც საქართველოს მთიან რეგიონებში, ასევე დაღესტნის მთის მრავალ აულში გავრცელებული იყო ქალისადმი უდიდესი მოკრძალება და პატივისცემა: ქალს შეეძლო ორი მოსისხლის შერიგება[27]. ამისათვის საკმარისი იყო, რომ იგი ჩამდგარიყო ორ მოსისხლეს შორის, მოეხსნა თავიდან მანდილი და ჩაეგდო მათ შუა. დაუნდობელი ბრძოლა მაშინვე წყდებოდა და მოჩხუბარნი რიგდებოდნენ. მტრობა წყდებოდა მაშინაც, თუკი დედა იშვილებდა ოჯახის მოსისხლეს[28].

ქართველებსა და დაღესტნელებს შორის კულტურულ ურთიერთობაზე მიუთითებს როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის ფოლკლორული მასალა, საუკუნეების მანძილზე ერთიმეორისაგან ნასესხები სიმღერები, ლეგენდები, თქმულებები, მოთხრობები, პოემები, ზღაპრები, იგავ-არაკები და სხვა თაობიდან-თაობას გადაეცემოდა; სხვადასხვა მოტივებს მღეროდნენ და ლექსად ამბობდნენ ლბინისა თუ ჰირის, მუშაობისა თუ უბრალო თავშეყრის დროს. ეს ნიმუშები მოსახლეობის უმრავლესობამ ზეპირად იცოდა, მასზე მომავალი თაობები იზრდებოდნენ და ეს დიდ გავლენას ახდენდა ახალგაზრდობის სულიერ ფორმირებაზე[29].

დაღესტნელებში ზოგიერთი რაიონის მცხოვრებთა შორის გავრცელებული იყო გადმოცემები, თითქოს მათი წინაპრები ქართველები იყვნენ. მაგალითად, გილიბელებს თავი ქართული წარმომავლობისად მიაჩნდათ[30]. აულ ცულდაში ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, კი, იგი თავდაპირველად შედიოდა „საქართველოს სამეფოს" შემადგენლობაში და დასახლებული იყო ქართველებით[31]. დიდოელებში შემორჩენილია ლეგენდა, რომ საქართველოში ცხოვრობდა დიდი ფეოდალი სახელად დიდო. მას ჰყავდა მრავალი ყმა, რომელთა მდგომარეობაც ახლოს იყო მონების მდგომარეობასთან. რამოდენიმე ამ ყმათაგან

---

27 Магомедов Г. М., Легенды и факты о Дагестане, Махачкала, 1969, გვ. 12; ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

28 Магомедов Р. М., Легенды... გვ. 12.

29 Магомедов Р. М., По зулам Дагестана выписка из полевых дневников, Махачкала, 1977, с. 108, 121.

30 მისივე, Дагестан, გვ. 243.

31 იქვე, გვ. 244.

სხვადასხვა დროს გამოიქცა მთებში, ნაბა თავისუფალი მიწა და იქ დასახლდა. ამ ხალხს შემდგომში დაერქვათ დიდოელები[32].

როგორც დაღესტნურ, ასევე ქართულ ფოლკლორშიც გვხვდება მასალა რომელიც ქართველებისა და დაღესტნელების დამოყვრებასა და მეგობრობას ეხება[33]. მაგრამ განსაკუთრებით მრავლადაა ფოლკლორული ნიმუშები ერთიმეორის ტერიტორიებზე თავდასხმის შესახებ[34]. მათში ქებით მოიხსენიებიან ამ თავდასხმებში მონაწილე გმირები, რომლებმაც განსაკუთრებით მრავლად ხოცეს მტერი და ხელთ იგდეს ურიცხვი საქონელი. თუმცა არც თუ იშვიათად მათში სინანულიც გამოსჭვივის და გააზრებულია მთელი ის უბედურება, რომელიც ამ თავდასხმებს მოჰქონდა როგორც ერთი. ასევე მეორე ქვეყნის ხალხისათვის. ერთ-ერთ ქართულ ხალხურ ლექსში „გაგა და გიორგი", მოთხრობილია თუშების ჩეთმაში მობალახე ცხვარზე ლეკთა თავდასხმის შესახებ. ლეკებმა დახოცეს თუში მწყემსები გიგა და გიორგი და გაირეკეს ცხვარი. თუშთა მდევარი მიეწია ლეკებს, დახოცა ისინი და დაიბრუნა ცხვარი[35]. ლექსში ასეთ ნაწყვეტს ვხვდებით:

... ამოსთქვა ლეკის ქალმაცა,
ცრემლით აივსო თვალია,
— ვინა სთქვა, ენამც გაუხმა
ჩეთმაში თუშის ცხვარია,
თუშებმა ქმარი მომიკლეს
კაი ბელადი არია —
ამოსთქვა თუშის ქალმაცა,
ცრემლით აივსო თვალია,
— ლეკებმა ქმარი მომიკლეს,
კაი ვაჟკაცი არია...[36].

სინანულის გრძნობა და ამ თავდასხმების უაზრობის შეგრძნება განსაკუთრებით კარგად ჩანს ნატირლებში[37].

ამრიგად, როგორც განხილულიდან ჩანს, XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებსა და დაღესტნელებს შორის კულტურული ურთიერთობა ორივე ქვეყნის მშრომელთა დაბალი ფენების მჭიდრო კონტაქტებით იყო განპირობებული როგორც მ. გორკი წერს:

„ხალხი არის პირველი ფილოსოფოსი და პოეტი, უდიდესი პოემების, დედამიწის ყველა ტრაგედიისა და მათ შორის ყველაზე უდიდესის — მსოფლიო ისტორიის შემოქმედი. არცერთ ინდივიდუალურ

---

[32] Магомедов Р. М., Дагестан, გვ. 248.

[33] იქვე, გვ. 249, 250.

[34] Магомедов Р. М., Дагестан, გვ. 235, გვ. 256; მისივე, Легенды и факты..., გვ. 108, 121; ქართული ხალხური პოეზია, III, თბ., 1974, გვ. 149—151, 162—163, 168, 174, 180, 190—193, 219—221; 227—229, 231, 232. 246,...

[35] ქართული ხალხური პოეზია, ტ. III, გვ. 190, 193.

გენიოსს არ მოუცია არცერთი განზოგადება, რომლის საფუძველში ჩადებული არ ყოფილიყოს ხალხური შემოქმედება, არ შეუქმნია არცერთი მსოფლიო ტიპი, რომელსაც წინათ არ ეარსებოს ხალხურ თქმულებებსა და ლეგენდებში"[38].

ეჭვი არ არის ქართულ-დაღესტნურ ფოლკლორში და ეთნოგრაფიაში ამ ორ ხალხს შორის ურთიერთობაზე კიდევ არაერთი საინტერესო მონაცემი იქნება. ყოველივე ამის გამოკვლევას უდიდესი დაბრკოლება ეღობება თუნდაც ენათა სიჭრელის გამო (მარტო დაღესტანში 40-მდე სხვადასხვა ენა ფიგურირებს).

XIX საუკუნის პირველ მესამედში დაღესტანთან ურთიერთობა აისახა ქართულ საისტორიო მწერლობაშიც — კერძოდ, საქართველოზე დაღესტნელთა მხრიდან მოწყობილი სხვადასხვა თავდასხმები. ამაზე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ ქართველი ბატონიშვილების — დავით, ბაგრატ და თეიმურაზ ბაგრატიონების ისტორიული თხზულებები.

როგორც ჩანს, ქართლ-კახეთში არსებულ სკოლებში განათლებას ღებულობდნენ დაღესტნელებიც. მაგალითად, 1829 წელს კავკასიის რუსული ადმინისტრაცია აპირებდა დაღესტნელებისათვის გაეხსნა სასწავლებელი დედოფლის მინდორთან, თუმცა ეს ზედმეტად მიუჩნევიათ, რადგანაც დედოფლის მინდორი ახლოს იყო სიღნაღთან და თელავთან და მსურველებს თავიანთი შვილები იმ სკოლებში შეეძლოთ მიებარებინათ[39].

საქართველოსა და დაღესტანს შორის არსებულ კულტურულ ურთიერთობას უკვე XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან გამოცოცხლება დაეტყო. დაღესტნის თემატიკა საკმაოდ მრავლად შემოვიდა ჩვენი მწერლებისა და პოეტების, ისტორიკოსებისა და პუბლიცისტების ნაწარმოებებში. მომრავლდნენ საქართველოში სწავლა-განათლებამიღებული დაღესტნელებიც, რომელთა პირველ მერცხლებადაც ავარიელი გიტანაუ და უსლარი შეიძლება ჩაითვალონ. როგორც ცნობილია, იმ პერიოდში შამილის მიერ სასტიკად იდევნებოდა ცეკვაც, სიმღერაც და სხვა ყოველგვარ სანახაობათა ჩვენება, მაგრამ მიუხედავად ამისა, გრიგოლ ორბელიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი ინიციატივით შეიქმნა თემირ-ხან-შურაში თეატრი, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია იმდროინდელ დაღესტნურ საზოგადოებას თეატრალური ხელოვნების გაცნობაში. თეატრის სცენაზე წარმატებით გამოდიოდნენ დიდი მხედართმთავრის, პეტრე ბაგრატიონის უახლოესი ნათესავი

---

36 ქართული ხალხური პოეზია, ტ. III, გვ. 193.

37 იქვე, ტ. V, გვ. 92—93, 229.

38 მ. გ ო რ კ ი, ტ. XII, თბ., 1968, გვ. 269.

39 АКАК, ტ. VII, დ. № 73, გვ. 66.

ივანე ბაგრატიონი, ტრიფონ სემიონოვი, თავადის ქალი პროგორეელ-სკაია და გრიგოლ ორბელიანის მახლობელი სხვა პირები. „მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული თეატრი უმთავრესად ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და მათი ოჯახის წევრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შეიქმნა სცენისმოყვარეთაგან, მას მაინც მნიშვნელობა ჰქონდა თვით დაღესტნისათვის: მის წარმოდგენებს ესწრებოდნენ რუსეთთან დაახლოებული ადგილობრივი ფენების წარმომადგენლებიც და, ცხადია, ამას არ შეიძლებოდა გარკვეული ინტერესი არ აღეძრა მდიდარი ფოლკლორისა და ხალხური ხელოვნების მქონე მთიელთა შორის“[40].

ქართველ და დაღესტნელ ხალხებს შორის კულტურულ ურთიერთობას, რომელსაც უძველეს დროში ჰქონდა ფესვები გადგმული, შემდგომ ხანაში ფართო მასშტაბი მიეცა, რამაც ეს ორი ხალხი უფრო მჭიდროდ დაუკავშირა ერთიმეორეს.

---

[40] გ. ღუდუშაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

როგორც ვნახეთ, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობას XIX საუკუნის პირველ მესამედში მრავალმხრივი ხასიათი ჰქონდა და მიმდინარეობდა რუსეთის მიერ კავკასიაში წარმოებული პოლიტიკის ფონზე.

განსაკუთრებით მჭიდრო და უწყვეტ ხასიათს ატარებდა ეკონომიკური ურთიერთობა, რასაც ტერიტორიულ სიახლოვესთან ერთად საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთსიახლოვე (ურთიერთმოსაზღვრეობა) და, რაც მნიშვნელოვანია, მათი მეურნეობისა და სამეურნეო კულტურებ-ს სხვადასხვა ხასიათი განაპირობებდა. ქართველების და დაღესტნელების შეუწყვეტელ ურთიერთობას კარგად მიესადაგება ივ. ჯავახიშვილის სიტყვები: „ბარელს მთა სჭირდება და მთიელს კიდევ ბარი, უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეუძლიათ"[1]. ამ ორ მიმდებარე ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობიდან განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოირჩეოდა ვაჭრობა და საქონლის გაცვლა-გამოცვლა. ურთიერთგასაცვლელი საქონელი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. თუ საქართველოდან დაღესტანში პირველი მოთხოვნილების საქონელი: პური, მარილი და კუსტარული მრეწველობის ზოგიერთი დარგის პროდუქცია სჭარბობდა, დაღესტნიდან საქართველოში ძირითადად კულტურული მრეწველობის ნაწარმი (ნაბდები, შალი, ხალიჩები, თოფები, ხმლები, ხანჯლები, სამკაულები, სხვადასხვა სახის ხის ჭურჭელი) და აგრეთვე, მესაქონლეობის პროდუქტები შემოდიოდა. სავაჭრო გაცვლა-გამოცვლა ძირითადად ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე წარმოებდა (ქ. თბილისში, ქ. თელავში, ქ. სიღნაღში, სოფ. გავაზში..) სავაჭრო ურთიერთობის სიცხოველესთან ერთად ამ ორ ქვეყანას შორის ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, მარტივ საქონელწარმოებას, რადგანაც საქონელს ჰყიდნენ არა მხოლოდ მოგებისათვის, არამედ პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვისაც.

საქართველო-დაღესტნის ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერთმანეთის საძოვარ-საბალახო ადგილებით სარგებლობას. ქართველები საზაფხულო საძოვრებს საჭიროებდნენ, დაღესტნელები კი — საზამთროს. ამიტომ კახელების, პანკისელებისა და თუშების ნაწილი თავის ცხვარს ზაფხულობით დაღესტნის იალაღებზე ერეკებოდა; ხოლო დასავლეთ დაღესტნის ზოგიერთი საზოგადოების წარმომადგენლები მთელ ზამთრის სეზონს (ნოემბრის პირველი რიცხვებიდან მაისის ბოლო რიცხვებამდე) აღმოსავლეთ საქართველოს ყიშლაღებზე ატარებდნენ. აქ მათ ჰქონდათ დროებითი სადგომები (კუტანები).

---

1 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, გვ. 316.

მთიანი დაღესტნის გარემო პირობების სიმწირის გამო მისი მოსახლეობის უმეტესობა იძულებული იყო შემოსავლის დამატებითი წყაროებისათვის მიემართა. მატერიალური სიდუხჭირიდან ერთ-ერთ გამოსავალს მათთვის წარმოადგენდა გარე სამუშაოზე სიარული. საშოვარზე ჩამოსული დაღესტნელები განსაკუთრებით მრავლად იყვნენ კახეთში. კახეთი ბარი იყო და უხვმოსავლიანი. აქ ზედმეტი პროდუქციის წარმოება შედარებით იოლი და მოხერხებული იყო. ხოლო მიმდებარე დაღესტანი მწირი, მოუსავლიანი და სუსხკლიმატიანი. დაღესტნის მთიანეთში მუშახელი დაუსაქმებული და ჭარბი იყო. ხოლო კახეთი — ინტენსიური მეურნეობის პირობებში მუშახელის ნაკლებობას განიცდიდა. ამიტომ დაღესტნიდან გარესამუშაოდ კახეთს აწყდებოდა მუშახელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, დაღესტნელები კახეთს ავსებდნენ მუშახელით, ხოლო კახეთი ავსებდა სარჩო-საბადებლით. ბარში სამუშაოდ ჩამოსული დაღესტნელები მუშაობდნენ საკმაოდ მძიმე სამუშაოზე სხვადასხვა გასამრჯელოს ფასად. სეზონურ სამუშაოებზე საქართველოში გადმოდიოდნენ როგორც კაცები, ასევე ქალებიც. დაღესტნელთა სეზონურ სამუშაოებზე ლტოლვას უარყოფითი შეფასებას აძლევდა ს. გაბიევი. იგი სამართლიანად თვლიდა, რომ აღნიშნულ მოვლენას დაღესტნელი ხალხი გაჩანაგებისაკენ მიჰყავდა და მის გამომწვევ მიზეზად ცუდი მოსავლიანობა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჩამორჩენილობა და საწარმოო ძალების დაბალი დონე მიაჩნდა[2].

რუსულმა ადმინისტრაციამ კავკასიაში დამკვიდრებისთანავე ეკონომიკის სფეროში ნელ-ნელა დაიწყო თავისი ინტერესების შესაბამისი ღონისძიებების გატარება. გააუქმა ფეოდალური ბაჟები. გაატარა ვაჭრობის განვითარებისა და ვაჭართა ქონებრივი კუთვნილების დაცვის ღონისძიებები. რუსეთის ადმინისტრაციის მეშვეობით 1821—1831 წლებში ამიერკავკასიაში დაწესდა შეღავათიანი ტარიფი, რამაც საქართველო და დაღესტანიც ჩააბა მსოფლიო ვაჭრობის საქონელბრუნვაში. რუსეთის დამკვიდრებას კავკასიაში თან მოჰყვა კაპიტალიზმის ელემენტების შემოჭრა ამიერკავკასიის ქვეყნებში. მათი ჩაბმა საერთო ბაზრის ფერხულში: ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა საქართველოსა და დაღესტანს შორის ეკონომიკური კონტაქტების გახშირება-განვითარებაზე, მაგრამ რადგანაც ეს ღონისძიებები ხშირად კოლონიურ ხასიათს ატარებდა და რუსეთის ინტერესებს უფრო შეესაბამებოდა, ამიტომ ქართველებსა და დაღესტნელებს შორის XIX საუკუნის პირველ მესამედში ეკონომიკურ ურთიერთობებში რაიმე ძირფესვიანად ცვლილებებზე ლაპარაკი შეუძლებელია. ამას ადასტურებს რუსეთის ადმინისტრაციის მიერ გატარებული ზოგი ისეთი ღონისძიებაც, რომელიც ამ კონტაქტებზე პირიქით, საზიანოდაც

[2] Габиев С., დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

მოქმედებდა (მაგ. დაღესტნიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟის დაწესება...).

XIX საუკუნის პირველ მესამედში ისევ გართულებული რჩებოდა საქართველოსა და დაღესტნის პოლიტიკური ურთიერთობები. საქართველოს რუსეთის სახელმწიფოს მიერ შეერთებამ დაღესტნელების დიდ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია, გააქტიურა მათი ყაჩაღური თავდასხმები, რამაც საკმაოდ მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს. ქართლ-კახეთს თავს ესხმოდნენ დაღესტნელთა არა მარტო მსხვილი, არამედ წვრილ-წვრილი რაზმებიც. თავდასხმები ხდებოდა მალულად, ძირითადად ღამით. ძველებურად გრძელდებოდა ქართველი მოსახლეობის დატაცება-დატყვევება, ტყვეთა გაყიდვა ან გამოსყიდვა. ტყვეებს დაღესტნელები მარტო თავდასხმის გზით არ შოულობდნენ. ხშირი იყო გაბატონებული წოდების ქართველთა მიერ ყმების ტყვეებად გაყიდვა. ტყვეთა გაყიდვას საქართველოში XIX საუკუნის პირველ მესამედში იმდენად ფართო ხასიათი მიეღია, რომ არსებულა „ტყვის" ე. წ. პროფესიული მსყიდველი, რომლის ძირითადი საქმიანობა ტყვეთა სყიდვა ყოფილა. ტყვეებს დაღესტნელები ძირითადად ახალციხის ბაზრებზე ჰყიდნენ. თავდასხმების დროს ნადგურდებოდა მოსახლეობა, მათი მატერიალური დოვლათი (დაღესტნელები ქართველებს უწვავდნენ სახლებს, იტაცებდნენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს...) ვითარებას ართულებდა ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თავდასხმები ხდებოდა არა მარტო დაღესტნის, არამედ ჭარ-ბელაქნისა და ახალციხის მხრიდანაც.

თავდასხმებს რამოდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი იწვევდა. ესენია: მაღალმთიანი დაღესტნის უკიდურესი სიმწირე, დაღესტნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე, საქართველოს დაუძლურება და დაღესტნისა და საქართველოს სხვადასხვა რელიგიისადმი კუთვნილება. ხელის შემწყობისა და წამქეზებლების როლში გამოდიოდნენ თურქეთ-ოსმალეთი, ირანი და სხვა მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფო სახანოები. რუსეთის ადმინისტრაციამ იმჟამად ვერ შეძლო თავდასხმების გამომწვევი სხვადასხვა მიზეზების გადაჭრა. მის მიერ გატარებული ღონისძიებები (ბილეთების დაწესება, ეკონომიკური იზოლაცია, ამანათების გამორთმევა, დაცვის ხაზების მოწყობა და ა. შ.) მხოლოდ დროებით აფერხებდა დაღესტნელებისა და სხვათა მიერ ქართლ-კახეთის ტერიტორიების რბევას.

საქართველო-დაღესტნის პოლიტიკურ ურთიერთობაში დიდი ადგილი ეკავა ქართველთა ბატონიშვილების ურთიერთობას დაღესტნელ ხალხებთან. ბატონიშვილები ხშირად იყენებდნენ დაღესტნელთა საომარ ძალას რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ძველი ქართველი საგვარეულოს, — ბაგრატიონთა ძალაუფლებადაკარგულმა წარმომა-

დგენლებმა თავიანთი მოქმედება განსაკუთრებით მთიულეთის 1804 წლისა და კახეთის 1812 წლის აჯანყებებისა და მის მომდევნო წლებში გააქტიურეს. მათ მიერ დაქირავებული დაღესტნელები და აჯანყებული ქართველები თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ. ქართველი ბატონიშვილების მოქმედების ძირითადი მიზანი — დაკარგული სამეფო ტახტის დაბრუნება. — საბოლოო ჯამში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ იყო მიმართული და კოლოსალურ მნიშვნელობას იძენდა ქართველი ხალხისათვის. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად უცხო, ქართველი ხალხისადმი მტრულად განწყობილი, ქვეყნის ძალების მოშველიება მეტად უარყოფითად მოქმედებდა ქართლ-კახეთის ეკონომიკაზე. მის ფიზიკურ, მორალურ, კულტურულ და სამეურნეო განვითარებას უმძიმეს დაღს ასვამდა.

მძიმე და რთული პოლიტიკური ურთიერთობის ლიკვიდაციის პარალელურად სულ უფრო ვითარდებოდა და იბვეწებოდა ქართველი და დაღესტნელი ხალხების კულტურული კონტაქტები, რასაც ხელს უწყობდა მშვიდობიანობის დამყარება და ერთიმეორის პირდაპირი მეზობლობა და ენების ცოდნაც.

ქართველებისა და დაღესტნელების კულტურული ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში ძირითადად მატერიალური კულტურის სფეროში წარმოებდა.

დაღესტნიდან თავისუფალი მუშახელისა და მეცხოველეობის გადმოსვლა აღმოსავლეთ საქართველოში და გარკვეული დროის მანძილზე მათი მხარდამხარ შრომა იწვევდა ერთიმეორის შრომითი ჩვევების შეთვისებას და განვითარებას.

გარდა შრომითი ჩვევებისა ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადადიოდა გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ერთმანეთს ემსგავსებიან აღმოსავლეთ საქართველოსა და მის მოსაზღვრე დაღესტნურ რაიონებში გავრცელებული სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობანი, სახლის მოწყობილობა. ასევე, სხვადასხვა სახის ინვენტარი, ხანგრძლივი მეზობლობისა და ურთიერთობის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებისა და მეზობელ დაღესტნის მთიანი ზონის მოსახლეთა ცხოვრების არაერთი წესი ემსგავსება ერთიმეორეს.

ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთზეგავლენა იგრძნობა სულიერი კულტურის სფეროშიც. დაღესტნის ზოგიერთ ხალხში გვხვდება ისეთი სიმღერები, რომლებსაც ანალოგი ეძებნება ხევსურულ, ფშავურ და თუშურ სიმღერებთან. ერთმანეთს ემსგავსება ქართული და დაღესტნური ცეკვების ზოგიერთი ილეთიც.

ქართველებისა და დაღესტნელების კულტურულ ურთიერთობაზე

მიუთითებს როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის ფოლკლორული მასალა. განსაკუთრებით მრავლად გვხვდება მსგავსი ზღაპრები, ლეგენდები, თქმულებები, იგავ-არაკები, მოთხრობები, ლექსები და სხვა; რომლებშიც ხშირად საქართველოზე მოწყობილი თავდასხმები, შაჰმადიანობისა და ქრისტიანობის ბრძოლაც აისახება, მაგრამ ზოგჯერ კეთილმეგობრული დამოკიდებულების ფაქტებიც გვხვდება.

დაღესტნის თემა XIX საუკუნის პირველ მესამედში აისახა ქართულ საისტორიო მწერლობაშიც.

როგორც საარქივო-დოკუმენტური მასალებიდან ჩანს, მოცემული საუკუნის 20-იან წლებში დაღესტნელები სწავლობდნენ აღმოსავლეთ საქართველოში გახსნილ სკოლებში. რამაც, ეჭვი არ არის. დიდად შეუწყო ხელი მეზობელ დაღესტნის ხალხთა სწავლა-განვითარებას და. მძლავრი ბიძგი მისცა მათ კულტურულ ურთიერთობაა ქართველებთან, ახალ საფეხურზე აიყვანა ამ ორი ხალხის კეთილმეგობრული ურთიერთობა.

საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის ხელსაყრელი პირობები მხოლოდ კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ (XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან) შეიქმნა. როდესაც კავკასიაში (როგორც დაღესტანში, აგრეთვე, საქართველოში) შედარებით მშვიდობა დამყარდა. როგორც ი. ჭავჭავაძე წერს: რუსეთთან შეერთებრს „დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა მტრისა ხელი მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე, ,გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელმაც ღმერთმა სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მის თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშოდ, ყველასაგან შორს, მარტოდმარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდო საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში“[3].

---

[3] ი. ჭავჭავაძე, ასი წლის წინათ, რჩეული ნაწარმოები, ტ. IV, თბ., 1987 წ., გვ. 186—187.

ГРУЗИНО-ДАГЕСТАНСКИЕ ВЗАИМООТНОШЕНИЯ В ПЕРВОЙ ТРЕТИ XIX В.

(Резюме)

Грузино-дагестанские отношения в XIX веке рассматриваются на фоне политики России на Кавказе.

Существующие письменные материалы отмеченного периода о контакте этих двух стран содержат очень мало сведений, но зато в ЦГИА Груз. ССР, ЦГБИА и в опубликованных актах археографической комиссии Кавказа имеется множество документальных материалов, которые были использованы в процессе исследования.

Как и в предыдущие периоды, в XIX в. между Грузией и Дагестаном существовали экономические, политические и культурные контакты.

Из экономических контактов большое значение имела торгово-обменная взаимосвязь.

В списке товаров, вывозимых дагестанцами из Грузии, преобладают, главным образом, товары первой необходимости, в особенности зерно (пшеница). И в XIX в. в торговле зерном Восточной Грузии с Дагестаном приоритет оставался за Кахети. Для пополнения зернового запаса в постоянной связи с Кахети были антратлийцы, кубачинцы, дидойцы. Кроме зерна из Грузии дагестанцы вывозили соль, а для кустарного производства — медь, железо, золото, серебро, вывозили и одежду, ткани из хлопка и шелка, синьку.

В Дагестане высокого уровня развития достигли кустарные промыслы, и в основном для реализации в Грузию поступали продукты кустарного производства. В этом отношении особенно следует отметить дагестанские бурки. Большим спросом пользовались также дагестанская шерсть, или лезгинское сукно, войлок, вьючные покрывала, ковры, паласы. К нам ввозились куница, лиса и другие меха, овечьи шкуры и даже готовые шубы.

Из области металлообработки в Грузию ввозилось оружие всех видов, в частности, ружья, пистолеты, кинжалы, ножи, ввозились ювелирные изделия, медная и деревянная посуда, а также воск, сыр, масло, мед, каштаны, орехи, сушеные фрукты, овечья шерсть, медный купорос, овцы, лошади.

Особое значение в торговле с дагестанцами имели насе-

ленные пункты Кахети: гг. Телави, Сигнахи, Гаваз, а с 1828 г. ярмарки близ Алаверди. Большим центром торговли с горцами был и г. Тбилиси.

Несмотря на изобилие вышеперечисленной продукции взаимного обмена, в первой трети XIX в. торговля между Грузией и Дагестаном не достигла большого развития. Правда, в обеих странах кустарное производство стояло на высоком уровне, что давало предпосылки для развития товаро-денежных отношений. Но это было простое товарное производство, т. к. товар производили не для выгоды, а для того, чтобы на вырученные от продажи деньги приобрести нужные товары.

Чиновники русской администрации после обоснования в Грузии захотели развить здесь промышленность и торговлю, но ввиду того, что по отношению к Грузии Россия проводила ярко выраженную колониальную политику, в первые годы присоединения каких-нибудь значительных изменений в этой сфере не наблюдалось.

Торговые отношения между Грузией и Дагестаном сравнительно улучшились в 1821—1831 гг. благодаря действию льготного тарифа и проведению Россией мероприятий по неприкосновенности грузинских подданных и мирно расположенных к России дагестанских купцов.

Кроме торгово-обменной связи существовала давняя традиция обоюдного пользования пастбищами. Ввиду того, что грузины нуждались в летних пастбищах, а дагестанцы в зимних, с давних пор в этой сфере экономических взаимоотношений протянулись тесные нити. В горах Дагестана грузины пользовались горными летними пастбищами Мерцхал-буде, Хупро, Эпчо, Асахо, Велкетили. А дагестанцы с ноября по май пасли скот на летних пастбищах Грузии в Наутали, Горис-Цвери, Шилда и в других местах.

Для дагестанцев было характерно хождение на заработки. С наступлением зимы они спускались с гор в равнины и работали за нищенскую плату. Особенно много было таких в Восточной Грузии. В архивных материалах чаще других упоминаются дидойцы. Часть дагестанцев-рабочих переходили и в Тушетию. На сезонные работы ходили и мужчины, и женщины.

Из вышеприведенного хорошо видны масштабы экономических взаимоотношений между Грузией и Дагестаном в первой трети XIX века, их многосторонность и необходимость, что сразу заметила русская администрация после своего утверждения в Восточной Грузии и чем не раз пользовалась в политических целях.

А политические цели Российской империи в первой трети XIX века были далекоидущими и вместе с другими завоеваниями предусматривали полное присоединение Дагестана. Это

не ускользнуло от значительной части властителей Дагестана, которые, правда на словах, клялись в верности российскому правительству, но на деле огнем и мечом боролись против него.

Даже утверждение России не помогло Грузии избежать в начале XIX в. нескончаемых набегов дагестанцев. Случилось наоборот: окруженный Россией Дагестан еще больше усилил набеги на Грузию.

На территорию Грузии нападали как крупные, так и мелкие, состоящие из нескольких человек отряды. Нападения происходили главным образом ночью, крадучись и настолько быстро, что население не могло прийти в себя, не то чтобы оказать организованную оборону. Дагестанцы нападали как непосредственно со стороны Дагестана, так и с Чар-Белакани и Ахалцихе. Их набеги носили систематический характер, и наносили как экономический («лезгины сжигали у грузин дома, захватывали сельскохозяйственный инвентарь и продукты, угоняли скот»), так и моральный ущерб (во время набегов основной и значительной добычей были пленные).

После утверждения в Грузии администрация России старалась пресечь набеги, так как это роняло авторитет Империи в Закавказье. С этой целью она предпринимала много мероприятий: как и грузинские цари, начала строить оборонительные линии, ввела билеты, которые были знаком миролюбия дагестанцев и без которых на территории Картли и Кахети их ждал обязательный арест. Заключенных ссылали в Сибирь, или использовали на тяжелой работе. Были и случаи казни через повешение.

Русские чиновники старались пресечь ограбление грузин путем экономической изоляции, запрещали участвовавшим в набегах «лезгинам» приезжать в Кахети для товарообменных и других экономических нужд. Отмеченные мероприятия оказывали лишь временное влияние на политическое расположение дагестанцев.

Таким образом, несмотря на проведенные Россией мероприятия, в первой трети XIX века продолжались набеги дагестанцев на территорию Картли и Кахети. Русское правительство в то же время не могло искоренить тех причин, которые вызывали набеги дагестанцев. А таких причин было много. Набеги были вызваны не только каким-нибудь одним фактором, взаимосвязанными факторами. Из них трудно выбрать главный. Правда, для той социально-экономической формации первой трети XIX века, при которой жили дагестанские горцы, характерны захватнические нашествия. Если бы не скудные природные условия, они не имели бы такого жесткого характера. Но если бы Грузия была политически мощной страной, даже несмотря на бедность и общественно-экономическую формацию, наши соседи-горцы не посмели бы непрестанно

нарушать границы, так как получили бы ответный уничтожающий удар.

В первой трети XIX века, несмотря на набеги из Дагестана на территорию Картли-Кахети, грузинские царевичи и члены их фамилий нередко нанимали дагестанцев как военную силу для возврата утерянного трона.

Грузино-дагестанская культурная связь, в основном осуществлялась в хозяйственных делах и вызывала взаимное освоение трудовых навыков и традиций.

Как видно из документов, в 20-х годах XIX в. дагестанцы получали образование в существующих на территории Грузии учебных заведениях.

Спустя время, когда Григол Орбелиани в Темир-Хан-Шуре создал труппу любителей сцены, между этими двумя народами установилась более тесная культурная связь.

Таким образом появление России в начале XIX в. на политической арене Кавказа хоть и создало условия для существования между Грузией и Дагестаном более тесных контактов, но не смогло сколько-нибудь существенно повлиять на сформировавшиеся на протяжении веков взаимоотношения.

Мзия Георгиевна Ткавашвили

ГРУЗИНО-ДАГЕСТАНСКИЕ ВЗАИМООТНОШЕНИЯ В ПЕРВОЙ ТРЕТИ XIX В.

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1990

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4340

გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ნ. მაჩაიძე
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 11.6.90; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.10.90;
ქაღალდის ზომა 90×60 1/16; ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 7;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,07;

ტირაჟი 1100; შეკვეთა № 1580;

ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19